PRIME Time

N40 (238), ორშაბათი 7 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ირაკლი ალასანიას გამოუძიებელი საქმეები

ვინ აგებს პასუხს:

- **სექტემბერი:** 320 მოწამლული ჯარისკაცი თბილისში
- **ივლისი:** 52 მოწამლული ჯარისკაცი სენაკში
- **ივნისი:** 11 მოწამლული ჯარისკაცი ქუთაისში

რით იწამლებიან სამხედროები შეიარაღებულ ძალებში?

EXCLUSIVE

„დიდი პოლიტიკა“ და ჯიჰადი

„ამ ორკვირიანმა ყოველდღიურმა ეთერმა ჩემი დასკვნები გამაკეთებინა მთავრობის წევრებზე. ვინ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მედიასთან ურთიერთობაში და ვინ – ვერა“

„გადავწყვიტე, დამეწერა...“

დავით საგანელიძე:

„შეიძლება, სიტუაციის აყირავება გინდოდეს და შედეგად ფეხი მოიმტვრიო“

EXCLUSIVE

დანაშაულებრივი სქემა ფინანსური პოლიციის, პროკურატურისა და ბანკის მონაწილეობით

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

„თიბისიმ“ შავი საქმე გაუკეთა ნაციონალებს და დღეს ამაზე ლაპარაკიც არ უნდა“

EXCLUSIVE



პატარკაციშვილის ქვრივისა და წინა ხელისუფლების კავშირებზე სკანდალური კომპრომატები არჩევნებამდე გამოქვეყნდება

EXCLUSIVE

„ეს დოკუმენტი მალე გასაჯაროვდება, საზიგადოება მზად უნდა იყოს სტერეოტიპების ნგრევისთვის“

„იცით, ეს რას ჰგავს? ნაციონალები თავის მაკომპრომეტირებელ კადრებს რომ იღებდნენ და ინახავდნენ“

22 წლის გოგომ 71 წლის ქალი სექსუალური ძალადობის ნიადაგზე მოკლა

EXCLUSIVE

ბრალდებულის დედა:

„ჩემი შვილი მკვლელი არ არის, მას ლესბოსელი დაესხა თავს და მხოლოდ თავი დაიცვა“

ბურჯანაძე „კანონიერ ქურდებს“ გაურიგდა?

ანზორიკო ბიწაძის საიდუმლო შეხვედრა იტალიაში

„პოლკოვნიკ ტაბაღუას, იგივე მამა ნიკოლოზის აღიარება“

სად არის ბაჩო ახალაიას მეგობარი სასულიერო პირი, როგორ არემონტებდნენ გირგვლიანის მკვლელებისთვის ციხის საკნებს?

ჩვენებიდან: „სარემონტო სამუშაოები დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა, რა დროსაც ყოფილი მედპუნქტის ფართში მოეწყო ოთხი ოთახი, დამოუკიდებელი სველი წერტილები, შეიღება კედლები, იატაკი და სხვ. სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე ალანია, ღაჭავა, აფციაური და ბიბილურიძე საბადრაგო სამსახურმა მოიყვანა დაწესებულებაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დიდი პოლიტი

my View
ინგა გრიგოლია

გადაცემის ეთერში გასვლიდან ორი კვირის შემდეგ გადავწყვიტე, დამეწერა შიდაპოლიტიკურ ამბებზე იმ გადაცემების მიხედვით, რომელიც უკვე გავიდა ეთერში. დავიწყებ იმით, რომ არასოდეს, არც ერთი ეთერის წინ ისე არ მინერვიულია, როგორც ამჯერად... არ ვიცი, იმის გამო, რომ სამწლიანი სატელევიზიო პაუზა მქონდა, თუ იმიტომ, რომ სრულიად უცნობ არხზე ვიწყებდით. პირველივე სტუმარი, რომლითაც „დიდი პოლიტიკის“ გახსნა მინდოდა, ჩამივარდა. მითხრეს, რომ ჩემს გადაცემებს ჯერ დააკვირდებიან და მერე გადაწყვეტენ, გამოუშვებენ თუ არა ეთერში. გამიკვირდა, მეწყინა, მაგრამ სხვა რა გზა იყო... მოკლედ, გიორგი მარგველაშვილისგან უარი მივიღე.

მეორე ადამიანმაც, ვისთანაც მოლაპარაკება ვცადე, ასევე თავი შეიკავა. მეორე მცდელობა მთავარ პროკურორთან მქონდა. კბილაშვილის პასუხი იყო, რომ დიდი ხანია „მაესტროსთვის“ ჰქონდა პირობა მიცემული და ამ პირობას არ დაარღვევდა. გავიგე... მიყვარს, როცა რესპონდენტი პატივს სცემს ჟურნალისტს და დაპირებულ ექსკლუზივს აძლევს, თუმცა კბილაშვილის შემთხვევაში სხვა რამემ დამაბნია. მითხრა, რომ მან გადაცემაში სტუმრობა პრემიერის პრესსამსახურთან უნდა შეათანხმოს... ძალიან გამიკვირდა...

„პირველივე სტუმარი, რომლითაც „დიდი პოლიტიკის“ გახსნა მინდოდა, ჩამივარდა. მითხრეს, რომ ჩემს გადაცემებს ჯერ დააკვირდებიან და მერე გადაწყვეტენ, გამოუშვებენ თუ არა ეთერში“

ორი ამაო მცდელობის შემდეგ, დიდხანს ვფიქრობდი, ვინ მომეწვია პირველ სტუმრად და თეა წულუკიანს შევთავაზე. არასდროს დამავიწყდება, რომ მას არავისთვის უკითხავს ნებართვა, მოსულიყო თუ არა. თავადვე გადაწყვიტა. ეთერი გამოვიდა ძალიან საინტერესო და მე სულ მემახსოვრება, რომ სამი წლის შემდეგ პირდაპირ ეთერში მისი სტუმრობით დავბრუნდი. გადაცემა დაიწყო თუ არა, მის პირველივე პასუხზე მივხვდი, რომ ეთერი შედგა... არ მოუთხოვია არანაირი პირობა გადაცემის წინ...

ამ ორკვირიანმა ყოველდღიურმა ეთერმა ჩემი დასკვნები გამაკეთებინა მთავრობის წევრებზე. ვინ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მედიასთან ურთიერთობაში და ვინ – ვერა.

მარგველაშვილისა და კბილაშვილისგან განსხვავებით, წულუკიანი, ალასანია, ზაქარეიშვილი, სუბარი, როგორც ჩანს, არავის უთანხმებენ ტელეეთერში გამოსვლას... არავის უთანხმებს ღარიბაშვილი. თითოეული მინისტრის „დიდი პოლიტიკა“ ძალიან საინტერესო გამოვიდა და თითოეულის განცხადებები დღეების განხილვის საგანი იყო.

ამასობაში კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე – აშკარა დაპირისპირება მთავრობის გავლენიან ფიგურებს შორის და აშკარა დისონანსი „ნაციონალურ მოძრაობაში“. ყველაფერი ჯიჰადის ცნობილი კლიპის გარშემო გამოიკვეთა, როცა ორშაბათის გადაცემაში თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ არ იცოდა, რა ეტაპზე იყო ამ საქმეზე გამოძიება და პირდაპირი ეთერიდან შეუთვალა ღარიბაშვილს, რომ, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო დროზე ვერ გამოიძიებდა, ის, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, თავად დაიწყებდა საქმის გამოძიებას. ალასანიას ამ განცხადებიდან ზუსტად ორ დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯიჰადის ვიდეოს საქმე გახსნილად გამოაცხადა. საღამოს კი ირაკლი ღარიბაშვილმა იმავე სტუდიიდან უპასუხა ალასანიას, რომ, თუ აინტერესებდა, შეეძლო, აქამდე ეკითხა მისთვის და ინფორმაცია ამ გამოძიების შესახებ თავდაცვის მინისტრს ერთი თვის წინ ექნებოდა. ირაკლი ალასანიას ამაზე კომენტარი აღარ გაუკეთებია, თუმცა ამ ამბავმა ღიად აჩვე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ინგა გრიგოლია: „გადავწყვიტე, დამეწერა...“

„ამ ორკვირიანმა ყოველდღიურმა ეთერმა ჩემი დასკვნები გამაკეთებინა მთავრობის წევრებზე. ვინ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მედიასთან ურთიერთობაში და ვინ – ვერა“

„კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე – აშკარა დაპირისპირება მთავრობის გავლენიან ფიგურებს შორის და აშკარა დისონანსი „ნაციონალურ მოძრაობაში“

„თანაპარტიელებისგან ამ გამოძიების მიმართ გამოხატული უნდობლობის ფონზე, რატომ მაინცდამაინც უგულავამ გადაწყვიტა, ღიად დაეჭირა მხარი ღარიბაშვილისთვის. არის თუ არა შანსი, სააკაშვილის წასვლის შემდეგ უგულავასა და ნაციონალების გზებიც გაიყაროს?.. ეს, ალბათ, შემდეგი კვირის „დიდი პოლიტიკის“ კითხვებია“

ნა, რომ მოარული ხმები ღარიბაშვილ-ალასანიას დაპირისპირებაზე მხოლოდ კულუარული ჭორები არ არის... როგორც წესი, უშიშროებაგამოვლილი სტაჟიანი დიპლომატი ალასანია შემთხვევით არასდროს არაფერს ამბობს და სავარაუდოდ, არც ღარიბაშვილის მისამართით ნათქვამი ფრაზები იყო შემთხვევითი. შესაბამისად, შეკითხვაც: შესაძლოა თუ არა, ახალი პრემიერის კაბინეტში ირაკლი ალასანია ვერ ვიხილოთ? სრულიად ლეგიტიმურია. მით უფრო, თუ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახდება.

ჯიჰადის ვიდეოს საქმემ გამოკვეთა დისონანსი „ნაციონალურ მოძრაობაშიც“. მაშინ როცა მთელი დღის განმავლობაში ნაციონალები ამ გამოძიებას სიცრუესა და ტყუილს უწოდებდნენ, სრულიად მოულოდნელად, დედაქალაქის მერმა, რომელმაც პირველად სწორედ „დიდ პოლიტიკაში“ განაცხადა, რომ ისევ აპირებს კენჭისყრას მერის პოსტზე, დღის ბოლოს თქვა, რომ ღარიბაშვილის გახსნილ საქმეში ეჭვი არ შეაქვს და, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, მას ამ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ უნდობლობა არ გასჩენია. ამ განცხადების შემდეგ, ასევე ბუნებრივად გაჩნდა კითხვა გიგი უგულავას გარშემო. მთელი დღის მანძილზე, თანაპარტიელებისგან ამ გამოძიების მიმართ გამოხატული უნდობლობის ფონზე, რატომ მაინცდამაინც უგულავამ გადაწყვიტა, ღიად დაეჭირა მხარი ღარიბაშვილისთვის. არის თუ არა შანსი, სააკაშვილის წასვლის შემდეგ უგულავასა და ნაციონალების გზებიც გაიყაროს... მით უფრო, თუ ის მართლაც აპირებს მონაწილეობას მერის არჩევნებში 2014 წლის ზაფხულში და მით უფრო, თუ, როგორც ზევით უკვე დავწერე, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გახდება. ეს, ალბათ, შემდეგი კვირის „დიდი პოლიტიკის“ კითხვებია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატარკაციშვილის ქვრივისა და წ
სკანდალური კომპრომატები ა



my View

მირიან ბოქოლიშვილი

დოკუმენტები, რომელიც იმდენად სკანდალურია, რომ თვით პრემიერ-მინისტრსაც კი „თმები ყალყზე დაუყენა“, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება. საუბარია ბადრი პატარკაციშვილის მეუღლესა და წინა ხელისუფლებას შორის დადებულ სკანდალურ გარიგებაზე, რომელსაც ამ დრომდე გრიფი „საიდუმლო“ ედო. საქართველოს მთავრობამ ამ დოკუმენტებზე გრიფის მოხსნა გადაწყვიტა და როგორც ივანიშვილი ამბობს, სააკაშვილის ხელისუფლება და პატარკაციშვილის ოჯახი თითქმის წარმოუდგენელ პირობებზე აწერენ ხელს. გამომდინარე იქიდან, რომ პატარკაციშვილის ოჯახსა და ჯოზეფ კეის შორის „რუსთავის ფოლადთან“ დაკავშირებით სასამართლო დავა უკვე მეორე ინსტანციაშიც ჯოზეფ კეის სასარგებლოდ დასრულდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტების გამოქვეყნება სასამართლოზე გავლენას ვეღარ მოახდენს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, კომპრომატები საპრეზიდენტო არჩევნებამდეც გამოქვეყნდეს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას „ქართული ფოლადის“ დირექტორი, ნათია ჯაყელი ამბობს, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით საზოგადოება ნათლად დაინახავს, „როგორ ძარცვავდა სახელმწიფო ბიუჯეტს პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე „ნაციონალების“ ხელშეწყობით“.

ნათია ჯაყელი, „ქართული ფოლადის“ დირექტორი:

– პირველ ოქტომბერს, თბილისის საapელაციო სასამართლომ ძალში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 19 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და შპს „რუსთავის ფოლადისთვის“ მაქინაციებით გადაცემული ქონება საკუთრებაში დაუბრუნდა „ქართულ ფოლადს“. ამ რთული ქვეწყობილი წინადადების უკან ერთი სიმართლეა – „ქართული ფოლადი“ თავის წართმეულ ქონებას იბრუნებს! ძალიან მალე სამართლიანობა სრულად აღდგება და ნურავის ექნება ილუზია, რომ რაიმეს შეცვლას შეძლებს. ჩვენ რთულ და სამართლებრივად სწორ გზას დავადექით, ჯარითა და ძალადობით წართმეულს სასამართლოსა და კანონის გზით დავიბრუნებთ. ვერც სახელისუფლებო კულუარებში (ძველსა და ახალშიც), ინტრიგების ხლართვა, ვერც საზოგადოებისა და სასამართლოს დაშანტაჟების მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს. ყველაზე დიდ სკეპტიკოსებსაც თუ რაიმე კითხვა ან ეჭვი ჰქონდათ, მჯერა, 2013 წლის 1-ლი ოქტომბრის გადაწყვეტილებამ პასუხი გასცა – რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჩვენია და იქ ძალიან მალე დავბრუნდებით.**

– მოდით, მკითხველს განვუმარტოთ, როდის და რა მოტივით დაიწყეთ „რუსთავის ფოლადთან“ დავა?

– სამართლებრივი დავის დაწყება „რუსთავის ფოლადთან“ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც სამართლიანობის აღდგენის საშუალება მოგვეცა და 2013 წლის 4 თებერვალს სს „ქართული ფოლადის“ დირექტორად დავინიშნე. „რუსთავის ფოლადის“ მიმართ „ქართულ ფოლადსა“ და „თუჯ XXI“-ს სამართლებრივი და ფინანსური პრეტენზიები აქვს და თავისი ქონების დაბრუნებას ითხოვს, რომელიც მაქინაციებით, გაყალბებითა და ძალადობით მიითვისა ინა გუდავაძემ და მისგან კონტროლირებადმა „რუსთავის ფოლადმა“. ძალადობა კი 2011 წლის 6 ივლისს დაიწყო: ყველა საინფორმაციო საშუალებამ გადმოსცა, რომ სახელმწიფოსა და ინა გუდავაძეს შორის „იმედსა“ და მთაწმინდის პარკზე დავა დასრულდა, შეთანხმება მიღწეულია... ორ საათში ვანო მერაბიშვილის ბრძანებით კახაბერ ლეგაშვილს საჯარისო ფორმირებები შემოჰყავს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში... 15 წუთში ქარხნის ტერიტორია დაგვატოვებინეს. შემდეგ იწყება განუკითხაობის, მაქინაციების, ბიუჯეტის ძარცვის კასკადი. რატომაც არა, ინა გუდავაძესა და ნაციონალებს ხომ შეთანხმება აქვთ – ერთი ძარცვავს, მეორე კი ამის უფლებას აძლევს, უფრო სწორად ეხმარება.

უკავშირდება თუ არა გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტებს „ქართული ფოლადის“ თანამშრომლების „სასტიკი მკვლელობა“?

– გავრცელდა თქვენი განცხადება, სადაც ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს, ინა გუდავაძეს ბიუჯეტიდან თანხის უკანონო მითვისებაში ადანაშაულებთ, ამის არგუმენტი რა არის?

– ზოგადად, რა ხდებოდა მთელი ორი წლის განმავლობაში, ვიცოდით, მაგრამ უკვე, როგორც „ქართული ფოლადის“ დირექტორსა და „თუჯი XXI“-ის ბენეფიციარი ფირმის ერთადერთ ოფიციალურ წარმომადგენელს (ეს ორი სააქციო საზოგადოება აკონტროლებდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას 2011 წლის 6 ივლისამდე. – ავტ.), საშუალება მომეცა, ოფიციალურად გამომეთხოვა საბუთები და იურისტებთან და ფინანსისტებთან გავიარე კონსულტაცია, მართლაც შოკისმომგვრელი რეალობა დაგვხვდა. იცით, ეს რას ჰგავს? ნაციონალები თავის მაკომპრომეტირებელ კადრებს რომ იღებდნენ და ინახავდნენ. ისეთი თეთრი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინა ხელისუფლების კავშირებზე არჩევნებამდე გამოქვეყნდება

„იცით, ეს რას ჰგავს? ნაციონალები თავის მაკომპრომეტირებელ კადრებს რომ იღებდნენ და ინახავდნენ“

„ეს დოკუმენტი მალე გასაჯაროვდება, საზოგადოება მზად უნდა იყოს სტერეოტიპების ნგრევისთვის“

ძაფით აქვს ნაკერი ინა გუდავაძესა და მის კრიმინალურ ჯგუფს თავისი მაქინაციები, რომ ხუთი წლის ბავშვიც კი გაერკვევა. ეგონათ, ამ თემაზე ხმას არავინ არასდროს ამოიღებდა და ნაციონალებიც ყოველთვის იქნებოდნენ. აბა, რას ნიშნავს, რომ ერთ წუთში ხელოვნურად ქმნი 39 მილიონის დღგ-ს ზედმეტობას და შემდეგ ამას ანაღდებ კიდეც? თუმცა ეს არაფერია. ბიუჯეტიდან მითვისებულ უფრო დიდ თანხებზეც შეიძლება საუბარი, ეს დაახლოებით რამდენიმე ასეული მილიონია. გუდავაძე იპარავდა, ნაციონალები კვერს უკრავდნენ და ამის ყველაფრის გარანტი 2011 წლის 6 ივლისის გრიფით საიდუმლო დოკუმენტია.

– საქართველოს მთავრობამ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანსა და პატარკაციშვილების ოჯახს შორის დადებულ გარიგებაზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. რა ინფორმაციას ფლობთ, გრიფით დაცულ დოკუმენტზე, რომელზეც პრემიერმაც მიუთითა, რომ მისი გაცნობის შემდეგ, „თმა ყალყზე დაუდგა“. ეს დოკუმენტი პატარკაციშვილის ქვრივის მაკომპრომეტირებელი შეიძლება აღმოჩნდეს?

– ადეკვატური შეფასებაა. სამწუხაროდ, მე დოკუმენტი არ მინახავს, მაგრამ სამი წელია, სხვადასხვა ადამიანები ერთი და იგივე შინაარსს მიყვებიან, თუ რა წერია ამ დოკუმენტში, სიცოცხლის ბოლომდე კი ზაზა ნინიძე დადიოდა და არკვევდა სიტუაციას, მექანიზმებს, როგორ შეიძლებოდა მსგავსი დოკუმენტის გასაჯაროება. მისასალმებელია, რომ ყინული დაიძრა და ეს დოკუმენტი მალე გასაჯაროვდება, საზოგადოება მზად უნდა იყოს სტერეოტიპების ნგრევისთვის, მათთვის წლების მანძილზე ბევრ დაგროვილ საინტერესო კითხვას გაეცემა პასუხი, ამ დოკუმენტზე თუნდაც თვალის გადავლების შემდეგ დარწმუნდებით, რომ ინა გუდავაძე კი არ იყო იძულებული, მსგავს ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი, არამედ მან და მისმა ჯგუფმა აიძულა ნაციონალები, მსგავსი დოკუმენტი შეექმნათ. თორემ რაში სჭირდებოდათ მიხეილ სააკაშვილსა და გიგი უგულავას ბიუჯეტის ძარცვაში მოწილე?! უბრალოდ, ინა გუდავაძემ „იმედით“ კიდევ ერთხელ კარგად ივაჭრა. და ამ ვაჭრობას ახლაც აგრძელებს. დღევანდელ მთავრობაში ძლიერი და გავლენიანი ლობისტების წყალობით, ცდილობენ, დღევანდელი ხელისუფლებაც მხარედ აქციონ, რეალობა შენიღბონ და მათთვის სასურველი სიმართლე შესთავაზონ საზოგადოებას, მთავრობას, პროკურატურას, სასამართლოს. თუმცა იმედია, მსგავსი შანტაჟის დრო და ბიუჯეტის ქურდების, შანტაჟისტებისა და მოძალადეების დრო დასრულდა! ამის დასტური მთავრობის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაა.

– თქვენ „ქართული ფოლადის“ ერთ-ერთ ოფისთან, ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას, რომლის დროსაც თქვენი ორი თანამშრომელი დაიღუპა, სასტიკი მკვლელობა უწოდეთ. თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ეტაპზეა საქართველოში მიმდინარე გამოძიება?

– როგორც გვარწმუნებენ, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ რა მიმართულებით, ვერ გეტყვით, ჩემთვისაც გაუგებარია, ჯერ მუხლიც კი არ შეცვლილა, თუმცა ჩვენი ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ შენობაში გაზი არ ყოფილა, ვიღაცამ აიღო გაზის ძველი მილი, შეყო სარკმელში, შემდეგ ეს მილი შეუერთა გაზის ცენტრალურ სისტემას და გახსნა დაკეტილი ონკანი! ვინმემ დამარწმუნოს, რომ მსგავს ქმედებაში შეიძლება იპოვო შემთხვევითობა ან დაუდევრობა. ძალიან გაუჭირდება გამოძიებას ამ ვერსიის გამყარება. იმედია, საქართველოში დადგა დრო, როცა ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ: როცა გაფეთქებენ და ადამიანი იღუპება, ეს მკვლელობაა; როცა ბიუჯეტის ფულს იპარავ და სხვის ქონებას ითვისებ – ქურდობა; როცა სახელმწიფოს აშანტაჟებ და ის შენთან 2011 წლის 6 ივლისს მსგავს აქტს აფორმებს – კრიმინალი! თანაც ორმხრივი კრიმინალი.

– რა ინფორმაციას ფლობდნენ გარდაცვლილები და შეიძლება თუ არა, რომ სწორედ ამის გამო მომხდარიყო მათ მიმართ ანგარიშსწორება?

– ალეკო მაისურაძე და ზაზა ნინიძე არა მარტო ჩემი მეგობრები, არამედ „ქართული ფოლადის“ თანამშრომლები იყვნენ! თავის დროზე ერთად ვშრომობდით იმისთვის, რომ ქარხანა ფეხზე დაგვეყენებინა და ეს მოვახერხეთ კიდეც. ისინი ჩართული იყვნენ იმ სამართლებრივ ბრძოლაში, რასაც ვაწარმოებთ. დიდი ხანია, ხმამაღლა ვაცხადებთ: ინა გუდავაძემ და ნაციონალებმა 2011 წლის 6 ივლისს შოკისმომგვრელ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ნაციონალების შტაბ-ბინა იყო ოქტომბრის არჩევნებისას. ინა გუდავაძე ნაციონალების მხარდაჭერით ძარცვავს საქართველოს ბიუჯეტს. 2011 წლის 6 ივლისს ინა გუდავაძე, ნაციონალების მხარდაჭერის წყალობით, საჯარისო შენაერთების დახმარებით, შევიდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და მაქინაციებით, საბუთების გაყალბებითა და კრიმინალური გზით ორი სააქციო საზოგადოების ქონება გადაიტანა „რუსთავის ფოლადის“ ბალანსზე! ეს მცირედი ჩამონათვალია იმ კრიმინალური ქმედებების, რაც ნაციონალებმა და ინა გუდავაძემ ერთად განახორციელეს ჩვენ მიმართ. ამას ემატება ქარხნის ტერიტორიაზე კარიკატურების ჩამოყრის თემა, რამაც წონასწორობა დააკარგვინა ინა გუდავაძესა და მის ძველ და ახლანდელ მფარველებს, ამის ავტორები კი ალეკო და ზაზა იყვნენ! მკვლელსა და დამკვეთს სხვა ამოცანა ჰქონდათ, მთლიანად გაენადგურებინათ გუნდი, რომელიც მათ ცხოვრებას უმწარებს. ჯოზეფ კეისთვის კი ეს სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ გაჩუმებულიყო. სხვადასხვა მიზეზთა გამო, იქ ზაზა და ალეკო დაიღუპნენ, მათ პირველ რიგში მე და კიდევ შვიდ, რვა ადამიანს სიცოცხლე შეგვინარჩუნეს! დამკვეთისა თუ დამკვეთების გასაგონად: ჩვენ უკან არათუ დასახევი, მოსახედიც კი მოგვიჭერით! სამართლებრივი ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ აქციეთ! 24 ივნისს, დღისით, ქალაქის ცენტრში სასტიკად მოკლეს ორი ადამიანი! ხელისუფლებამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მომხდარ მკვლელობაზე!

„რუსთავის ფოლადის“ ხელმძღვანელობა და პატარკაციშვილის ოჯახი კი „ქართული ფოლადისა“ და ჯოზეფ კეის გუნდის პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებს. სასამართლოს კი „თაღლითების მხარდაჭერაში“ ადანაშაულებს.

„რუსთავის ფოლადი“ შეშფოთებულია იმით, რომ ქართული სასამართლო ხელს უწყობს ჯოზეფ კეის კომპანიის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2011 წლის დეკემბერში ქარხნის აქტივები გასხვისდა „რუსთავის ფოლადზე“ ზუსტად იმავე სასამართლოს მიერ წარმოებული გადახდის უუნარობის საქმის წარმოების პროცესში დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის პირობების შესაბამისად. ჯოზეფ კეის, როგორც ცრუ და თაღლითი ადამიანის რეპუტაცია, საჯაროდ ცნობილია. მაგალითად, გიბრალტარის სასამართლოში დასმულ კითხვაზე პასუხად, ჯოზეფ კეიმ ერთმნიშვნელოვნად აღიარა, რომ მესამე პირებისთვის ფულის დიდი ოდენობით გამოძალვის მიზნით ის მზად არის, იცრუოს სასამართლოში“, – ნათქვამია „რუსთავის ფოლადის“ განცხადებაში, რომელიც ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ გავრცელდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ალასანიას გა

რითი იწამლ
სამხედროებ
შეიარაღებულ ძა

მარიამ ნადირაძე

ირაკლი ალასანიამ ოფიციალურად შესთავაზა დახმარება შს სამინისტროს ჯიჰადის საქმეს გამოგაძიებინებთო, რითაც, ალბათ საკუთარ განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი. ამასობაში კი დაავიწყდა, რომ ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ ქუთაისის ბრიგადაში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე განაცხადა: დამნაშავეს გამოვავლენთ, დავსჯით და თავებსაც დავაყრევინებთო. დღეს ბატონ მინისტრს, რატომღაც, არც გამოსაძიებელი საქმე ახსოვს და არც მოწამლული ჯარისკაცები.

სანამ მკითხველს ჯარში სამხედროების მოწამვლის ახალი ფაქტების შესახებ ვუამბობდეთ, შევახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ქუთაისის ბრიგადაში 11 ჯარისკაცი მოიწამლა და მაშინ მინისტრმა, მომხდართან დაკავშირებით, საკმაოდ მყვირალა განცხადებაც გააკეთა:

„დაველოდებით გამოძიებას და ყველა, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჩვენი ჯარის კვებას, რომელსაც მე და თავდაცვის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა ვთვლით, რომ ისევე უნდა მოეკიდო, როგორც შენი შვილის კვებას, – იქნება კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილი. როგორც კი გამოძიება დასრულდება და თუკი გამოიკვეთა დამნაშავეები, ჩემ მიერ აუცილებლად იქნება უმკაცრესი ზომები მიღებული და თავები დაგორდება. თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, რა პასუხისმგებლობაა, როდესაც შენ გაბარია ჯარის კვება და ჯარის მომსახურება“.

გამოძიების შედეგი არ გასაჯაროებულა, არც არავინ დასჯილა სისხლის სამართლის კოდექსის გათვალისწინებით.

თუმცა, მოდით ვნახოთ ამ ცვლილების პარალელურად რა შეიცვალა არსებითად ჯარის კვების მხრივ. ამასთან დაკავშირებით „პრაიმ-ტაიმს“ **„ახალგაზრდა ადვოკატთა“ უფლებადაცვითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი უამბობს:**

- ჯერ კიდევ ზაფხულში გავავრცელეთ საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ სენაკის ბაზაზე მოიწამლა 52 ჯარისკაცი. მივმართეთ თავდაცვის მინისტრს, რომ მოეხდინა რეაგირება, თუმცა მინისტრის მრჩევლებმა და ზოგიერთმა სამხედრო ანალიტიკოსმა სიცრუის ტირაჟირებაში დაგვადანაშაულეს. ჩვენ მივუთითებდით, რომ ეს ჯარისკაცები მოიწამლნენ საკვები პროდუქტებით, რომლითაც მათ „ქართული კვების კომპანია“ უზრუნველყოფს.

- თქვენი ინფორმაცია რამდენად საფუძვლიანი იყო?

- ეს ინფორმაცია ჩვენ მივიღეთ მოწამლული ჯარისკაცების ოჯახის წევრებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაერთხელ უარყვეს, აგვისტოში მივიღეთ ოფიციალური დოკუმენტი თავდაცვის სამინისტროდან, რომელიც ადასტურებდა, რომ სენაკის სამხედრო ბაზაზე, ივლისში, 52 ჯარისკაცი მოიწამლა და იქვე დასძინა, რომ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენი ორგანიზაცია არაერთხელ შეეცადა მიეღო პასუხი, თუ რა შედეგით დასრულდა გამოძიება, მაგრამ სამინისტროს ამაზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია და შესაბამისად, საზოგადოებისთვის უცნობია, დაისაჯა თუ არა რომელიმე უფლებამოსილი პირი, ან რა სანქციები და ზომები იქნა მიღებული.

- მოდით, ჩვენს მკითხველს ნუ შევიყვანთ შეცდომაში და აქვე ვთქვათ, რომ თუ გამოძიება აგვისტოში დაიწყო, ჯერ საგამოძიებო ვადები არ არის გასული და სანქციებზე საუბარიც ნაადრევია...

- ეს ფაქტი 25 ივლისს მოხდა და გამოძიებაც მაშინ დაიწყო. ახლა არის ოქტომბერი. როდესაც ამ ფაქტზე არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მის გამოძიებას არ სჭირდება სამი თვე. გამოძიება დასრულდა თუ არა, ამაზეც არ გვაქვს პასუხი. ჩვენი აზრით, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოძიება დასრულებული უნდა იყოს.

ახლახან მივიღეთ ინფორმაცია 320 ჯარისკაცის მოწამვლასთან დაკავშირებით სამ ბრიგადაში - მე-11, საინჟინრო და 31 ქარხნის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ნაწილში. როდესაც ამასთან დაკავშირებითაც მივმართეთ სამინისტროს, რომ მოეწოდებინა ინფორმაცია, დაედასტურებინა, ან არ დაედასტურებინა ეს შემთხვევა, სამინისტრომ კომენტარი საერთოდ არ გააკეთა. ის კვლავ აცხადებს, რომ თითქოს „ახალგაზრდა ადვოკატებს“ შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ჩვენი ინფორმაცია უტყუარია. ინფორმაციის წყაროა ჯარისკაცების ოჯახების წევრები. ჩვენ ვთხოვეთ მათ, იმისთვის, რომ სამინისტროს მხრიდან მანიპულაციას ადგილი არ ჰქონოდა, თავად გაეკეთებინათ განცხადება, მაგრამ მათ მაინც კონფიდენციალობა არჩიეს, რადგან ეშინიათ.

- რის?

- ეს შიში დაკავშირებულია მათი ოჯახის უსაფრთხოებასთან. ვარწმუნებდით, რომ შეცვლილია ხელისუფლება, მიდგომები და გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ მაინც კონფიდენციალურად დარჩენა არჩიეს. ამიტომ ჩვენ ვერ წავალთ მათი სურვილის წინააღმდეგ და როდესაც სამინისტრო მოითხოვს წყაროს დასახელებას, ჩვენ ვილებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სისწორეზე და მან პასუხი ჩვენ უნდა გაგვცეს. მათი სიჩუმე უფრო მეტ ეჭვებს ბადებს, რომ სიტუაცია ლოჯისტიკის სფეროში არის მოუწესრიგებელი და საგანგაშო. ამ სფეროში კვლავაც სისტემური და სამართლებრივი პრობლემებია. მართალია, შეიცვალა რა „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯმენტი, ჩვენ გავხდით მისი და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის მონაწილე. ჩვენ შორის მაშინ შედგა დიალოგი, თუმცა ეს უფრო გამოკითხვას ჰგავდა - მოგწონთ თუ არა „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯმენტი, ამაზე ყველა დათანხმდა, რომ ძალიან კარგია. მემდეგ, კრწანისის პოლიგონზე სახელდახელო სადილზე მიგვინვიეს. იქ, ბუნებრივია, ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა ამის შემდეგ მაინც გაირკვა, რომ ჯარში 33 ჯარისკაცი მოიწამლა. მაშ რა გამოდის? კომპანია, რომელმაც შეცვალა მენეჯმენტი, მაინც ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას, მაშინ, როდესაც ლოჯისტიკის სფერო არის ქვეყნის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. გახსოვთ, ალბათ, თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ თუ ეს სფერო არ იქნებოდა გამართული, უფლებამოსილი პირების თავებს დააგორებდა. ამის მიუხედავად, მაინც აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კვლავ მოუწესრიგებელია. თუ „თავების დაგორების პოლიტიკა კვლავ ძალაშია“ და უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობის საკითხი პრიორიტეტულია ამ სფეროსთან მიმართებაში, რატომ არ ხდება კომპანიის მესვეურების მიმართ სერიოზული პრეტენზიების წაყენება. და თუ ხდება, მაშინ აცნობონ საზოგადოებას. როდესაც ჯარისკაცები იწამლებიან, ლოჯისტიკის სფეროში კვლავ პრობლემებია, არ ჩანს პასუხიმგებლობის და კონკრეტული გადაწყვეტილებების საკითხი და ამასთან, მინდა შეგახსენოთ, რომ ეს კომპანია მონოპოლისტია ჯარის კვების სფეროში, რა უნდა ვიფიქროთ? ხომ არ გვაქვს საქმე მფარველობასთან, გავლენებთან? თუკი სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს ამ მხრივ ჯარის უსაფრთხოებას, მაშინ გამოაცხადოს ახალი ტენდერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი განზრახ დივერსიული ქმედებები იქნება ახალი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ. ეს არც ირაკლი ალასანიას რეიტინგს აწყობს, არც ახალი ხელისუფლების პოლიტიკას და არც ჯარის უსაფრთხოებას.

- როდესაც აცხადებთ. რომ ჯარისკაცები მასობრივად მოიწამლნენ საკვები პროდუქტებით, ამას სერიოზული დასაბუთება სჭირდება, ვინაიდან მოწამვლა შესაძლებელია მოხდეს ჰიგიენური ნორმების დარღვევითაც... თქვენი დასკვნა რატომ არის ასეთი კატეგორიული?

- ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჯარისკაცები მოიწამლნენ საკვები პროდუქტით.

- მაშინ ისიც გეცოდინებათ, კონკრეტულად რა პროდუქტით მოიწამლნენ...

- ეს ხდებოდა ერთი კვირის მანძილზე. როგორც ჩვენ ოჯახის წევრებმა გადმოგვცეს, ისინი ხორცით მომზადებული საკვებით მოიწამლნენ. ეს ინფორმაცია ჩვენთვის უტყუარია. ამ ბოლო შემთხვევაში, მართალია კონკრეტული დოკუმენტი არ გვაქვს, მაგრამ მტკიცების ტვირთი აქვს სამინისტროს და მან უნდა დაადასტუროს ან უარყოს ეს ფაქტი კონკრეტული დოკუმენტებით.

- როგორც ვიცი, „ქართული კვების კომპანია“ მჭიდროდ თანამშრომლობს თქვენთან...

- ჩვენი ერთჯერადი შეხვედრის შემდეგ დასრულდა ჩვენი კომუნიკაცია. მივესალმები, თუ მონიტორინგის საშუალებას მოგვცემენ. უფრო მეტსაც გეტყვით, როდესაც ამ კომპანიას ვკითხეთ ივლისში სენაკის ბრიგადაში მომხდარი ინციდენტის შესახებ, მან 20 არასამთავრობოს წინაშე თქვა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, საბოლოოდ კი ეს შემთხვევა სამინისტრომ დაადასტურა. რატომ იცრუა „ქართული კვების კომპანიამ“ არასამთავრობების წინაშე? ასე უნდა ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ებიან ...ი ...ლებში?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ქუთაისის ინციდენტის შემდეგ ქართული კვების კომპანიაში მენეჯმენტი ორჯერ შეიცვალა. „პრაიმტაიმის“ კითხვებს „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გახმოვანებულ ფაქტზე ამჯერად კომპანიის გენერალური დირექტორი, გიორგი როგავა პასუხობს:

- ციფრი, რომელიც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წარმოადგინეს, პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან გადაჭარბებულია. როგორც კი ეს ფაქტი დაფიქსირდა, ჯარისკაცები გადავიყვანეთ გორის ჰოსპიტალში, მაგრამ მათი რაოდენობა ბევრად მცირე იყო, ვიდრე 320 კაცი.

- რამდენია ეს ციფრი, თქვენი მონაცემებით?

- ზუსტ ციფრს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ დასახელებულ ციფრთან შედარებით გაცილებით ნაკლები. მათ სამი დღის განმავლობაში ჩაუტარდათ სამედიცინო გამოკვლევა, რომლის პასუხადაც მივიღეთ, რომ საჭმლით მოწამვლის ბაქტერიები არ ამოითესა. ეს იყო დიარეა. ეს არის მოწამვლის ძალიან მსუბუქი ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ინფექციურმა დაავადებამ, ენტეროვირუსმა, ან თუნდაც ელემენტარულად, ჰიგიენური ნორმების დარღვევამ. ასე რომ, „ქართული კვების კომპანია“ უარყოფს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს საკვები პროდუქტებით.

- ჩვენი ინფორმაციით ჯარში პრობლემები ისევ მოუგვარებელია კვების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არ არის აღჭურვილი სასადილოები შესაბამისი ტექნიკითა და თუნდაც ბრიგადის ათასობით პირადი შემადგენლობისთვის მომსახურე პერსონალს ჭურჭლის რეცხვა დღეში სამჯერ ხელით უწევს...

- სასადილოების ძირითად ნაწილში ამ დროისთვის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ჩვენ უკვე შესყიდული გვაქვს ახალი ინვენტარი, რომელიც უკვე ჩვენს საწყობებში ინახება. ეს ახალი დანადგარები ყველა სასადილოს რემონტის დასრულებისთანავე გადაეცემა. ამას გარდა, მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ ორმაგად გავამკაცრეთ კონტროლი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ჩვენს სამსახურში მუშაობს კონტროლის და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ყოველდღე ამოწმებენ იმას, რომ რამე ხარვეზი არ გაგვეპაროს. ახლა, ორშაბათს გვექნება ახალი უნიფორმების პრეზენტაციაც. ყველა თანამშრომელს შევუკერეთ ის სპეციალური სტანდარტების დაცვით. ამ თვის ბოლომდე იგეგმება სპეციალური ტრენინგების ჩატარება თანამშრომლების აბსოლუტურად ყველა რგოლისთვის. როცა სარემონტო სამუშაოები დასრულდება, უკვე ყველა პირობა გვექნება იმისთვის, რომ ასეთი ფაქტი აღარ დაფიქსირდეს.

- გამოდის, რომ თქვენი კომპანია ადასტურებს მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტს, მაგრამ არა საკვები პროდუქტებით, არამედ ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო?

- რა თქმა უნდა, ეს მოწამვლის ფაქტი არ არის და ამას ჩვენ კი არა, კონკრეტული სამედიცინო დასკვნები ადასტურებს.

- როდესაც ივლისში, სენაკში, 52 მოსამსახურე მოიწამლა, თქვენი კომპანია მაშინაც უარყოფდა ასეთი ფაქტის არსებობას, თუმცა აგვისტოში თავდაცვის სამინისტრომ ის დაადასტურა და ოფიციალურად განაცხადა, რომ მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაც დაიწყო. ამჯერადაც იგივესთან ხომ არ გვექნება საქმე?

- ამ მომენტისთვის შემიძლია ოფიციალურად დაგიდასტუროთ, რომ საქმე გვაქვს დიარეასთან, ისიც, არა რამდენიმე ასეული, არამედ რამდენიმე ერთეული ჯარისკაცის მისამართით და არ დასტურდება საკვები პროდუქტით მოწამვლის ფაქტი.

- ჩვენი ინფორმაციით, თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ ნაწილთან მჭიდრო თანამშრომლობა წამოიწყეთ, რომელთა შემადგენლობაში „ახალგაზრდა ადვოკატებიც“ შედიან. აძლევთ მათ მონიტორინგის განხორციელების საშუალებას?

- მართალი ბრძანდებით, ჩვენ კომპანიის ფარგლებში შევქმენით სამუშაო ჯგუფი. ბატონი არჩილ კაიკაციძვილთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჩვენს მენეჯმენტს. ასე რომ, კომუნიკაციის პრობლემა ჩვენთან მას არასდროს ჰქონია და სანამ ამ ინფორმაციას გამოაქვეყნებდა, შეეძლო დაგვკავშირებოდა და ეს ფაქტი ჩვენთან გადაემოწმებინა. ახლა კი დასკვნა თავად გააკეთეთ.

P.S. „პრაიმტაიმი“ იმედს იტოვებს, რომ თავდაცვის სამინისტრო, დაპირებისამებრ, ორშაბათს გაგვცემს პასუხს, რა ხდება რეალურად საინჟინრო ბრიგადაში, მე-11 ბრიგადაში და 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში.

ვინ აგებს პასუხს:

სექტემბერი:

- **320 მოწამლული ჯარისკაცი თბილისში**
- **ივლისი: 52 მოწამლული ჯარისკაცი სენაკში**
- **ივნისი: 11 მოწამლული ჯარისკაცი ქუთაისში**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დანაშაულებრივი სქემა ფინანსური პოლიციის,

როგორ დაინაწილა მილიონერი ლეონიძის ბიზნესი და ქონება ნაციონალურმა ელიტამ და როგორ შეუნყო ხელი მათ „თიბისი“ ბანკმა?

მარიამ ნადირაძე

ჩვენც და თქვენც ბევრი ისტორია ვიცით იმის თაობაზე, რომ ბანკის „ხელშეწყობით“ ვიღაცამ ქონება დაკარგა, ვიღაცამ – ბიზნესი, ზოგმა – სიცოცხლეც კი. ეს ამბავი კი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ საქმე სახელმწიფოს მიერ შექმნილ დანაშაულებრივ სისტემას ეხება, რომლის ერთ-ერთ მამოძრავებელ კომპონენტად კონკრეტული ბანკი სახელდება, რის შედეგადაც მილიონერი ჯერ უქონელი გახდა, შემდეგ კი პატიმარი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯემალ ლეონიძე და მისი კომპანია „მაგნატი“ ამ სქემის ერთადერთი მსხვერპლი არ ყოფილა. თუმცა დანარჩენების თავს გადახდენილი ამბები შემდეგი საუბრის თემაა.

მაშ ასე, როგორც ახლობლები ყვებიან, ამ კაცმა ნიჩბით დაიწყო მუშაობა და დროთა განმავლობაში უზარმაზარი ქონება შექმნა. ნავთობის ბაზარზე საქართველოში ის, პრაქტიკულად,15 პროცენტს ფლობდა. მის კომპანიას – „მაგნატს“ 4 ნავთობბაზა და 42 ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა. დღეს კი ეს ყველაფერი „გალფის“ საკუთრებაა, რომლის მთავარი წილის მფლობელი თავის დროზე თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი გახლდათ.

ჯემალ ლეონიძე დღესაც მიიჩნევს, რომ „მაგნატი“ სახელმწიფო მანქანამ ბანკების მეშვეობით წაართვა.

სანამ კონკრეტულ რესპონდენტთან დიალოგზე გადავიდოდეთ, მოკლედ გიამბობთ ისტორიის არსს:

უკვე ცნობილი ამბავია, რომ ნავთობიმპორტიორთა კარტელმა საქართველოში სხვა კომპანიები შევიწროება 2008 წლიდან დაიწყო. მათი საერთო რაოდენობა იმ დროისთვის 120-ს აღწევდა. იმ დანაშაულებრივი სისტემის წყალობით კი, რომელიც ბიზნესს დაუნდობლად უსწორდებოდა, საბოლოოდ 5 კომპანია დარჩა, რომელიც თვლიდა, რომ ამ ბიზნესიდან შემოსული მოგება მეექვსესთვის უკვე ზედმეტი იქნებოდა.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჯემალ ლეონიძის გასაჭირიც. „თიბისი“ ბანკმა, რომელიც მას წლების განმავლობაში საბრუნავ თანხებს კრედიტით აძლევდა და მათ შორის უთანხმოება მანამდე არ ყოფილა, მას 25-პროცენტიანი წილის შესყიდვა 5 მილიონ დოლარად შესთავაზა. მოლაპარაკების ეტაპზე, იმ მოტივით, რომ მაინც უნდა გაეცა მასზე ახალი თანხა, მილიონ-ნახევარი კრედიტი ჩამოაჭრა. დაპირებული თანხის მიცემას კი არ ჩქარობდა, რითაც ხელოვნურად შეუქმნა მის ბიზნესს პრობლემა იქამდე, რომ, როგორც ბატონი ჯემალი ამბობს, იქით დაეწყო კომპანიას ბანკისთვის ხვეწნა. ომის დროს ფორსმაჟორის შექმნის მოტივით წინსწრებით ვალის დაფარვა მოითხოვა ბანკმა „რესპუბლიკამაც“. „მაგნატი“ საბრუნავი თანხების გარეშე დარჩა.

„მაგნატი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანია იყო. თვეში 8 მილიონ ლიტრ საწვავს ყიდდა. კომპანიის წლიური ბრუნვა 150 მილიონი ლარი იყო. საბრუნავი თანხებისთვის მას რამდენიმე ბანკიდან სესხიც ჰქონდა აღებული. მათ შორის „თიბისი“ ბანკიდან. 2008 წელს ჯემალ ლეონიძემ, რომელსაც 75-პროცენტიანი წილი ჰქონდა კომპანიაში, ბიზნესი სრულად დაკარგა და ციხეში აღმოჩნდა.

კრიზისის დასაძლევად 2009 წელს გამოსავალი ისევ რატომღაც „თიბისიმ“ შესთავაზა. ამ შეთავაზებით ლეონიძეს უნდა შეექმნა ნავთობის სადისტრიბუციო კომპანია, ე.წ. „ნსკ“, რომელშიც „მაგნატის“ ქონება გადავიდოდა. ამიერიდან „ნსკ“ შემოიტანდა საწვავს და განახორციელებდა მის რეალიზაციას. მაგრამ ეს კორპორაცია უნდა ემართა „თიბისის“ მიერ შეთავაზებულ შემადგენლობას, რომელსაც ლეონიძე ჯენტლმენური შეთანხმებით წილებს გადააბარებდა, მაგრამ ამავდროულად გაფორმდებოდა უკან დაბრუნების ხელშეკრულებები თითოეულ ასეთ აქციონერთან. როდესაც „ნსკ“ „თიბისისთვის“ სასურველ თანხას ამოიღებდა, შემდეგ ეს გადაბარებული წილები უკან დაუბრუნდებოდა ჯემალ ლეონიძეს. მაგრამ ამასობაში, 2009 წელს ბიზნესმენი კეზერაშვილის უწყებამ, ფინანსურმა პოლიციამ დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე დაიჭირა, სასამართლომ კი მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შესაბამისად, ხსენებული უკან დაბრუნებების ხელშეკრულებების შედგენა ვერ მოესწრო. ლეონიძის სისხლის სამართლის საქმე კიდევ სხვა თემაა, რომელიც ჩვენს მკითხველთან საუბარს შორს წაიყვანს. თუმცა, მოკლედ შეიძლება ის ითქვას, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულები იყვნენ საჯარო რეესტრის ყოფილი თანამშრომლებიც, რომელთა მსგავსი დანაშაულიც სხვა პირების ეპიზოდებშიც ფიქსირდებოდა. ამის მიუხედავად, გამოძიებამ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით გადაწყვიტა, რომ ლეონიძე ამ დანაშაულის შესახებ საქმის კურსში იყო და ბრალდებულთა 15-კაციანი ჯგუფიდან თითქმის ყველასთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, ლეონიძის გარდა. რაც შეეხება „თიბისი“ ბანკთან დადებულ ჯენტლმენურ გარიგებას, დაახლოებით ერთი წლის წინათ ბანკი ჩემს კოლეგებს პასუხობდა, რომ „ნსკ“-ს წარმატებით რომ ემოღვაწევა ნავთობის ბაზარზე, ეს ლეონიძის დამსახურება სულაც არ იქნებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათთვის გაუგებარი იყო პატიმრობაში მყოფი ბიზნესმენის იმედები იმის თაობაზე, რომ კომპანიის მუშაობის შედეგად ის საბოლოოდ თავის კომპანიას უკან დაიბრუნებდა.

როდესაც ლეონიძესა და ბანკს შორის მემორანდუმი შედგა, რომელიც გვაუწყებს, რომ „ნსკ“ შეიქმნა, „მაგნატის“ მაშინდელი ქონება და სხვა კომპანიებში წილი სულ 28 მილიონ დოლარად შეფასდა. მოგვიანებით კი „თიბისი“ აცხადებს, რომ ეს ციფრები მას თავად „მაგნატმა“ მიაწოდა, იმის მიუხედავად, რომ არაერთი პირი ადასტურებს მემორანდუმამდე მაგნატში „თიბისის“ გამოგზავნილი აუდიტების მუშაობას. მათ შორის არის ფინანსთა დღევანდელი მინისტრიც, ნოდარ ხადურიც, რომელიც თავის დროზე „მაგნატის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. მოვლენების მიმდინარეობა გვაჩვენებს იმასაც, რომ „თიბისის“ გენერალური დირექტორის, ბატონი ვახტანგ ბუცხრიკიძის კატეგორიული მოთხოვნით, ლეონიძეს „ნსკ“-შიც 24-პროცენტიანი წილი ხუთამდე შეუმცირდა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ 11 ნავთობგასამართი სადგური კერძო მევალეებისგან იყო დაყადაღებული და მის მოსახსნელად 5 მილიონი იყო საჭირო, რასაც პატიმრობაში მყოფი ლეონიძე ვერ გადაიხდიდა. საბოლოოდ მილიონერი საკუთარ კომპანიაში წილის გარეშე დარჩა. „თიბისიმ“ კი „ნსკ“-ს ხელით 28 მილიონად შეფასებული ქონება 13 მილიონად გადასცა კეზერაშვილის „გალფს“.

ამასობაში, შეიცვალა ხელისუფლება. ჯემალ ლეონიძე პოლიტპატიმართა რიგებში მოხვდა. ახლა, როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, „თიბისი“ მზად არის, მას გადასცეს „ნსკ“ ჩუქების ხელშეკრულებით. მან ერთი პროცესი უკვე მოუგო ბანკ „რესპუბლიკას“, მეორე კი – თბილისის მერიას. უკვე დაიბრუნა თავისი მილიონნახევრიანი სახლი, რომლის მფლობელიც, „რესპუბლიკის“ წყალობით ერთ-ერთი გახმაურებული ნაციონალის სიდედრი აღმოჩნდა. თუმცა ამის შესახებ უფრო დაწვრილებით „პრაიმტაიმის“ მკითხველს უკვე ბატონი **ლეონიძის ადვოკატი, ზურაბ თოდუა უამბობს:**

– გეტყვით, როგორ გააკოტრეს „მაგნატი“ და როგორ მიიყვანეს იმ კონდიციამდე, რომ მისმა მფლობელმა დაუთმო თავისი წილი კრედიტორს. ეს სცენარი საქართველოში „ნაცმოძრაობის“ მიერ აპრობირებული და დამუშავებული იყო, როგორ ჩამოეშორებინათ არასასურველი ბიზნესმენები და როგორ ჩაეგდოთ მათი აწყობილი ბიზნესი ხელში. ამ დანაშაულებრივ სქემაში ყველას თავისი როლი ჰქონდა – ბანკს, პროკურატურას, ფინანსურ პოლიციას და საბოლოოდ ეს ყველაფერი სასამართლოში გვირგვინდებოდა. ეს ტრიუმვირატი ატერორებდა ბიზნესს.

– ლეონიძე რატომ იყო არასასურველი ბიზნესმენი?

– „მაგნატი“ ფლობდა ბაზრის 15 პროცენტს. ანუ, თვეში საშუალოდ ყიდდა 6 მილიონ ლიტრამდე საწვავს. ეს ხელისუფლებისგან არ კონტროლდებოდა. ამ პერიოდში დაიწყო კეზერაშვილმა ბაზარზე აქტიური შემოსვლა „გალფის“ სახით. სჭირდებოდა ქსელი, რომელიც „მაგნატს“ უკვე გამზადებული ჰქონდა. კარტელური გარიგების შედეგად შეიძლებოდა ლეონიძე ამოეგდოთ ამ სიიდან. ის ცდილობდა, რომ ისიც ყოფილიყო მათთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მეექვსეს ადგილი აღარ იყო, მათთვის 5 სუბიექტი უკვე საკმარისი იყო. იმისთვის, რომ ბაზარზე დარჩენილიყვნენ – „გალფი“, „ვისოლი“, „სოკარი“, „რომპეტროლი“ და „ლუკოილი“. მეექვსე აღარ დასჭირდათ. ამიტომ კომპანიას შეუქმნეს პრობლემები. არ მისცეს პროდუქციის შემოტანის შესაძლებლობა. თუ ამას მაინც გააკეთებდა, საბაჟოზე ისეთ პრობლემებს აწყდებოდა, რომ იძულებული ხდებოდა, ეს საწვავი საბოლოოდ გაეჩუქებინა. შიდა ბაზრიდან, ანუ „სოკარისგან“ რომ ეყიდა, ისეთი დაბალი მარჟა იყო, რომ ამით კომპანია მხოლოდ თავს თუ შეინახავდა. კარტელის სუბიექტებისთვის ყველაფერი სხვაგვარად იყო. იძულებული გახადეს, რომ კომპანია გაეყიდა. ამაში ჩართეს პროკურატურაც, სისხლის სამართლის დანაშაული შეუთით-



მილიონერი ჯემალ ლეონიძე საკუთარ კომპანიაში წილის გარეშე დარჩა. „თიბისიმ“ კი „ნსკ“-ს ხელით 28 მილიონად შეფასებული ქონება 13 მილიონად გადასცა კეზერაშვილის „გალფს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურატურისა და ბანკის მონაწილეობით

ზურაბ თოდუა

„თიბისიმ“ შავი საქმე გაუკეთა კეზერაშვილს და ნაციონალებს და დღეს ამაზე ლაპარაკიც არ უნდა“

EXCLUSIVE

„ამ დანაშაულებრივ სქემაში ყველას თავისი როლი ჰქონდა – ბანკს, პროკურატურას, ფინანსურ პოლიციას და საბოლოოდ ეს ყველაფერი სასამართლოში გვირგვინდებოდა. ეს ტრიუმვირატი ატერორებდა ბიზნესს“

ხნეს, რომ თითქოს თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას. 10 წელი მიუსაჯეს. კომპანიის წართმევაც არ აკმარეს, ოჯახის ქონებაც კი წაართვეს. სახლიც კი არ დაუტოვეს ადამიანს, რომელსაც მისი ოჯახი მთელი ცხოვრება აშენებდა მცხეთაში, მილიონ-ნახევრად შეფასებული სახლი სიმბოლურად ჩაიგდო ხელში ბანკმა „რესპუბლიკამ“.

– სიმბოლურად რატომ?

– დღეს უკვე ყველაფერი გაიშიფრა. „მაგნატის“ მფლობელის მილიონნახევრიანი სახლის პატრონი გახდა ნატალია კვანტალიანი, „ნაცმოძრაობის“ სიდედრი, ცნობილი ჩხიტუნიძის სიდედრი, იმ ჩხიტუნიძის, რომელსაც მთელი საქართველო დაეძებს. ეს ის კაცია, გირგვლიანის მკვლელებს სასათბურე პირობებში რომ ამყოფებდა. შემდეგ ეს სახლი ქალბატონმა ნატალიამ აჩუქა თავის ქალიშვილს, ჩხიტუნიძის მეუღლეს, ნათია ჩაჩუას. ეს სახლი აუქციონზე მოიგო კვანტალიანმა. ეს ყველაფერი უკვე გაშიფრულია. რატომ ჩემმა სიდედრმა, ან თქვენმა დედამთილმა ვერ იყიდა ასეთი სახლი? ახლა კი, რაც შეეხება სქემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს: ეს „თიბისი ბანკია“. მოგეხსენებათ, საბანკო ურთიერთობის გარეშე ვერც ერთი ბიზნესი ვერ იარსებებდა საქართველოში. ამ ბანკთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ლეონიძეს. სასესხო ვალდებულებებში იყო მასთან და ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. ახლა ისე ჩანს, რომ თითქოს „თიბისიც“ ამ კარტელური გარიგების მსხვერპლია, მაგრამ რატომღაც ამის შესახებ არ აცხადებს და რბილი პოზიცია უჭირავს წინა ხელისუფლების მისამართითაც. სინამდვილეში „თიბისი“ მართავდა მაშინ „ნსკ“-ს. მისი იყო ეს კორპორაცია. „თიბისის“ კარნახით შექმნა ლეონიძემ ეს სადისტრიბუციო კომპანია. შემდეგ პაკეტების სახით დაუთმო წილები აქციონერებს. მართვის პაკეტი „თიბისიმ“ ჩაიგდო ხელში. თვითონ უნდა შემოეტანა საწვავი... ლეონიძე იყო მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. პრაქტიკულად ლეონიძის ბიზნესს იმ დროიდან „თიბისი“ მართავდა. 2009 წლის ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი კარგად იმუშავეს. ოქტომბერში ბრუნვამ უკვე 5 მილიონი ლიტრი შეადგინა.

– ამ „ნსკ“-ს შექმნით ბანკმა რეალურად გამოსავალი ნახა ჩიხური სიტუაციიდან, თუ თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული ამ გზით „მაგნატისთვის“ ბიზნესის წართმევა და დაინტერესებული პირისთვის გადაცემა?

– ყველას ფეხი ჰქონდა აწყობილი მაშინდელი მამაძაღლური სისტემისთვის, რომელიც ზემოდან იყო დანერგილი. ყველა ცდილობდა, თავისი ბიზნესიც განვითარებინა და ხელისუფლებასაც მიტმასნოდა. ასე იყო „თიბისიც“. ნაციონალურმა ხელისუფლებამ სახელმწიფოს მართვის ისეთი სისტემა შექმნა, რომ ფაშისტურ გერმანიასაც შეშურდებოდა და კომუნისტებსაც. ისეთი სისტემა შექმნეს, რომელიც აიძულებდა ნებისმიერ ბიზნესმენს, ან მისულიყო მასთან, ან დაეღუპა თავი. „თიბისიმ“ ამ ყველაფერს ფეხი აუწყო. რაც უფრო აქტიური იქნებოდა, მით მეტი ნაჭერი შეხვდებოდა სახელმწიფოს სიკეთის ნამცხვრიდან. ასე თუ არ მოიქცეოდა, საბანკო სექტორიდან გააძევებდნენ. ის, მართალია, უჩინარი სცენარისტის პიესაში გარკვეულ როლს ასრულებდა, მაგრამ სამაგიეროდ საბანკო სექტორში შეეძლო თავისი სიჩქარით გაექროლებინა თავისი ავტომობილი. ასეთი მოქმედებების სანაცვლოდ, ვთქვათ, სასამართლო ხელისუფლებაში მას არავითარი დაბრკოლება აღარ ექნებოდა. ყველა საქმე ბანკს მოგებული ჰქონდა სასამართლოში, რაც მას მიღებული ჰქონდა სახელმწიფოსგან საჩუქრად იმის გამო, რომ ის ფარულად, ნებით თუ უნებლიეთ, მონაწილეობდა სახელმწიფოს მიერ დადგმულ სპექტაკლში. ასე იყო „მაგნატის“ შემთხვევაშიც: ბანკმა თავისი შავი საქმე გააკეთა, სამაგიეროდ სასამართლოში ნებისმიერ მისთვის საინტერესო საქმეს იგებს. წარმოიდგინეთ, კანონის დაუწერლად ეს სისტემა შექმნეს ნაციონალებმა. სოციალური ინჟინერია ჰქვია ამას. მათი პოლიტიკა ასეთი იყო – ან ამყევი, ან წასულია შენი საქმე და „თიბისი“ აჰყვა. ყველა ბანკი აჰყვა ამას. რომ არ აჰყოლოდა, ნებისმიერ მათგანს იმას გაუკეთებდნენ, რაც „მაგნატს“ გაუკეთეს. მაგრამ მე მიკვირს, დღეს რატომ არ არის აქტიური ეს ბანკი და რატომ არ საუბრობს ამ თემებზე. „ნსკ“-ც ასეთი კარტელური გარიგების მსხვერპლია. არ შეეძლო თავისუფლად ემუშავა მასაც, რომ არ ყოფილიყო კეზერაშვილის დაწერილი კანონები? რა, ფული არ ჰქონდა, რომ შემოეტანა ნავთობპროდუქტი? 43 სადგური და 4 ტერმინალი ჰქონდა. რა, ნავთობპროდუქტის შემოტანას ვერ შეძლებდა? რა, 50-თეთრიან მარჟაზე მეტი მოგება არ დარჩებოდა? მაგრამ არ ამუშავეს. უთხრეს, შენ, ძმაო, რაც გააკეთე, ეს უკვე კარგია, ახლა წადი, საბანკო საქმეს მიხედე, ეს ბიზნესი ჩვენიაო. „თიბისიმ“ შავი საქმე გაუკეთა კეზერაშვილს და ნაციონალებს და დღეს ამაზე ლაპარაკიც არ უნდა.

– ლეონიძის განთავისუფლების შემდეგ რამე შეიცვალა ბანკთან ურთიერთობაში?

– დღეს ისინი მზად არიან, რომ წილობრივი პაკეტი„ ნსკ“-ში ისევ უკან დაუბრუნონ ლეონიძეს, მაგრამ ერთადერთმა გარემოებამ შეგვიშალა ხელი. ამ კორპორაციაში ახლა უკვე ფინანსურ შემოწმებას ახორციელებს ფინანსური პოლიცია.

– წილის რა პროცენტს უბრუნებენ ლეონიძეს?

– მთლიანად, 100 პროცენტს. ამაზე თავიდან ვიყავით მოლაპარაკებული. ლეონიძის განთავისუფლების შემდეგ რამდენიმე შეხვედრის შედეგად ჩვენ შევთანხმდით, რომ „ნსკ“-ს საკუთრებაში გადმოსცემენ მას ჩუქების ხელშეკრულებით.

– თუ მისი ქონება უკვე „გალფს“ აქვს, რაში სჭირდება ლეონიძეს ქონების გარეშე დარჩენილი კომპანია?

– ამ კორპორაციას ბევრი რამ აქვს ისეთი, რომლითაც მე შემეძლება „გალფს“ ვედავო იმ კარტელურ გარიგებაზე. მაშინ, როცა 2009 წლის მონაცემებით, „მაგნატის“ უძრავი ქონება შეფასდა 29 მილიონ 700 ათას დოლარად, 1 თვეში 13 მილიონად როგორ იყიდა? რა მოუვიდა ამ ქონებას? ეს ქონება „თიბისი“-ს აუდიტებმა შეაფასეს. „გალფის“ ბაზა წყალსადენის ქუჩაზე 3 მილიონი ღირდა და 2 მილიონად გაიყიდა. საწვავის ბიზნესთან დაკავშირებული ყველა ქონება „გალფმა“ წაიღო „თიბისის“ ხელშეწყობით, სამი რესტორანი წაიღო ბანკმა „რესპუბლიკამ“. მერე ეს ქონება რესპუბლიკამ გაყიდა და ამ ქონების 70-პროცენტიანი წილის მფლობელი აღმოჩნდა ვინმე თამარ მერაბიშვილი, რომელიც გამოძიებამ ამდენ ხანს რატომღაც ვერ დაადგინა, ვინ არის. რესტორან „გვირილას“ მესაკუთრედ ის წერია. მე აღმოვაჩინე, რომ მისი მისამართი შეცდომით წერია – ახალქალაქი, მცხეთის ქუჩა. მესხეთის ქუჩა უნდა იყოს. იმ 58 ნომერს ძალიან საინტერესოდ ემთხვევა ვანო მერაბიშვილის სანათესაოს საცხოვრებელი. რესტორანი „მწვანე კონცხი“, მცხეთაში ბანკმა „რესპუბლიკამ“ წაიღო, „გვირილაც“, მეფრინველეობის ფაბრიკაც. ეს ფაბრიკა ეკონომიკის სამინისტრომ წაიღო 61 ათასი ლარის ვალის სანაცვლოდ. მერე კი ჩუქებით გადასცა ბანკ „რესპუბლიკას“. წარმოიდგინეთ, რა სქემა იყო აწყობილი.

– „რესპუბლიკის“ ვალი 1 მილიონ 900 ათასი იყო არა?

– მარტო რესტორანი „გვირილა“ ღირდა 2 მილიონი და ბანკმა 645 ათას ლარად მიჰყიდა კომპანია „დანს“, სადაც 70 პროცენტის მესაკუთრე არის ეს ქალბატონი თამარ მერაბიშვილი. ახლა ვეუბნები ფინანსურ პოლიციას, გაარკვიეთ, რა კავშირი აქვს ივანე მერაბიშვილთან თამარ მერაბიშვილს-მეთქი და რატომღაც ძალიან დიდხანს ფიქრობენ. პოტენცია აქვთ დაქვეითებული დღევანდელ სამართალდამცავ ორგანოებს, ჩვენი პროკურატურის თაოსნობით. იმპოტენცია სჭირთ და სჭირდებათ მისი ასამაღლებელი საშუალებები. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე არის ნასყიდობები გაფორმებული. ადამიანზე განახორციელეს ზეწოლა, გააძევეს ბაზრიდან, ჩამოართვეს ბიზნესი, მეწარმე სუბიექტი ჩამოაცილეს მთლიანად. 195-ე მუხლი არაჩვეულებრივად არის დაწერილი სისხლის სამართლის კოდექსში. რა უნდათ მეტი, ვერ გავიგე. 200 გვერდამდე მასალა დავუდე. ახლა გადაწყვიტეს, მოდი, ჩავატაროთ ფინანსური რევიზია, რა შედეგებს მოგვცემს, ვნახოთო. ატარონ, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? აჩიკო კბილაშვილს პირდაპირ ვუთხარი, პოლიტიკურ ვიაგრას საჭიროებ-მეთქი. ძალიან რბილი კაცი ხარ, ასე არ შეიძლება-მეთქი. თუ დაჰპირდით ხალხს, გააკეთეთ, თუ არადა, აქედან ძალიან ცუდად გაგაბუნძულებენ-მეთქი.

– მაგრამ სხვებთან შედარებით საწუწუნო დიდად არ უნდა გქონდეთ. 2 პროცესი მოიგეთ უკვე...

– ყოჩაღ მოსამართლე თამარ ონიანს. მან ბათილად ცნო აუქციონის შედეგები და მცხეთის სახლი ჯემალ ლეონიძის ოჯახს დაუბრუნდა. მეორე პროცესი მერიას მოუგეთ. როგორც ჩანს, მერს გაუჩნდა „აპეტიტი“ ლეონიძის ქონებაზე და იჩივლა, მისი დასაკუთრებული ერთ-ერთი ნაკვეთი 210 ათასი მიღირდაო. პირველივე ინსტანციაში ეს პროცესი მოვიგეთ.

როგორც ბატონ ზურაბ თოდუასთან საუბრიდან ირკვევა, სააკაშვილის ხელისუფლების ტრიუმვირატიდან ნაწყენი არც ბაჩანა ახალაია უნდა დარჩენილიყო. „თიბისი“ ბანკიდან გამოტანილი სესხით შეძენილი 60-ათასდოლარიანი ლეონიძის „ლენდ კრუიზერი“ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ახალაიას წყნეთის აგარაკზე ნახეს და გაირკვა, რომ მის ესკორტში იყო.

ერთი სიტყვით, ლეონიძის ქონების გაყოფისას „ვერხუშკა“ კმაყოფილი დარჩა. თუმცა კმაყოფილია თუ არა „თიბისი“ ბანკი იმ როლით, რაც თოდუასგან გაშიფრულ სქემაში ჰქონდა? ან რატომ გადაწყვიტა მან კომპანიის დათმობა ჯემალ ლეონიძისთვის დღეს?

ამ და სხვა კითხვებზე ვცდილობდით პასუხის მიღებას, როდესაც „პრაიმტაიმი“ „თიბისი“ ბანკის იურისტს, გოჩა სვანიძეს დაუკავშირდა და ასეთი პასუხი მიიღო:

– თუ ბატონ ჯემალ ლეონიძეს ვინმემ შეუქმნა პრობლემა, ეს არც ერთ ეტაპზე „თიბისი“ ბანკი არ ყოფილა. ის უბრალოდ იცავდა თავის გაცემულ სესხს, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო.

– ნებისმიერ ფასად?

– ეს რას ნიშნავს? რა თქმა უნდა, კანონიერების ფასად.

– თუმცა, ამ ისტორიაში სხვა სქემა იკვეთება...

– მოდით, ასე შევთანხმდეთ, ამ თემაზე სხვა კომენტარს არ გავაკეთებ. თუ თვლიან, რომ ადგილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულს, მიმართონ პროკურატურას, თუ მიიჩნევენ, რომ ვინმემ მათი სამოქალაქო უფლება დაარღვია, მიმართონ სასამართლოს. კი, ბატონო, ჩვენ თანახმა ვართ.

– რატომ შევიდა „ნსკ“-ში ფინანსური პოლიცია?..

– არ ვაპირებ სხვა კომენტარის გაკეთებას.

ბატონ გოჩას, ალბათ, ავიწყდება, რომ ის კომენტარს აკეთებს არა ერთი კონკრეტული ჟურნალისტისთვის, არამედ გაზეთის უკან მდგარი ათასობით მკითხველისთვის, რომლებიც იმავდროულად ბანკის არსებული, ან პოტენციური კლიენტები არიან. მით უმეტეს, რომ ამ უსიამოვნო ისტორიაზე ბატონი იურისტის ასეთი პასუხი ბანკის იმიჯზე სასიკეთოდ ნამდვილად არ ზრუნავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE



„ხმის დასახშობად სახეზე ბალიშს აფარებს, სამზარეულოდან გამოაქვს დანა და ყელის გამოჭრას ცდილობს. საბოლოოდ მან 71 წლის ზოია მ-ს მუცლისა და ყელის არეში დანით არაერთი ჭრილობა მიაყენა. ადგილობრივები ყვებიან, რომ ცხედარი დანით მთლიანად იყო დასახიჩრებული“

ბრალდებულის დედა: „ჩემი შვილი მკვლელი არ არის, მას ლესბოსელი დაესხა თავს და მხოლოდ თავი დაიცვა“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

სახლში, რომელსაც ახლა თქვენ ფოტოზე ხედავთ, საზარელი მკვლელობა სულ ცოტა ხნის წინ მოხდა. დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით ხანდაზმული ქალბატონის ცხედარი სწორედ აქ, მის საცხოვრებელ სახლში იპოვეს. გარდაცვლილი 71 წლის ზოია მ-აა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცველებმა მეორე დღესვე დააკავეს გარდაცვლილის მეზობელი 22 წლის გოგონა, რომელსაც სასამართლომ განზრახ მკვლელობის ბრალდებით უკვე შეუფარდა 7-წლიანი პატიმრობა.

რა გახდა მკვლელობის მოტივი და რამდენად რეალურია ადგილობრივებში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ მკვლელობა სექსუალური ძალადობის ნიადაგზე მოხდა? აიძულებდა თუ არა 71 წლის მოხუცი 22 წლის ნანა ბ-ს არატრადიციულ სექსუალურ კავშირზე დათანხმებას? მკვლელობისა და ბრალდებულის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, თუმცა საგამოძიებო ორგანოში დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1991 წელს დაბადებული პირი დააკავეს. დაკავებულმა საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლა მეზობელი, 71 წლის ქალბატონი, რომელიც დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, საკუთარ სახლში დააკავეს. მან დანაშაული აღიარა და მკვლელობის მოტივად შურისძიება დაასახელა“, – განუმარტეს „პრაიმტაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

საქმის დელიკატურობიდან გამომდინარე, ჩვენ თავი შევიკავეთ მკვლელობის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობის დასახელებისგან, ისევე, როგორც ფიგურანტების იდენტიფიცირებისგან, თუმცა ვესაუბრეთ ბრალდებულის დედასა და ადგილობრივებს, რომელთა ნაწილი – 22 წლის გოგონას მიერ გამოჩენილ სისასტიკეზე, ნაწილი კი მოხუცის მხრიდან გამოვლენილ სექსუალურ ძალადობაზე საუბრობს.

ერთ-ერთი მეზობელი „პრაიმტაიმთან“, კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიით, ყვება, რომ ზოია მ-სა და ნანა ბ-ს გასული წლის ნოემბრიდან „მეგობრული“ ურთიერთობა ჰქონდათ და 71 წლის ქალი 22 წლის გოგონას საჩუქრებითაც ხშირად ანებივრებდა.

– ეს ქალი მარტოხელა იყო და ამ გოგოს ოჯახთან ახლობლობდა. რაღაც საქმიანი ურთიერთობაც კი ჰქონდა მის მშობლებთან. ბოლო დროს, გოგონა ხშირად დადიოდა ზოიასთან სახლში, ეხმარებოდა კიდეც, მაგრამ რა ვიცი, რა გითხრათ... ყველაფერზე ლაპარაკი არც ღირს.

– რას გულისხმობთ?

– რას და თვითონ ეს ქალი ადრეც იყო შემჩნეული ასეთ რაღაცებში. აქ, სოფელში, ყველამ იცის, რომ მაგას ქალები მოსწონდა, მაგრამ ასეთ სიკვდილს, მე მგონი, არ იმსახურებდა. დიდი სისასტიკით იყო ჩადენილი ეს მკვლელობა, შვილო. არ ვიცი, ეს გოგო ამ ზომამდე როგორ მივიდა, ან რა გაუკეთა ასეთი.

კიდევ ერთი მეზობელი კი იმ დეტალებს იხსენებს, რომლის შესახებაც სოფელში ღიად არა, მაგრამ პირად საუბრებში ხშირად გაიგონებთ. ერთ-ერთი ადგილობრივი, ბრალდებულის მიერ ოჯახის წევრებისა და საგამოძიებო ორგანოებისთვის მონაყოლზე დაყრდნობით, ასეთ სურათზე მიუთითებს:

ნანა ბ. გვიან საღამოს სტუმრად მიდის ზოია მ-სთან. ამ დროს პენსიონერი ქალბატონი უკვე ძილისთვის ემზადება, თუმცა სტუმრად მისულ მეზობლის გოგონას მაგიდასთან ჩაის დასალევად მაინც იწვევს. საუბრის დროს ზოია მ. ნანა ბ-სთვის ხელზე მოფერებასა და მასთან ინტიმური ხასიათის დიალოგის წამოწყებას ცდილობს, 71 წლის ქალბატონი გოგონას კოცნასაც სთხოვს, რის შემდეგაც ნანა ბ. სწრაფად დგება სკამიდან შინ დაბრუნების მიზნით, გვერდზე გავლისას კი ზოია მ. გოგონას ხელს ავლებს და იწყებს სექსუალური ხასიათის ქმედებებს, რა დროსაც ნანა ბ. თავში არტყამს ხის „დუბინკის“ მსგავს საგანს, რომელსაც ის თან ატარებდა. თავში ჩარტყმის შედეგად ზოია მ. იატაკზე ეცემა და ცდილობს, ყვირილით მეზობლებს საშველად უხმოს, თუმცა ნანა ბ. მას ხმის დასახშობად სახეზე ბალიშს აფარებს, სამზარეულოდან გამოაქვს დანა და ყელის გამოჭრას ცდილობს. საბოლოოდ მან 71 წლის ზოია მ-ს მუცლისა და ყელის არეში დანით არაერთი ჭრილობა მიაყენა. ადგილობრივები ყვებიან, რომ ცხედარი დანით მთლიანად იყო დასახიჩრებული.

დანაშაულის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ნანა ბ. აქრობს შუქს და ტოვებს ზოია მ-ს სახლს. მკვლელობის იარაღს – დანასა და ე.წ. დუბინკას კი, გზად, ხევში აგდებს. ამჟამად განზრახ მკვლელობაში მხილებული გოგონა სასჯელაღსრულების ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაშია მოთავსებული. ჩვენ დავუკავშირდით მსჯავრდადებულის დედას, რომელიც შვილს სექსუალური ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევს.

ჯ.ჩ., ბრალდებულის დედა:

– ჩემი შვილი ნამდვილად არ არის დამნაშავე, თავდასხმა იყო ბავშვზე, ლესბოსელი დაესხა თავს და თავი დაიცვა. სხვა რა უნდა ექნა. ეს ქალი ძალადობდა ბავშვზე, ჩემი შვილი ისეთი დათრგუნულია ამ ამბის შემდეგ, რომ ყველაფერს მეც არ მეუბნება, იმდენად ამაზრზენი ქალი იყო ის. ბავშვი არც მოელოდა მსგავს რამეს, შვილიშვილად ეკუთვნოდა, მის ხელში გაიზარდა და ასეთი რამ აკადრა. იმდენად შეეშინდა და გადავიდა ჭკუიდან, რომ ემოციები ვეღარ გააკონტროლა და მოხდა ის, რაც მოხდა.

– ანუ თქვენი ქალიშვილი მხოლოდ თავს იცავდა?

– დიახ, ეს იყო თავდაცვა, ემოციის ნიადაგზე ბავშვმა ვერ გააკონტროლა, რას სჩადიოდა. როგორც შეეძლო, ისე დაიცვა თავი. მართალია, გადააჭარბა და დიდი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ შეშინებული იყო.

– მანამდე თუ ჰქონია ამ ქალს სექსუალური ძალადობის მცდელობა?

– არ ვიცი, შვილო, ბავშვი არაფერს ამბობს, დათრგუნული იყო და ძლივს გამოდის მდგომარეობიდან. ფსიქიატრთანაც კი გვქონდა რამდენიმე სეანსი. პოლიციას მოუყვა ყველაფერი, თავის ფეხით გაჰყვა განყოფილებაში და აღიარა, რაც გააკეთა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქვემო ქართლში 22 წლის გოგომ 71 წლის ქალი სექსუალური ძალადობის ნიადაგზე მოკლა

– თუ გსემიანით, სხვა ვინმესთან თუ ჰქონია ან გარდაცვლილს მსგავსი ძალადობის მცდელობა?

– ჰქონია და თანაც ძალიან ბევრთან. ახლა გავიგე ეს ყველაფერი, თორემ მანამდე ეჭვიც არაფერში შემპარვია. ოჯახში მოდიოდა ხოლმე ჩვენთან და პატივს ვცემდით, რითაც შეგვეძლო. ადრე ჩემს ქმარსა და მაგას რაღაც საერთო საქმეც ჰქონდათ და ჩვენს ოჯახთან ახლობლობდა. რას ნარმოვიდგენდი, რომ ასეთ რამეს იკადრებდა. ბავშვი მეუბნება, დედიკო, მე კი დავაშავე, მაგრამ მე თვითონ ვარ ძალადობის მსხვერპლიო. მე იმის საშუალება არ მქონდა, რომ ან გირაო შემეტანა, ან საპროცესო გარიგებაზე დაგვეწყო ფიქრი.

– ციხეში რა პირობებში იმყოფება? რამე პრობლემა ხომ არ შექმნია?

– არა, იქ ნორმალურად არის, მეუბნება, კარგად მექცევიანო. სულ ლოცვებსა და ფსალმუნებს კითხულობს. ძალიან პატივს სცემენ ციხეში, სხვათა შორის. მოძღვართან მოინანია დანაშაული, ხვდება, რა ცოდვაც ჩაიდინა. უკეთილშობილესი ბავშვია, ეს მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ აი, ამ ზომამდე მიიყვანა იმ ქალმა. ფსიქიატრს უთხრა, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდიო, არ ვიცი, რა დამემართაო. მასეთი ხალხის ატანა არ მაქვსო. იქ, ციხეშიც, ყველას უთხრა, ახლოს არავინ მომეკაროს და არაფერი მაკადროს, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებო. თავიდანვე გააფრთხილა ადმინისტრაციაც. ნუ, შიშები აქვს ბავშვს ისევ.

დავა მემკვიდრეობისთვის

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ვის დარჩება ცნობილი მხატვრის ტილოები?

თბილისში ცნობილი მხატვრის, ომარ დურმიშიძის კოლექცია სასამართლო დავის საგანი გახდა. 200-ზე მეტი დასახელების ფერწერულ ტილოსა და მხატვრის პირად არქივს ერთმანეთს ედავებიან ომარ დურმიშიძის ქალიშვილი და მოქალაქე ზურაბ კუხალაშვილი. უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნება – ამ საფუძვლით წამოიწყო სასამართლო დავა თეა დურმიშიძემ, რომელიც თავადაც ფერმწერი გახლავთ. ვინ არის ზურაბ კუხალაშვილი და როგორ ჩაიგდო ხელში ცნობილი მხატვრის ტილოები? სანამ ამ დეტალებს გაგაცნობთ, გეტყვით იმას, რომ ომარ დურმიშიძე 1994 წელს გარდაიცვალა, მისი ნამუშევრები ამჟამად არაერთი კერძო კოლექციონერის საკუთრებაა, თუმცა მხატვარი წლების განმავლობაში ერთადერთი ქალიშვილისთვის ქმნიდა კოლექციას, რომელიც არასდროს გაუსხვისებია. დურმიშიძეს სახელოვნებო წრეებში „ღამის მხატვრის“ მეტსახელითაც იცნობენ, რადგან ბევრ მის ნამუშევარში სწორედ ღამის თბილისის პეიზაჟებია ასახული. მისთვის დამახასიათებელი გახლდათ ხატვის განსაკუთრებული ტექნოლოგია, ე.წ. ნაკაწრი... დღეს ომარ დურმიშიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, როგორც უკვე გითხარით, დავის საგანი გახდა. რატომ ვერ იბრუნებს მისი ერთადერთი მემკვიდრე მამის კოლექციას, ამას მხატვრის ქალიშვილი, თეა დურმიშიძე თავად გვიამბობს:

– მამას სახლში ჰქონდა ნახატების მთელი კოლექცია, რომელსაც არ ასხვისებდა. ამ კოლექციას მიგროვებდა მე, მის ერთადერთ შვილს. თუ ვინმეს ამ კოლექციიდან რომელიმე ნამუშევარი მოეწონებოდა, ანალოგიურს უხატავდა, თუმცა თვითონ კოლექციას ხელს არ ახლებდა. აცხადებდა: ეს არ იყიდება, თეასიაო! მამას ჰყავდა მეორე მეუღლე. დედინაცვალთან მამას გარდაცვალების შემდეგაც შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ამ ქალბატონმა მამას ბინა გაყიდა, რაზეც ერთი წუთითაც არ გამომითქვამს პრეტენზია, სხვა სახლში გადავიდა და შესაბამისად, მთელი კოლექცია ამ სახლში გადავიტანეთ, ვინაიდან დედინაცვალი მარტო ცხოვრობდა და ამის საშუალება იყო. მე თვითონ დაცული სათავსი იმ დროისთვის არ მქონდა და მამას მიერ ჩემთვის დატოვებული კოლექცია, ჩვეულებრივ, იქ ინახებოდა. ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ შეიძლებოდა რაიმე პრობლემა შექმნილიყო ამ ნამუშევრებთან დაკავშირებით. გარდა ნახატებისა, იქ არის მამას მთელი არქივი, პირადი ნივთები, ჩანაწერები და ათასი რამ. ვფიქრობდი, სახლ-მუზეუმი გამეკეთებინა, მაგრამ იმ ეტაპზე ეს არ მოხერხდა. მამას გარდაცვალების შემდეგ მისი არაერთი გამოფენა მოვაწყვეთ და ჩვეულებრივ, ასე ვურთიერთობდით მე და ჩემი დედინაცვალი.

– და როდის შეიქმნა პრობლემები?

– ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჩემი დედინაცვალი გარდაიცვალა და ნასყიდობის ხელშეკრულებით ბინა ძმისშვილს გადასცა, თუმცა, ბინის გარდა, ამ ადამიანის ხელში აღმოჩნდა მამაჩემის ნახატები და პირადი არქივი. მე ბინაზე არანაირი პრეტენზია არ მაქვს და მხოლოდ იმ კოლექციის დაბრუნებას ვითხოვ, რომელიც მამამ ჩემთვის შექმნა. ჩემ გარდა, ომარ დურმიშიძეს შვილი საერთოდ არ ჰყოლია. დღეს კი ეს ადამიანები მიმტკიცებენ, რომ მთელი ეს შემოქმედება ეკუთვნის არა მხატვრის პირდაპირ მემკვიდრეს, არამედ მეორე ცოლის ძმისშვილს. ჩემი დედინაცვალი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა, გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ განზრახვას ჰგავს, რომ დაპატრონებოდნენ არა მარტო ბინას, არამედ მამას შემოქმედებას.

– ანუ თქვენ მიხვედით ბატონი ომარის ნამუშევრების წამოსაღებად და არ გამოგატანეს?

– დიახ, ჩემი დედინაცვლის გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ მივედი კოლექციის წამოსაღებად, რაზეც მითხრეს, შენ არაფერი გეკუთვნის, ყველაფერი ჩვენიაო. ავადმყოფობის დროს ამ ქალს დააწერინეს ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი გარდაცვალების შემდეგ კი გაეკეთეს სამკვიდრო. როდესაც მოლაპარაკების დონეზე არაფერი გადაწყდა, აქეთ მემუქრებოდნენ, რომ მთელ ნახატებს დაწვავდნენ. შევიტანე სარჩელი სასამართლოში. ამჟამად საქმე სააპელაციო სასამართლოშია და ნოემბერში ველოდებით გადაწყვეტილებას. ერთი სული აქვთ, ამ ნახატებს ოფიციალურად დაეპატრონონ და შემდეგ გაყიდონ, რადგან იციან, რომ მამაჩემის ნახატები საკმაოდ ძვირად ფასობს. მე პრეტენზია არ მექნებოდა, ეს ნამუშევრები მუზეუმში, ან ისეთი ადამიანების ხელში მოხვედრილიყო, ვისაც რეალურად ესმის ეს სფერო და, ზოგადად, ხელოვნება. ეს ხალხი კი მხოლოდ მერკანტილური მიზნებისთვის ცდილობს ამ კოლექციის ხელში ჩაგდებას. მე ხელში მაქვს მამაჩემის სამკვიდრო, საავტორო უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი ამ ნახატებზე, ასევე მყავს მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მამაჩემი ამ კოლექციას ჩემთვის ქმნიდა, თუმცა ეს პირველი ინსტანციის მოსამართლემ არ გაითვალისწინა და მე, მის ერთადერთ შვილს, ომარ დურმიშიძის ნახატები „წამართვა“, ზურა კუხალაშვილის სასარგებლოდ... ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო.

„ეს ადამიანები მიმტკიცებენ, რომ მთელი ეს შემოქმედება ეკუთვნის არა მხატვრის პირდაპირ მემკვიდრეს, არამედ მეორე ცოლის ძმისშვილს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოლკოვნიკ ტაბაღუას, იგივე

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ, ციხის ადმინისტრაციულ შენობაში და მათ შორის, ჩემს კაბინეტში შემოსვლა“

„ყველასთვის ცნობილი იყო გერონტი ალანიას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორ დათა ახალაიასთან ახლო მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მისი და დანარჩენი პატიმრების პრივილეგირებული ყოფნა ჩვენს დაწესებულებაში“

გერონტი ალანია

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ათობით პირის ჩვენება ფიგურირებს. მათ შორის მათიც, ვინც დეტალურად აღწერს, რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული კუდ-ის ოთხი მაღალჩინოსანი. გამოძიებამ ამ მიმართულებით დაკითხა სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი დირექტორი თემურ ტაბაღუაც, იგივე მამა ნიკოლოზი, რომელიც ამ დროისთვის უკვე სასულიერო პირი გახლდათ და მღვდელმსახურებას ეწეოდა. პროკურატურაში დაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ სასულიერო პირმა პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საგამოძიებო ორგანო მას ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა. მის ამ განცხადებას კი მალევე მოჰყვა საპატრიარქოს გადაწყვეტილება, რითაც მამა ნიკოლოზს მღვდელმსახურება შეუჩერდა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება, რომ მოძღვარი, რომელსაც პროკურატურასთან დაპირისპირების გამო ჯვარი ახსნეს, საპატრიარქომ, „შეუფერებელი საქციელის გამოსასყიდად, რეგიონში, ერთ-ერთ მონასტერში გაუშვა“.

„მამა ნიკოლოზი ნანობს ასეთ ნაბიჯს, ის გარემოების მსხვერპლი გახდა და ძალაუნებურად აღმოჩნდა გაუგებრობაში ჩართული. ამჟამად ის მონასტერში გაგზავნეს და სინანულშია“, – გვიყვება პირად საუბარში საპატრიარქოსთან დაახლოებული პირი.

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ზეწოლა და მართლაც აიძულებდნენ თუ არა მამა ნიკოლოზს ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას, თუმცა ფაქტია, რომ საქმეში დევს მისი დაკითხვის ოქმი, რომელსაც პირობითად შესაძლოა, მოძღვრის აღიარებაც კი ვუწოდოთ. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა თემურ ტაბაღუას, იგივე მამა ნიკოლოზის ჩვენება, რომელიც, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ თემურ ტაბაღუა 2012 წლის 23 დეკემბერს აღიკვეცა სასულიერო დიაკვნად მამა ნიკოლოზის სახელით და მსახურობდა სამების საკათედრო ტაძარში. ბერად აღკვეცამდე, 2002 წლიდან მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე და ბაჩო ახალაიას ახლო მეგობრად ითვლებოდა. 2006 წლის ივნისში, ახალაიამ თემურ ტაბაღუა დანიშნა სასჯელაღსრულების #10 საერთო რეჟიმის დაწესებულების ხელმძღვანელად. ეს დაწესებულება განთავსებული იყო ზაჰესში და განკუთვნილი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათთან გათანაბრებული პირების სასჯელის მოსახდელად. ციხის უფროსად თემურ ტაბაღუას დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ხსენებულ დაწესებულებაში გადაჰყავთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე.

„მათ გადმოყვანამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ზემოაღნიშნული პირების ჩვენს დაწესებულებაში შესაძლო მოთავსების თაობაზე, რის შესახებაც მე მითხრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა ბუცხრიკიძემ. მისივე მითითებით, სად-ის სამეურნეო ნაწილის თანამშრომლების მიერ მოხდა პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის ერთი ნაწილის, კერძოდ, მედპუნქტისთვის დათმობილი ოთახების გარემონტება. აღნიშნულით თავიდან უნდა აგვეცილებინა გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის სხვა პატიმრებთან ურთიერთობა და შესაძლო კონფლიქტები, რადგან ეს უკანასკნელნი შესაძლებელი იყო, რომ მათ მიერ ყოფილიყვნენ დაკავებულნი. სარემონტო სამუშაოები დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა, რა დროსაც ყოფილი მედპუნქტის ფართში მოეწყო ოთხი ოთახი, დამოუკიდებელი სველი წერტილები, შეიღება კედლები, იატაკი და სხვ. სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე ალანია, ღაჭავა, აფციაური და ბიბილურიძე საბადრაგო სამსახურმა მოიყვანა დაწესებულებაში“, – ყვება პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში მამა ნიკოლოზი, იგივე თემურ ტაბაღუა.

მისივე თქმით, ხსენებული პატიმრები ციხეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა მიაცილეს, რომელთა მხრიდან გაიცა მითითება, რომ ესენი არიან განსაკუთრებული პატიმრები და მათზე ციხის შიდა განაწესით დადგენილი არც ერთი წესი და ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო. მათ უნდა მისცემოდათ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მობილური ტელეფონით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება, ხოლო მათთან მისული მნახველები არ უნდა შეზღუდულიყვნენ დროში, არ უნდა შემოწმებულიყვნენ არც მნახველები და არც მათ მიერ მიტანილი ამანათები. მამა ნიკოლოზი ჩვენებაში ასევე მიუთითებს, რომ პატიმრების მოყვანის დღესვე საბადრაგო ავტომანქანით ციხეში მოიტანეს ავეჯი და სხვა ნივთები, რომელიც განთავსდა „განსაკუთრებული პატიმრებისთვის“ განკუთვნილ ოთახებში. სხვებისგან განსხვავებით, პრივილეგირებულ პატიმრებს ჰქონდათ ხის საწოლები, ტელევიზორები, მაცივრები, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა, ჰაერის გამაგრილებლები და სხვა ნივთები. მათ კომფორტულად მოწყობილ ოთახებში შეუყვანეს საკაბელო არხები და ინტერნეტი, საჭმელს კი მიირთმევდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამზარეულოში.

„მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციულ შენობაში და მათ შორის, ჩემს კაბინეტში შემოსვლა. არ მოწმდებოდნენ მნახველები და იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გვიან ღამემდე რჩებოდნენ, იმართებოდა სუფრები და ქეიფები. მეც მომიწია რამდენიმე ასეთ სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ალკოჰოლური სასმელებიც მიუღიათ სუფრის წევრებს... ზემოდასახელებულ პირებთან ხშირად მომსვლელთაგან შემიძლია დავასახელო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დავით ჩხიტუნიძე, ასევე, გენინსპექციის თანამშრომელი ია პაიჭაძე, მეგის ქარდავა და სხვები“, – ყვება სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი დირექტორი.

ჩვენებაში თემურ ტაბაღუა ასევე იხსენებს იმ ფაქტებს, როდესაც გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებული პირები საერთოდ ტოვებდნენ დაწესებულებას.

„2008 წლის აგვისტოში, ბაჩანა ახალაია, მისი მოადგილე კახა ბუცხრიკიძე, დავით ჩხიტუნიძე და კიდევ რამდენიმე პირი ვიმყოფებოდით თურქეთში დასასვენებლად. აგვისტოს დასაწყისში რუსეთთან გართულებული სიტუაციისა და დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, მე, ბაჩანა ახალაია, კახა ბუცხრიკიძე და კიდევ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამა ნიკოლოზის აღიარება



„იმართებოდა სუფრები და ქეიფები. მეც მომიწია რამდენიმე ასეთ სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ალკოჰოლური სასმელებიც მიუღიათ სუფრის წევრებს... ზემოდასახელებულ პირებთან ხშირად მომსვლელთაგან შემიძლია დავასახელო დავით ჩხიტუნიძე, გენინსპექციის თანამშრომელი ია პაიჭაძე, მეგის ქარდავა და სხვები...“

სად იმყოფება ამჟამად ბაჩო ახალაია მეგობარი სასულიერო პირი, რომელსაც საპატრიარქომ მღვდელმსახურება შეუჩერა?

რამდენიმე პირი საქართველოში დავბრუნდით 8 აგვისტოს და მაშინვე გავემართეთ საომარი მოქმედებების ეპიცენტრში (დავით ჩხიტუნიძე ჩვენზე ადრე ჩამოვიდა საქართველოში). კერძოდ, ზემოხსენებულ პირებთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად ვიმყოფებოდით ერედვში, სადაც მოვყევით დაბომბვაში და მე მივიღე მძიმე კანტუზია. საბოლოოდ თბილისში დავბრუნდი 11 აგვისტოს და როცა მივედი #10 დაწესებულებაში, ჩემმა მოადგილემ, მურად გაბუნიამ დამახვედრა დაახლოებით 25 პატიმრის სია, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, საომარ მოქმედებებში ჩაბმულიყვნენ. პატიმრების საომარ მოქმედებებში შესაძლო ჩაბმის შესახებ და ასეთი სიის შედგენის მითითება მივიღე პირადად დავით ჭაკუასგან, რომელიც ამ პერიოდში ბაჩანა ახალაიას მოადგილედ მუშაობდა.

#10 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიიტანეს სამხედრო ფორმები, მაგრამ საბოლოოდ ისინი არ გამოუყენებიათ, რადგან პატიმრები საომარ მოქმედებებში არ ჩართულან. თუმცა იმავე დღეს მობილურით დამიკავშირდა ჩემი მოადგილე და შემატყობინა, რომ #10 დაწესებულებიდან დავით ჩხიტუნიძემ გაიყვანა გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე. მე მაშინვე დავუკავშირდი ბაჩანა ახალაიას და მოვახსენე ზემოხსენებული პირების ციხიდან გაყვანის შესახებ, თავიდან მან გაიკვირვა და მითხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდა და დამიკავშირდებოდა, თუმცა მე იმავე დღეს პირადად შევხვდი ბაჩანა ახალაიას, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და იცოდა, რომ ხსენებული პირები მოდულის შენობაში იმყოფებოდნენ. აგვისტოს ბოლოს, ანუ დაახლოებით ათი დღის შემდეგ, კახა ბუცხრიკიძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ციხიდან გაყვანილი პატიმრები უკან მოჰყავდა დაწესებულებაში და მე უნდა გამეფრთხილებინა თანამშრომლები“, – ყვება ციხის ყოფილი დირექტორი თემურ ტაბაღუა.

მამა ნიკოლოზი საგამოძიებო ორგანოებს ასევე უყვება, რომ ციხეში დაბრუნებული „განსაკუთრებული პატიმრები“ კვლავინდებურად სარგებლობდნენ პრივილეგიებით და მათზე თითქმის არ ვრცელდებოდა არანაირი შეზღუდვა.

„გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა გაგრძელდა მათ საბოლოო განთავისუფლებამდე, ანუ 2009 წლის სექტემბრამდე“, – ყვება ტაბაღუა.

ის ხსენებული პატიმრების პრივილეგირებულ მდგომარეობას კუდის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კი, დათა ახალაიასთან მეგობრობით ხსნის და ამბობს, რომ შსს-ს სხვა ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც ასევე #10 დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს, მსგავსი უპირატესობებით არ სარგებლობდნენ.

„ზემოხსენებული პირებისთვის თითქმის შეუზღუდავი უფლებების მინიჭება, მიუხედავად მათი ციხეში ყოფნისა, არ უნდა ყოფილიყო კახა ბუცხრიკიძის გადასაწყვეტი საკითხი, ყოველ შემთხვევაში მის მიერ თქმულმა სიტყვებმა, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. ამასთანავე, ყველასთვის ცნობილი იყო გერონტი ალანიას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორ დათა ახალაიასთან ახლო მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მისი და დანარჩენი პატიმრების პრივილეგირებული ყოფნა ჩვენს დაწესებულებაში“, – წერს საკუთარ ჩვენებაში თემურ ტაბაღუა.

მოგვიანებით მან პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულა. შესაბამისად, უცნობია, ამ ჩვენებიდან რას ყვება თავისი ნებით და რას ზეწოლის შედეგად. საპატრიარქოსგან დასჯილი სასულიერო პირი, როგორც უკვე გითხარით, ამჟამად ერთ-ერთ მონასტერშია გაგზავნილი, „მღვდელმსახურისთვის შეუფერებელი საქციელის გამოსყიდვის მიზნით“. თუმცა ციხის ყოფილ დირექტორს საჯაროდ მაინც მოუწევს ჩვენების მიცემა. ეს მაშინ, როდესაც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე თემურ ტაბაღუას სასამართლოში გამოიძახებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობაში დაპირისპირება რომ არის, ეს პრემიერმა თავად დაამტკიცა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პარლამენტში ორი-სამი კაცი სიტუაციის აყირავებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეეცდება. ბუნებრივია, არავინ საუბრობს კონკრეტულ გვარებზე, თუმცა ამყირავებლების სია მიახლოებით არის ცნობილი. ეს ის დეპუტატები არიან, რომლებსაც საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რეგიონების საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელობა უნდოდათ. ამის უფლება მათ დავით საგანელიძემ არ მისცათ. შესაბამისად, მთავარი დაპირისპირებაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერსა და მათ შორის დაიწყო. საგანელიძე არც შტაბის ხელმძღვანელობის მსურველებს ასახელებს. თუმცა ფაქტია, რომ გადაჯგუფების აუცილებლობას თავად „ოცნების“ წარმომადგენლებიც ხედავენ. მაგალითად, ირაკლი ალასანიამ ღიად დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოალიცია უკვე ღირებულებების ირგვლივ გაერთიანდება. სწორედ ალასანიას განცხადების ფონზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ფორუმი“, უფრო კონკრეტულად კი გუბაზ სანიკიძე უმრავლესობის დატოვებას აპირებს... ლოგიკურად ებმის ორივე ინფორმაცია ერთმანეთს, რადგან ორიენტაციასთან დაკავშირებით „ფორუმის“ მიმართ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ არსებობდა კითხვები.

დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:

– შეიძლება ყველაზე ვიფიქრო, მაგრამ გუბაზ სანიკიძეზე მაგ ინფორმაციას ნამდვილად ვერ დავუშვებ. ტყუილი ინფორმაციაა.

– ალასანიამ განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ კოალიცია ღირებულებების ირგვლივ გაერთიანდება, ვიცით, რომ კოალიციაში საგარეო კურსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, შეიძლება რომ დასავლური ორიენტაციის პარტიები ცალკე ვიხილოთ?

– ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხთან დაკავშირებით...

– ცნობილია მრეწველების პოზიცია ნატოსთან მიმართებაში.

– კოალიციას ერთიანად აქვს გაცხადებული თავისი პროგრამაცა და ორიენტაციაც. ეს არის მჭიდრო ინტეგრაცია ევროსტრუქტურებთან და პარალელურად ურთიერთობის დარეგულირების მცდელობა რუსეთთან, რადგან ის უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკური პარტნიორი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ბაზრები ერთმანეთთან ძალიან მიბმულია და ანალოგიურია. ჩვენი ეკონომიკისთვის რუსეთის ბაზრის დაკარგვა ძალიან დიდი ტრაგედია იყო. შესაბამისად, კოალიციაში ზოგს მეტი ინტერესი აქვს, ამერიკული პოზიციები იყოს დომინანტი ქართულ პოლიტიკაში, ზოგი მხარს უჭერს ევროპული სტრუქტურებისკენ მეტად გადახრას... ეს სუფთა სუბიექტურია და მსჯელობის საგანია. თუმცა კამათი ამ საკითხზე კოალიციაში არ ყოფილა. რაც შეეხება მრეწველებს, მათი პარტია დაარსებულია უფრო ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად და ეკონომიკურ ღირებულებებს ეფუძნება. შესაბამისად, მათ შეიძლება მიაჩნიათ, რომ უმნიშვნელოვანესია რუსეთის ბაზრის, რაც შეიძლება სწრაფად ათვისება, მაშინ როცა კოალიციაში შემავალი სხვა პარტია თვლის, რომ რუსეთის ბაზარი მეორეხარისხოვანია და ბევრად მნიშვნელოვანია დასავლური ღირებულებების გატარება და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. ყველაზე სწორი პოლიტიკური გზა ორივე მათგანის შერწყმაა. ვფიქრობ, ჩვენი კოალიცია სწორედ ამას ახერხებს.

– პირადად თქვენი შეხედულება როგორია, რომელი უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ?

– რა თქმა უნდა, მე ყოველთვის მომხრე ვიყავი და ახლაც მომხრე ვარ იმისა, რომ, რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველანაირი შესაძლებლობა, რომ მოხდეს ჩვენი დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირება.

დავით საგანელიძე: „უმრავლესობიდან დეპუტატების გასვლას გამოვრიცხავ“

„რა ბერკეტები აქვს ბურჯანაძეს, რომ ფრაქცია შექმნას? ძალიან მაინტერესებს და იქნებ დამანახონ ის ადამიანები, ვისი მეშვეობითაც ბურჯანაძე ფრაქციას შექმნის?“

„შეიძლება სიტუაციის აყირავება გინდოდეს და შედეგად ფეხი მოიმტვრიო. საერთოდაც, შეიძლება თავზე დაგეცეს ის, რის აყირავებაც გინდა. მგონი, ასეთი ორი-სამი ადამიანი თუ არის უმრავლესობაში და ვფიქრობ, ისინი საკუთარ ფეხებს გაუფრთხილდებიან“

„იმედი მაქვს, ბატონი კობა ერთხელ მაინც შეასრულებს თავის ნათქვამ სიტყვას. ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში მან განაცხადა, რომ, თუ არჩევნებში 3%-ს ვერ მოაგროვებს, პოლიტიკიდან წავა“

EXCLUSIVE

– პრემიერის განცხადებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობაში ისევ პრობლემებია...

– ვიღაცებისთვის კომფორტული არ არის ის, რომ მე მათ უარი ვუთხარი საარჩევნო შტაბების თავმჯდომარეობაზე.

– შეიძლება ეს უკმაყოფილო დეპუტატები გავიდნენ და შექმნან ახალი ფრაქცია, უფრო სწორად, ბურჯანაძის ფრაქცია?

– არა, ამაზე არ არის საუბარი. მათ განწყობა ჰქონდათ ასეთი, თორემ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ბურჯანაძის არარსებულ ფრაქციაში გადავლენ. თუ გადასვლა უნდათ, მიზეზად შეიძლება ყველაფერი მოიგონონ, მაგრამ კოალიციიდან მათ გასვლას გამოვრიცხავ.

– რის საფუძველზე?

– არც ერთი არ არის ისეთი გამოუცდელი და გულუბრყვილო პოლიტიკოსი, რომ კოალიცია დატოვოს. ეს უფრო აგორებული თემაა და მეტი არაფერი.

– ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე ფრაქციას ვერ შექმნის პარლამენტში?

– როგორ შექმნის? რა ბერკეტები აქვს ბურჯანაძეს, რომ ფრაქცია შექმნას? ძალიან მაინტერესებს და იქნებ დამანახონ ის ადამიანები, ვისი მეშვეობითაც ის ფრაქციას შექმნის?

– მაგალითად, ამბობენ, რომ სოსო ჯაჭვლიანი, გოგი ქავთარაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი გადავლენ ახალ ფრაქციაში...

– რატომ გადავლენ? ისინი უმრავლესობაში არიან და მსგავსი მოსაზრება არც გამოუთქვამთ. ძალიან გული მწყდება, რომ გოგი ქავთარაძეზე, ჯაჭვლიანსა და ქანთარიაზე ასეთი ხმები ვრცელდება. შეიძლება ბევრჯერ გვქონდეს კამათი კონკრეტულ თემებზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად წავლენ სადმე.

– პრემიერმა აღნიშნა, რომ ორ-სამ კაცს სიტუაციის აყირავების სურვილი აქვს, ანუ ეს ადამიანები სერიოზულ ძალაუფლებას ფლობენ?

– ყველა დეპუტატს აქვს ძალაუფლება, თუმცა ბატონმა ბიძინამ ეს ტერმინი ისე იხმარა. ისე, აყირავებაც არის და აყირავებაც. შეიძლება, სიტუაციის აყირავება გინდოდეს და შედეგად ფეხი მოიმტვრიო. საერთოდაც, შეიძლება თავზე დაგეცეს ის, რის აყირავებაც გინდა. მგონი, ასეთი ორი-სამი ადამიანი თუ არის უმრავლესობაში და ვფიქრობ, ისინი საკუთარ ფეხებს გაუფრთხილდებიან.

– თუმცა თქვენ აღნიშნეთ, რომ არ არის გამორიცხული, რამდენიმე ადამიანმა ცალკე ფრაქცია შექმნას. სავარაუდოდ, ეს ის ადამიანები იქნებიან, ვისზეც პრემიერმა ისაუბრა?

– ვერ გეტყვით, რომელ ერთ-ორ ადამიანს გულისხმობდა ბატონი ბიძინა. ამასთან დაკავშირებით გარკვეული შეხედულებები და მოსაზრებები, ბუნებრივია, მაქვს, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მით უფრო, რომ მათ პრემიერი არ ასახელებს. თუმცა, რა თქმა უნდა, არიან უმრავლესობაში ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი პოლიტიკური მომავლისთვის უკეთესი იქნება, ცალკე ფრაქცია გააკეთონ, ეს არ არის გამორიცხული. ფრაქცია, რომელიც მეტ თავისუფლებასა თუ დამოუკიდებლობას მისცემს მათ, იმიტომ, რომ არ მოსწონთ რაღაც, რაც პოლიტიკაში ხდება. ეს მათი საქმეა და მათი პოლიტიკაა. შეიძლება რვა, ათი და თორმეტი ადამიანი განაწყენებულია იმით, რომ მეტად აქტიურობის საშუალება არ აქვს, თუმცა ეს მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ – ის, რომ აუცილებლად შტაბის ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყვნენ, მათ აქტიურობას არ განსაზღვრავდა. ამის მაგალითად დავითაშვილის მოყვანა შემიძლია. დავითაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი არასტაბილურობით. ამას წინათ ვიხსენებდით, რამდენი პოლიტიკური პარტია გამოიცვალა და ყველა პარტიიდან სკანდალით წამოვიდა. პოლიტიკაში ასეთი ადამიანები არიან, თუმცა ერთი მინდა ვთქვა: იმედი მაქვს, ბატონი კობა ერთხელ მაინც შეასრულებს თავის ნათქვამ სიტყვას. ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში მან განაცხადა, რომ, თუ არჩევნებში 3%-ს ვერ მოაგროვებს, პოლიტიკიდან წავა. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანების პოლიტიკიდან წასვლა ნამდვილად კარგი იქნება. კარგი იქნება, პოლიტიკა გაიწმინდოს ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც პოლიტიკაში მარტო პოპულიზმსა და საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გადაჰყვება თუ არა სოზარ სუბარი „ახალაიას სკანდალს“?

ადვოკატები მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვენ და სტრასბურგისთვის სარჩელს ამზადებენ

EXCLUSIVE

სამინისტრო: „ბრალდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა არის კანონიერი. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის გავრცელებას, სათანადო რეაგირებისთვის მასალები გადაეგზავნება პროკურატურას“

მირიან ბოქოლიშვილი

სოზარ სუბარი რომ არჩევნების შემდეგ პოსტის დატოვებას გეგმავს, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ სულ ცოტა ხნის წინ წერდა. სხვათა შორის, სასჯელაღსრულების მინისტრს ჩვენთან საუბარში ეს შესაძლებლობა ხაზგასმით არც უარყვია. „რა იქნება არჩევნების შემდეგ, ამაზე 27 ოქტომბრის შემდეგ ვისაუბროთ“, – აღნიშნა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას სოზარ სუბარმა.

ახალაიას საკნიდან გავრცელებული ფარული კადრების სკანდალმა კი სუბარის წასვლა შესაძლოა, კიდევ უფრო დააჩქაროს. უკვე გაისმა მოთხოვნა, რომ „ფარული მიყურადების გამო მინისტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და თანამდებობა დატოვოს“. ამ მოთხოვნას ბაჩო ახალაიას ადვოკატები აყენებენ, თუმცა, როგორც ამბობენ, სუბარის გადადგომით არათუ ახალაიას გარემოცვა, არამედ თვით სამთავრობო გუნდის ნაწილიც აქტიურადაა დაინტერესებული. ჩვენ ასევე ვწერდით, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან გამართული ერთ-ერთი საპროტესტო აქციის შესახებ, რომელიც, როგორც ამბობენ, სწორედ სამთავრობო კულისებიდან იყო მართული. კერძოდ, ჩვენი ინფორმაციით, სოზარ სუბარის უწყება მთავრობის ერთიან პიარსტრატეგიას ხშირად არ ემორჩილება და საკუთარ პოლიტიკას ატარებს, რის გამოც მავანი და მავანი გადაუმტერებია. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ფარული მიყურადების კადრები სწორედ ამ გუნდის მიერ იყოს გავრცელებული სოზარ სუბარის დისკრედიტაციის მიზნით. ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, რომელმაც ეს კადრები გაასაჯაროვა, წყაროს დასახელებას არ აპირებს, შესაბამისად, კვლავ პასუხგაუცემელია კითხვა: ვინ დგას სკანდალური კადრების უკან? პროკურატურა საქმეს რიგი ჩინოსნების მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე იძიებს. „პრაიმტაიმის“ კითხვაზე: რა იგულისხმება უფლებამოსილების გადამეტებაში – უკანონო ჩაწერა, თუ ჩანაწერის გავრცელება? – კბილაშვილის უწყებაში გვიპასუხეს, რომ „გამოძიება მუშაობს ორივე მიმართულებით და ძიების პროცესში დადგინდება ზუსტი კვალიფიკაცია“.

თავად სასჯელაღსრულების სამინისტროში კი განმარტავენ, რომ ბრალდებულ ბაჩანა ახალაიაზე ელექტრონული მეთვალყურეობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა. უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ აღნიშნულის თაობაზე შედგა სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ ის ინფორმირებული იყო და თანხმობა დადასტურებულია მისი ხელმოწერით.

„ჯერ კიდევ 2012 წლის 14 ნოემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბრალდებულ ახალაიას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა და ბრალდებული ამის შესახებ ინფორმირებული იყო. ამავე პერიოდში მას საშუალება ჰქონდა, მნახველებს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში შეხვედროდა, სადაც ელექტრონული მეთვალყურეობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ვიზუალური კონტროლით. პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია, განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებები დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და ბრალდებულთა ან მსჯავრდადებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა არის კანონიერი. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის გავრცელებას, სათანადო რეაგირებისთვის მასალები გადაეგზავნება პროკურატურას“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

სუბარის უწყებას კანონმდებლობის ინტერპრეტაციაში ადანაშაულებენ ბაჩო ახალაიას ადვოკატები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უწყებამ უხეშად შელახა მათი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები. ადვოკატი გოგა ონიანი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროდან მოითხოვა დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება, რის საფუძველზეც ბაჩო ახალაიას საკანში ელექტრონული მეთვალყურეობა დაწესდა, თუმცა ამ დრომდე ადვოკატისთვის ეს ბრძანება არ გადაუციათ. გოგა ონიანის თქმით, უკვე მზადდება სარჩელი, რომელსაც დაცვის მხარე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში წარადგენს.

გოგა ონიანი, ადვოკატი:

– დღეს სასჯელაღსრულების სამინისტრო აპელირებს „პატიმრობის შესახებ კოდექსის“ მე-9 და 54-ე მუხლებით, თუმცა ახდენს მათ ინტერპრეტაციას, უფრო ზუსტად კი არასრულად კითხულობს და იშველიებს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მათ აძლევს ხელს. რეალურად მე-9 მუხლში წერია, რომ შესაძლებელია, განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა, 54-ე მუხლში კი წერია, რომ „ადმინისტრაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული, ან კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებები. მე-9 მუხლისგან განსხვავებით, 54-ში წერია ფრაზა – „კანონმდებლობით დადგენილი წესის“, ანუ მე-9 მუხლის გამოყენებით შეუძლიათ ნებისმიერ შემთხვევაში განახორციელონ მეთვალყურეობა, ოღონდ მხოლოდ ელექტრონული და ვიზუალური. 54-ე მუხლი კი ითვალისწინებს აუდიოჩაწერასაც, თუმცა ადგენს „კანონმდებლობის მოთხოვნებს“, რაც გულისხმობს იმას, რომ მსგავსი ჩაწერა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ხორციელდებოდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე. ბაჩო ახალაიას ნამდვილად ხელი აქვს მოწერილი მის ელექტრონულ და ვიზუალურ მეთვალყურეობაზე, თუმცა მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ხდებოდა მისი აუდიოჩაწერაც. ეს ხდებოდა სრულიად უკანონოდ, სასამართლოს ნებართვის გარეშე. მე, როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატმა, მოვითხოვე დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება, თუმცა აღნიშნული ბრძანების ასლი დღემდე არ გადმოუციათ. აუცილებლად, ბოლომდე გამოვიკვლევთ ამ ფაქტს, გამოვკითხავთ იმ პირებსაც, რომლებიც პაემანზე იმყოფებოდნენ ბაჩო ახალაიას საკანში და მათ საუბარსაც ასევე უკანონოდ იწერდნენ, რითაც ასევე შეილახა მათი უფლებები. ყველა ეს მასალა განხილვისთვის გადაეცემა სტრასბურგის სასამართლოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან
ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კობა დავითაშვილი: „მარგველაშვილი შეიძლება მეც დავამარცხო, თუ მეორე ტურში გავედი“



„შეიძლება ივანიშვილი გულისხმობდა იმ ხალხს, ვინც უკმაყოფილოა საგანელიძის მოქმედებებით. ეს აბსოლუტურად შესაძლებელი და ლოგიკურია“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

კობა დავითაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მაფიის წევრობაში დასდო ბრალი და ყველა ამომრჩეველს, ვინც აპირებს, რომ ხმა „ოცნების“ კანდიდატს მისცეს, განმარტება გაუკეთა – „მარგველაშვილისთვის ხმის მიცემით ადამიანები ხმას არა ბიძინა ივანიშვილს, არამედ დავით საგანელიძეს აძლევენ, რადგან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, საგანელიძე კი რჩება“... დავითაშვილის განმარტებით, საგანელიძე არჩევნების შემდეგ რეალურ ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში და მას არა ქვეყნის, არამედ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენებს. დამადასტურებელ ფაქტად უმრავლესობის ლიდერის ძმისშვილის სამსახური მოიყვანა და მედიას „არქიმედეს“ გაკოტრების დეტალებით დაინტერესება ურჩია. „ხალხის პარტიის“ ლიდერს მიაჩნია, რომ თავად არის პოლიტიკოსი, რომელიც ვერასდროს ვერც ერთ მთავრობას ვერ ეგუება. სწორედ საკუთარი თავის ანტიპოდად მიიჩნევს საგანელიძეს და აცხადებს, რომ ის ყოველთვის ყველა მთავრობას გადასარევად ერგებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატი ვარაუდობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური სწორედ საგანელიძის წყალობით შედგება, რადგან ის შტაბში ქაოსურ სიტუაციას ქმნის და საკუთარი კანდიდატის გამარჯვებაზე მეტად სხვა მიზნებზე ზრუნავს...

კობა დავითაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:

– სხვათა შორის, არჩევნების გაყალბებას არ მოველი, ვთვლი, რომ თავად ივანიშვილი არ დაუშვებს ამას პოლიტიკიდან წასვლის წინ. ეს მაინც შეუძლია გააკეთოს ხალხისთვის და ამას აუცილებლად გააკეთებს. ელემენტარული არითმეტიკაა, თუ ხელისუფლებას ჰყავს მხარდამჭერების რაოდენობა, ისინი მიზანმიმართულად მიდიან არჩევნებზე მათი კანდიდატის ხმის მისაცემად. თუ გულგატეხილი ადამიანები სახლში დარჩებიან, ბუნებრივია, მისი ხმა ამ არჩევნებს მოაკლდება და ხელისუფლების პროცენტი გაიზრდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ამ ხმებს გააყალბებს. უბრალოდ, თუ აქტივობა არჩევნებზე დაბალი იქნება, შეიძლება ხმების იგივე რაოდენობა ბევრად მეტი იყოს პროცენტულად. ასეთ შემთხვევაში შეიძლება პირველივე ტურში დასრულდეს არჩევნები. მეორე ტური ჩატარდება თუ არა, ეს დამოკიდებულია ხალხის აქტიურობაზე.

– აქტიურობა იქნება?

– მე ვამჩნევ ორივე ტენდენციას, მხვდება ამომრჩევლის დიდი რაოდენობა, რომელიც აპირებს არჩევნებზე წასვლას და ასევე, მხვდება ამომრჩევლის დიდი რაოდენობა, რომელიც არ აპირებს მონაწილეობის მიღებას. ჩემი კამპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად სწორედ ის მიმაჩნია, რომ მოსახლეობას მოვუწოდო, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. თუმცა ამას სხვა კანდიდატებს ვერ ვამჩნევ.

– თქვენ უმრავლესობის ყოფილი წევრი ხართ, გაქვთ ინფორმაცია, ვინ იგულისხმა პრემიერმა ამყირავებლად?

– მე არ ვიცი, ვინ იგულისხმა ივანიშვილმა, თუმცა შეიძლება ივანიშვილი გულისხმობდა იმ ხალხს, ვინც უკმაყოფილოა საგანელიძის მოქმედებებით. ეს აბსოლუტურად შესაძლებელი და ლოგიკურია. ამას ადასტურებს ისიც, რომ გავრცელებული ხმები, საგანელიძის უმრავლესობიდან წასვლისა თუ გაშვების შესახებ, არ მართლდება. მე პირშიც მითქვამს ივანიშვილისთვის, რომ მისი საკადრო პოლიტიკა ძალიან სუსტი იყო. პოლიტიკა რომ გადავდოთ გვერდზე, „ქართუ ბანკის“ ორივე ხელმძღვანელი ერთმანეთზე სუსტია, ძიძავაც და ჩრდილელიც. ჩრდილელზე ივანიშვილი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდა. ჯერ ამბობდა, რომ შემოგზავნილი იყო, შემდეგ თქვა, ვიცოდი, შემოგზავნილი რომ იყო, მაგრამ იქით ვიყენებდიო. რაც შეეხება ძიძავას, მან საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ივანიშვილს. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ის ადამიანებში კარგად ვერ ერკვევა.

– თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილი ვერ ხვდება საგანელიძის მიზანს?

– არ ვიცი, რისი ბრალია. არ მინდა ფსიქოანალიზში შესვლა. უბრალოდ, მარტივად ვიტყვი, რომ ყველა ადამიანს სიამოვნებს ქება, ოღონდ ისეთი ქება, რომ არ მიხვდეს თავად, რომ ქებისთვის აქებენ. როგორც ჩანს, საგანელიძე ამას ახერხებს. საგანელიძის მიმართ უკმაყოფილება ძირითადად უკავშირდება წინა ხელისუფლების ჩინოვნიკების დატოვებას და უფრო მეტიც, გაძლიერებას რეგიონებში.

– რამდენად შეიძლება, რომ უკმაყოფილებამ ისეთი სერიოზული სახე მიიღოს უმრავლესობაში, რომ თავად პარტიამ მოითხოვოს საგანელიძის ჩამოშორება?

– მე როგორც ვიცი, ვიღაცებმა ეს მოთხოვნა ივანიშვილთან დააყენეს, მაგრამ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამ საკითხის დამყენებლები ამრევებად და ამყირავებლებად შერაცხა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს ადამიანები ან გაჩუმდებიან და დანებდებიან, ანუ მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ.

– მაშინ არ არის გამორიცხული, ახალი ფრაქციაც შეიქმნას პარლამენტში ან სულაც უმრავლესობის შენარჩუნების პრობლემა დადგეს?

– ეს დამოკიდებულია ძალიან ბევრ რამეზე, მათ შორის არჩევნების შედეგებზე. ვინ რამდენ პროცენტს აიღებს, ეს ბევრ რამეს განსაზღვრავს. თუ ბურჯანაძე სერიოზულ პროცენტებს აიღებს, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ პარლამენტში ფრაქცია შექმნას. მე თუ ვაჩვენე კარგი შედეგი, ჩემს ირგვლივ დაიწყება გაერთიანება.

– კარგ შედეგში რას გულისხმობთ?

– კარგი შედეგი იწყება 5%-დან. 5% – ეს არის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერის გადალახვის ტოლფასი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ივანიშვილი ბევრი საპარლამენტო დეპუტატის მიმართ აფიქსირებს უკმაყოფილებას, მან ჯერ მსახიობებს მისცა შენიშვნა, შემდეგ მაჟორიტარებს და ახლა გაჩნდა ახალი ჯგუფი – ამყირავებლები. აქედან გამომდინარე, ცხადია, მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მინიმუმ, ამ სამი ჯგუფის მოხვედრა საკანონმდებლო ორგანოში მცირდება. ბუნებრივია, ეს ადამიანები სხვა გზების ძიებას დაიწყებენ პარლამენტში მოსახვედრად. ამიტომ საპრეზიდენტო კანდიდატები, რომლებიც ხმების სერიოზულ რაოდენობას მიიღებენ, გახდებიან მიზიდულობის ცენტრი ასეთი დეპუტატებისთვის. თუმცა არის სხვა საკითხი. ჩვენ არ ვიცით, ვინ გამარჯვებს, ამაზე საუბარს მხოლოდ არჩევნების შედეგებით შევძლებთ.

– ეჭვი გეპარებათ, რომ მარგველაშვილი შეიძლება ვერ გავიდეს?

– კი, რა თქმა უნდა, სერიოზულად მეპარება ეჭვი.

– ვინ შეიძლება მოუგოს?

– მარგველაშვილი შეიძლება მეც დავამარცხო, თუ მეორე ტურში გავედი. იმის გათვალისწინებით, რომ შტაბის უფროსი საგანელიძეა, მე ველოდები, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა. რადგან შტაბში სრული ანარქიაა. ასევე კარგად მახსოვს, რას აკეთებდა ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საგანელიძე შტაბში. მით უფრო, მაშინ სტიმული იყო, ხალხს რეჟიმის მოშორება უნდოდა და ეს გააკეთა არა ქუჩაში გამოსვლით, არამედ საარჩევნო უბნებში და იქ დარჩა იქამდე, სანამ საკუთარი ხმები არ დაიცვა. დღეს ასეთი სტიმული არ არსებობს, ველოდები მეორე ტურს. ზოგადად, მეორე ტური ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში მეორე ტური არასოდეს ყოფილა, ის უნდა ყოფილიყო 2008 წელს, თუმცა ნაციონალებმა ეს არ დაუშვეს. ახლა თუ შედგება მეორე ტური, საზოგადოების ცნობიერების გაჯანსაღებისთვის ძალიან კარგი იქნება. ის ავტორიტარული ცნობიერების დამსხვრევას შეუწყობს ხელს.

– ანუ თქვენ გამოქვეყნებულ რეიტინგებს არ აღიარებთ?

– ვის რეიტინგებს? სააკაშვილის თუ ნავაროს რიეტინგები უნდა ვაღიარო? ორივე ისეთია, ერთი უნდა შეწვა და მეორე მოხარშო. ნავარო ბევრჯერ შეცდა პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან დაწყებული, ბევრად ძველი დროით დასრულებული, როცა ერთიანი საბჭო გვქონდა ოპოზიციას. მაშინ ივარაუდა, რომ 2008 წლის არჩევნებში 1%-ს ავიღებდით, მაგრამ 7% ავიღეთ.

– თუ საპრეზიდენტო არჩევნებზე დაბალი შედეგი აჩვენეთ, პოლიტიკას დატოვებთ?

– გადავიფიქრე, სტიმული მომცა დავით საგანელიძემ პოლიტიკაში დარჩენის. მივხვდი, რომ ნერვებს ვუშლი და აუცილებლად დავრჩები პარლამენტში, რადგან მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მისნაირ პოლიტიკოსებს და მუდამ ვებრძოდი.

კობა დავითაშვილი: „იმის გათვალისწინებით, რომ შტაბის უფროსი საგანელიძეა, მე ველოდები, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე პოპულარული ყველა

„არ გამოვრიცხავ, რომ ირაკლი ალასანიას აღარ ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მომავალ კაბინეტში თავდაცვის მინისტრის პოსტს ისევ დაიკავებს, ამიტომაც ასეთი ტელე-დუელებით პოლიტიკური ქულების მოპოვებას ცდილობს“

ქეთი ხატიაშვილი

ქართულ პოლიტიკაში შეიძლება ბევრი რამ მიკვირს, მაგრამ ორი რამ მაინც მერვე საოცრებას ჰგავს – ეს არის ნინო ბურჯანაძის ბოღმა და ირაკლი ალასანიას ამბიციები. როგორც ჩანს, ორივე მათგანი კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს საკუთარი ადამიანური სისუსტეებით პოლიტიკაში. ორივე მათგანს ჰქონია, რომ რაღაც ეკუთვნის და არ აძლევენ, ამიტომაც ერთი უფრო აგრესიულად და მეორე უფრო ინტრიგულად ამ რაღაცის (ამ შემთხვევაში, ძალაუფლების) ხელში ჩაგდებას ცდილობენ.

ინტრიგები ნინო ბურჯანაძემაც სცადა ჯერ კიდევ ადრეულ „ასაკში“, როცა მიხეილ სააკაშვილს უთხრა: მე და შენ ჟვანიას წინააღმდეგ ალიანსი შევკრათო. ეს „ვარდების ხელისუფლების“ მმართველობის პიკი იყო. მაგრამ შიდაკულუარული ინტრიგებით რომ ვერაფერი გაახერხა, აგრესიასა და რადიკალიზმზე გადავიდა.

ჯერ კიდევ ინტრიგების ფაზაშია ირაკლი ალასანია, პოლიტიკაში მისი შემოსვლის მომენტიდან. როგორც ერთხელ ერთ-ერთ ეთერში გია ბარამიძემ ალასანიას მართებულად შეახსენა, შენ მაშინ წახვედი და დატოვე დიპლომატის პოსტი, როცა ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა შენი გაერობა ყოფნა და დახმარებაო. შეგახსენებთ: ალასანიას პოლიტიკაში მოსვლის მოტივი 2008 წლის ომი გახდა. ნინო ბურჯანაძის მსგავსად, ისიც, არა პუტინზე, არამედ სააკაშვილზე გაბრაზდა.

შემდეგ ინტრიგების დიდი კასკადი იყო. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მის შესაძლო გაპრეზიდენტებას ეხებოდა. ეს ინფორმაციები კულუარებიდან ჟურნალისტებს რომ გამოეტანათ, რა თქმა უნდა, დაინყებოდა საუბარი: ეს დაკვეთილი პიარია ჩემს წინააღმდეგო. თუმცა, თავად პრემიერს ეს ველარ გაუბედა. მეორე მხრივ, შესაძლოა, ალასანიამ თავი მოტყუებულადაც კი იგრძნო. პოლიტიკაში ამ მდგომარეობას ერთი სიტყვით გამოხატავენ ხოლმე – „გადაგდებული“. ანუ ალასანია გადააგდეს.

არადა, ჯერ კიდევ ზუგდიდში მისი მაჟორიტარად წარდგენის დროს ბიძინა ივანიშვილმა თქვა ის, რაც ძალიან ლოგიკური იყო და დამაიმედებელიც ალასანიასთვის:

– რატომაც არა, მე სიამოვნებით გავიმეორებდი, რომ ირაკლი ალასანია შეიძლება ვიხილოთ საქართველოში ნებისმიერ მაღალ პოსტზე. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატს, დღეს ჩვენ არ ვაცხადებთ ამას, თუმცა ალასანიას რესურსი ნამდვილად აქვს...

ბიძინა ივანიშვილის ამ სიტყვების შემდეგ, ბუნებრივია, ალასანია დიდი იმედებით აღივსო. თუმცა, ივანიშვილმა მაჟორიტარად ის თბილისში არ დააყენა, სადაც მას გამარჯვების მაღალი შანსები ჰქონდა, და ზუგდიდში გაუშვა, საკმაოდ რთულ რეგიონში, შესაბამისად, ალასანიამ არჩევნები ვერ მოიგო.

შესაძლოა, ზუგდიდი რთული იყო, მაგრამ ახალაიების წინააღმდეგ სერიოზული კამპანია გახლდათ უკვე აგორებული და, წესით, ალასანიას უნდა დაემტკიცებინა, რომ გასუფთავებულ ბრძოლის ველზე მაინც შეუძლია ბრძოლა, თუმცა მაინც წააგო.

მაგრამ ნინო ბურჯანაძეს – ბოღმა, ალასანიას კი ამბიცია მოსვენებას არ აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ზუგდიდში წაგება ოფიციალურად აღიარა, ალასანიას მაინც გაუჩნდა გაპრეზიდენტების სურვილი. უკვე არჩევნების შემდეგ **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა:

– ის, რომ ალასანიას პრეზიდენტობა უნდა, მას ჩემთვის პირდაპირ არ უთქვამს, თუმცა ხმები მომივიდა, რომ ეს ასეა. კოალიციას ეს საკითხი ჯერჯერობით ოფიციალურად არ განუხილავს. თუ ალასანიას მართლა სურს პრეზიდენტობა, მას ამის უფლება აქვს... მე ვთვლი, რომ ორ-სამ თვეში კოალიცია განიხილავს ამ საკითხს და დაასახელებს კანდიდატს. ეს იქნება კოალიციის მიერ არჩეული კანდიდატი, რადგან კოალიციის ყველა წევრს აქვს უფლება, თავისი პოზიცია დააფიქსიროს. თუმცა, ეს ჯერჯერობით დროის საკითხია და ჩვენ ჯერ ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის მზად არ ვართ.

როგორც პრემიერის ერთ-ერთი პრესკონფერენციიდან გავიგეთ, მართალია, ირაკლი ალასანიას პრემიერისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ „ქართული ოცნების“ კულისებში აქტიურად მუშაობდა – კოლეგებს მხარდაჭერას სთხოვდა. და თითქოს აქაც არაფერია ცუდი და გაუგებარი. მაგრამ, როგორც ოფიციალურადვე ითქვა, ის თავად ივანიშვილის მეგობრებსაც კი სთხოვდა მხარდაჭერას, ისე რომ თავად პრემიერმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

პირველად კულუარული უთანხმოება გარეთ სწორედ **ალასანიამ** გამოიტანა, როცა ეკა კვესიტაძის გადაცემაში თქვა:

– ჩვენ საკმაოდ მძიმე საუბარი გვქონდა პრემიერ-მინისტრთან რამდენიმე დღის წინ. პრემიერ-მინისტრს ჰქონდა გარკვეული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ შიგნით, მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატების განხილვა ხდებოდა მასთან შეუთანხმებლად... მე მთლიანად ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს იმაში, რომ ეს კანდიდატურა უნდა იყოს შეჯერებული კოალიციის მიერ. მე თავად ძალიან არ მესიამოვნა, რომ ასეთი უხერხული საუბარი შედგა და მიზეზი გაჩნდა უხერხულობის. თუ ვინ იქნება მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს არის კოალიციის გადასაწყვეტი და კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი და ასეც მოხდება...

ბიძინა ივანიშვილმა მოგვიანებით განმარტა:

– საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას, ყველაფრის უფლება აქვს. თვითონ თუ მოუნდება, გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია, ეს გააკეთოს, ოღონდ ფორმები დაიცვას სწორად. თუ კოალიციაშია, კოალიციას შეეკითხოს, თუ მის აზრს არ გაიზიარებს, გადის კოალიციიდან და აკეთებს იმას, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია, შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია ამ ეტალონს, რაზეც უკვე ვისაუბრე, ვერ ერგება, მაგრამ მე მარტო არ გადავწყვეტ ამ საკითხს, გარწმუნებთ...

დაპირისპირება იმდენად გამწვავდა, რომ პრემიერმა საკუთარ თავდაცვის მინისტრს ოფიციალურად შეახსენა, რომ ოჯახი მთავარი ღირებულებაა და ღალატი არ ღირს. მოგვიანებით კი ის პირველი ვიცე-პრემიერის პოსტიდანაც გადააყენა.

ირაკლი ალასანიას კი მოუწია, კოალიციის თამაშის წესებით ეთამაშა. თავდაცვის მინისტრმა მაშინ თქვა:

– ჩვენ გვქონდა პრემიერთან საუბარი ორი დღის წინ. პრემიერმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმდენად მნიშვნელოვანია თავდაცვის სტრუქტურა, თავდაცვის მიმართულება, რომ მე მომეხსნას სხვა დამატებითი ფუნქციები და ეს ეხება ვიცე-პრემიერის პოზიციას. აქედან გამომდინარე, არ მინდა, ვინმემ არასწორი დასკვნები გააკეთოს. არანაირი გაუგებრობა ჩემსა და პრემიერს შორის არ არსებობს, ყველა კითხვა მოხსნილია...

მაგრამ ყველა კითხვა მოიხსნა ამბიციების მორიგ შემოტევამდე. ალბათ, ეს მაშინ ყველას კარგად ესმოდა. ყველას, ვინც ირაკლი ალასანიას კარგად იცნობს.

მაშინ ვის ებრძოდა ირაკლი ალასანია, უცნობია. სავარაუდოდ, უფრო ივანიშვილზე ცდილობდა ზეწოლასა და შთაბეჭდილების მოხდენას. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ან კულუარული ინფორმაცია აქვს ან უბრალოდ ინტუიციით გრძნობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერი გახდება. შესაძლოა, უბრალოდ, მის უფრო მეტ აქტივობას ხედავს და ამბიციებს ვერ თოკავს.

მოკლედ, რაც არ უნდა იყოს ალასანიას მოტივი, ის პრემიერის ფავორიტად წოდებულ ირაკლი ღარიბაშვილს ღიად დაუპირისპირდა. პირველად მაშინ, როცა ეგრეთწოდებული ჯიჰადის კადრი სოციალურ ქსელებში აიტვირთა.

ირაკლი ალასანიამ მოულოდნელად განაცხადა:

– უნდა დაისაჯონ ის სულმოკლე ადამიანები, რომლებმაც „ჯიჰადის ვიდეოები“ დაამზადეს და გაავრცელეს... ვიმედოვნებ, რომ გამოძიება მალე წარმატებით დასრულდება. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ გამოძიებაში თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებიც ჩაერთონ...

ალასანიას ამ ხმაურიან და მოულოდნელ განცხადებას ირაკლი ღარიბაშვილმა მოკლედ უპასუხა:

– ერთი მინდა ვთქვა, რომ არავის მივცემ უფლებას, ჩემი სამინისტროს საქმიანობაში, მუშაობაში ჩაერიოს. მე არავის საქმიანობაში არ ვერევი და ნურც ნურავინ ჩაერევა. ეს ძალიან მარტივია და ნურც ნურავინ შეეცდება, რომ გამოძიებაზე რაიმე ზეწოლა განახორციელოს. ეს არის ძალიან პრინციპული და სენსიტიური საკითხი. ამ საქმეში ჩართულია ამერიკული მხარე, ამიტომ მე მოვუწოდებ ყველას, მოთმინება იქონიონ...

ირაკლი ალასანია მოთმინებით რომ იყოს ცნობილი, რაღა უჭირდა, გარკვეულ ეტაპზე სიჩუმეს მართლაც ინარჩუნებდა, თუმცა, რაც უფრო ახლოვდება პრემიერის მემკვიდრის დასახელებისა და კურთხევის დრო, მით უფრო კარგავს ალასანია მოსვენებას. ამიტომაც, გარკვეული ხნის შემდეგ, თავდაცვის მინისტრმა ისევ გაიხსენა ეგრეთწოდებული ჯიჰადის კლიპის თემა და ღარიბაშვილს მსუბუქად უკბინა, ამდენი ხანია ძიება გრძელდება და ეს საშნუხარო ფაქტიაო.

– მე დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში გარკვეულწილად ნათელი მოეფინება ამ საკითხს, ან ყოველ შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვის სამინისტროს ექნება ინფორმაცია, რამდენად შესაძლებელია პროგრესი ამ კუთხით, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენი სადაზვერვო შესაძლებლობები გაგვაჩნია, ჩვენ ჩვენი პარტნიორები გვყავს იმ საქმეში, რასაც ვაკეთებთ და ამიტომ, მაშინ ალტერნატიულ გზებს მივმართავთ ჭეშმარიტების დადგენის. თუკი პროგრესი არ იქნა მიღწეული გამოძიებაში, რომელსაც აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბუნებრივია, ჩვენ ჩავრთავთ ჩვენს საერთაშორისო და სადაზვერვო რესურსს, რაც გააჩნია თავდაცვის სამინისტროს, იმიტომ რომ ეს იყო პირდაპირი თავდასხმა ქართულ შეიარაღებულ ძალებზე. მე მესმის, რომ ეს რთულია. თავად ღარიბაშვილმა და გამოძიებაში ჩართულმა სხვა პირებმაც ამიხსნეს, რომ მართლაც რთულია გამოსაძიებლად, მაგრამ უნდა გამოვიძიოთ.

მეორე დღეს უკვე შს სამინისტრომ განაცხადა, რომ საქმე გამოძიებულია, თუმცა, ძიება გრძელდება. ალასანია მიხვდა, რომ წააგო, ამიტომაც იძულებული გახდა, ღარიბაშვილისთვის ოფიციალურად მიელოცა. ფაქტობრივად, ამით თავდაცვის მინისტრმა ოფიცია-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზე გავლენიანის წინააღმდეგ

„არავის მივცემ უფლებას, ჩემი სამინისტროს საქმიანობაში, მუშაობაში ჩაერიოს. მე არავის საქმიანობაში არ ვერევი და ნურც ნურავინ ჩაერევა. ეს ძალიან მარტივია და ნურც ნურავინ შეეცდება, რომ გამოძიებაზე რაიმე ზეწოლა განახორციელოს“

ლურად ბოდიში მოიხადა:

– ყველას ძალიან ახარებს ის ფაქტი, რომ დანაშაული გამოძიებულია. ვულოცავ შსს-ს. რა თქმა უნდა, ყველას იმედი გვქონდა, რომ მართლაც გაირკვეოდა ობიექტური ჭეშმარიტება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, მალე ნათელი მოეფინება იმ შეკითხვებს, რომლებიც გვქონდა: არის თუ არა ეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ დაკვეთილი; არის თუ არა ეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართული; იყო თუ არა ეს კამპანია, რომელიც იმ ტრაგიკულ დღეებში აგორდა საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე გამოძიება საზოგადოებას პასუხებს აცნობებს...

ექსპერტი კახი კახიშვილი ამბობს, რომ ალასანიას მხრიდან სატელევიზიო შოუებიდან გაკეთებული შეთავაზებები შეცდომაა:

– ის, რომ ტელეშოუებიდან ერთი მინისტრი მეორეს დახმარებას სთავაზობს, გამოძიებაში არასწორი და გაუმართლებელია. თუ ირაკლი ალასანიას მართლაც ჰქონდა რაიმე რესურსი, ამის შესახებ ტელევიზიით კი არ უნდა განეცხადებინა, არამედ წერილით მიემართა შსს-სთვის და საკუთარი ინფორმაცია მიეწოდებინა ან რესურსი შეეთავაზებინა... ეს ხომ ერთი პოლიტიკური გუნდია და ახლა, როცა ვითარება არასტაბილურია, არ არის მიზანშეწონილი ტელევიზიებით ურთიერთობების გარკვევა.

– ეს დაპირისპირება ალასანიას მხრიდან ღარიბაშვილის შესაძლო გაპრემიერებას შეიძლება უკავშირდებოდეს?

– არა მგონია... ალასანია ვერ გახდება პრემიერ-მინისტრი და ვფიქრობ, არც ღარიბაშვილი იქნება პრემიერი. ირაკლი ღარიბაშვილს ეს არ სჭირდება ახლა. შეგახსენებთ, ვანო მერაბიშვილიც კი შესუსტდა, როცა შს მინისტრობიდან პრემიერად გადაიყვანეს... შესაძლოა, უწყებრივ კონკურენციასთან გვქონდეს საქმე..

– თუ მხოლოდ კონკურენციაა, ალასანია რატომ თავის საქმეებს არ იძიებს? თუნდაც იგივე ჯარისკაცების მონაწილის საქმეს?

– ირაკლი ალასანიას ბევრი საქმე აქვს თავის უწყებაში გამოსაძიებელი. მათ შორის ორი ტერორისტული აქტი ავღანეთში. და სხვა ბევრი ისეთი გარემოებაც დახვდა უწყებაში, რომ სამხედრო პოლიცია სერიოზული დატვირთვით უნდა მუშაობდეს...

ირაკლი ალასანია ახლა კობა დავითაშვილს დაემსგავსა, რომელიც თითქოს საბაბს ეძებს იმისთვის, რომ რაიმე „გმირული“ მიზეზით კოალიცია დატოვოს. ერთხელ ასეთი „გმირული“ საბაბი იპოვა – 2008 წელი. ახლა, როგორც ჩანს, ქართველი ჯარისკაცების სახელითა და ღირსებით აპელირებს. თუმცა, სწორედ მისი მინისტრობის დროს მოხდა ჯარისკაცების მასობრივი მოწამვლის ფაქტები და ალასანია რატომღაც ამ საკითხის გამოძიებაზე არაფერს ამბობს...

ალასანიას ამბიციებმა შესაძლოა, მისი ქართული ოცნება – პრემიერ-მინისტრი მაინც გახდეს – აუხდენელი დატოვოს.

და უკვე მერამდენედ ვრცელდება ინფორმაცია ალასანიას შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით. ერთხელ თითქოს მან კოალიციიდან წასვლის საკითხი განიხილა საკუთარ პარტიაში, მაგრამ თანამოაზრე ვერ იპოვა. როგორც ჩანს, ვერც ახლა იპოვის. შემთხვევითი არ იყო, რომ ზურაბ აბაშიძემ თავის კომენტარში დაახლოებით ასეთი რამ თქვა: სკეპტიკოსებისთვის ეს გაკვეთილი იყოო. ეჭვი მაქვს, ამ სკეპტიკოსებში მხოლოდ ოპოზიცია, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ ეგულისხმა. ირაკლი ალასანიას საკუთარი სკეპტიციზმი არ დაუფარავს.

ირაკლი ღარიბაშვილმა კი ინგა გრიგოლიას გადაცემაში აღნიშნა, თეა წულუკიანმა იცოდა, საქმე გახსნილი რომ იყოო. რატომ იცოდა იუსტიციის მინისტრმა და არ იცოდა თავდაცვის მინისტრმა? ღარიბაშვილის განმარტებით, წულუკიანი დაინტერესდა და ამიტომაც ჩავაყენეთ საქმის კურსშიო. ირაკლი ალასანია არ დაინტერესდა.

ირაკლი ალასანია გუნდიდან ამოვარდნილია. ამ დაპირისპირებით მან არა მხოლოდ საკუთარი ამბიცია დააფიქსირა, არამედ ისიც, რომ ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრად არასოდეს აღიარებს. ანუ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პრობლემებია. ასეთი დაპირისპირება შევარდნაძის დროს ბევრი იყო.

სააკაშვილის ხელისუფლებაში გუნდი მაინც ცდილობდა, საკუთარი ერთიანობა ყოველთვის დაეფიქსირებინა. თუმცა, ირაკლი ოქრუაშვილმა თავიდანვე დაიჭირა ამ გუნდისგან დისტანცია. ის გავლენებით ლამის სააკაშვილს უტოლდებოდა. მის უწყებაში კონტროლის პალატაც კი ვერ შედიოდა. ღიად კი ის გია ბარამიძეს დაუპირისპირდა, როცა თავდაცვის სამინისტროში მივიდა. კონფლიქტი იმდენად გამწვავდა, რომ ბარამიძე და ოქრუაშვილი, ჟვანიასთან ერთად, სააკაშვილის კაბინეტში შეარიგეს. ესეც ღია ეთერში გავიდა იმის საჩვენებლად, რომ გუნდში პრობლემები არ იყო. მოგვიანებით კი, როცა ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადაყენეს, მან ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის აგორება სცადა. თუმცა, დამარცხდა. ირაკლი ოქრუაშვილი წავიდა მაშინ, როცა გული, როგორც თავად აღნიშნა, თავდაცვაში დაატოვებინეს, გონებამ კი ეკონომიკის მინისტრის სტატუსი ვერ მიიღო.

ექსპერტ კახი კახიშვილის განმარტებით, შესაძლოა, ირაკლი ალასანიას გარანტიები აღარ აქვს:

– არ გამოვრიცხავ, რომ ირაკლი ალასანიას აღარ ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მომავალ კაბინეტში თავდაცვის მინისტრის პოსტს ისევ დაიკავებს, ამიტომაც ასეთი ტელედუელებით პოლიტიკური ქულების მოპოვებას ცდილობს.

– როგორ ფიქრობთ, დაუჭერს მას მხარს საკუთარი პარტია, თუკი კოალიციას დატოვებს?

– შეიძლება ითქვას, რომ ალასანიას პარტია აღარ ჰყავს... კოალიცია რომ დატოვოს, ალბათ, ერთი-ორი კაცი გაჰყვება და ძირითადად ისინი, ვინც საკუთარ პერსპექტივას „ქართულ ოცნებაში“ ვერ ხედავენ.

ასე რომ, ალასანიამ ხმაური დაიწყო, თუმცა ჯერ ძნელი სათქმელია, რისთვის ემზადება ის. ჯერ იმის თქმაც ძნელია, ალასანიაზე მიანიშნა თუ არა ბიძინა ივანიშვილმა, როცა თქვა: ვიცი ერთი-ორი ადამიანი, რომელიც სიტუაციის აყირავებას შეეცდებაო. თუმცა, იქვე დასძინა, ამით ისინი მხოლოდ საკუთარ თავს ავნებენო.

ბიძინა ივანიშვილი:

– ერთი-ორი არის პარლამენტის უმრავლესობაში ისეთი, ვინც გაგებაში არ არის. ვინც ფიქრობს, რომ გადახტება-გადმოხტება და რაღაცებს გადაალაგებს. ასეთ ქმედებებს მე ვამჩნევ, მაგრამ ისინი არა სიტუაციას, არამედ საკუთარ თავს ააყირავებენ. ვერავინ მოახერხებს სიტუაციის გადატრიალებას... ეს ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავებს ააყირავებენ.

პრემიერმა თავის მემკვიდრეზეც გააკეთა განმარტება:

– წინასწარ გავივლი კონსულტაციებს უმრავლესობასთან, რაც საკმარისია. როცა პრემიერს დავასახელებ, ნახეთ, რა კარგი შერჩეული იქნება, პრეზიდენტი გვეყოლება უნიკალური და საუკეთესო, პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი არის ძალიან მაგარი და კარგი თავმჯდომარე და პრემიერიც ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც სჭირდება მთავრობას... არ ვიკადრებ, რომ პრემიერ-მინისტრს შევთავაზო და ამავდროულად ვუთხრა, ამ გუნდში არ გაბედო და რამე არ შეცვალო-მეთქი. სურვილის შემთხვევაში, მზად ვარ, ახალ პრემიერს კონსულტაციებიც მივცე. კაცს თუ დანიშნავ, მას მართვის საშუალება უნდა მისცე. ასეთი მენეჯერი ვიყავი.

ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა ასეთი უფლება განათლების მინისტრს უკვე მისცა. მარგველაშვილის მემკვიდრემ განათლების სამინისტროში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი მოადგილეობიდან გადააყენა.

და თუკი ირაკლი ალასანიას უკვე აქვს ინფორმაცია, რომ შეიძლება ვიცე-პრემიერობის შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტიც დაატოვებინონ, მაშინ მისი მხრიდან სკანდალების აგორების მცდელობა გასაგებია, მაგრამ არა მისაღები.

მიუხედავად იმისა, რომ NDI-ს კვლევებით ირაკლი ალასანია ყველაზე რეიტინგული ფიგურაა, ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე მოასწრო ყველაზე გავლენიან ფიგურად ჩამოყალიბება. რეიტინგი, მით უფრო, როცა გუნდიდან გადიხარ და მძიმე ომში ერთვები, საკმაოდ ფუყე საყრდენია... წავა თუ არა ირაკლი ალასანია ვა-ბანკზე? მისი კოლეგები ამბობენ, რომ ალასანიას გამბედაობა არ ეყოფა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დგას სამარ ჩ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მეორე ყველაზე მასშტაბური საქმე, რომელიც ღარიბაშვილის უწყებამ გახსნილად გამოაცხადა, თალიბანის სახელით გავრცელებულ სკანდალურ ვიდეორგოლებს უკავშირდება. პირველი და არანაკლებ რეზონანსული კი უპრეცედენტო რაოდენობის „ჰეროინის“ ამოღება გახლდათ. გაგახსენებთ, რომ ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო წლების განმავლობაში ნარკოტიკების ყველაზე დიდი პარტია, 116 კილოგრამი „ჰეროინი“ ამოიღო.

JIHAD against Georgian

შსს-მ ყველაზე რეზონანსული და რთული საქმე

გახსნილად გამოაცხადა



ე.წ. ჯიჰადის ვიდეორგოლების ავტორის დადგენა, შეიძლება ითქვას, ირაკლი ღარიბაშვილის ღირსების საკითხი გახდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა საქმე პირად კონტროლზე აიყვანა და კოლეგებს მიანიშნა, რომ მის უწყებას სრული შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანოს. გასულ კვირას კი შსს-მ საქმე ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა და სკანდალური ვიდეორგოლების ინტერნეტში განთავსებაში ამჟამად სოხუმში მყოფი ყირგიზეთის მოქალაქე, 24 წლის სამარ ჩოკუტაევი ამხილა. ხელისუფლების ოპონენტებმა შსს-ს მიერ შემოთავაზებული ვერსია ეჭვქვეშ დააყენეს, თუმცა თვით „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ კი შეფასებები არაერთგვაროვანია. მაგალითად, თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ამბობს, რომ არსებული ვერსია ნდობას არ იმსახურებს, დედაქალაქის მერი, გიგი უგულავა აცხადებს, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. პრინციპში, ლოგიკურია, ვინაიდან ქართველი სამართალდამცველები ამ დანაშაულს ამერიკის სპეცსამსახურების დახმარებით იძიებდნენ, რაც თავისთავად გაცილებით მაღალ ლეგიტიმაციას სძენს შსს-ს მიერ შემოთავაზებულ ვერსიას.

რას ფიქრობენ ექსპერტები და IT-სპეციალისტები ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური დანაშაულის გახსნაზე? ვინ დგას სამარ ჩოკუტაევის უკან და რა სქემით მოახერხა მან ტერორისტული აქტისკენ მოწოდების ინტერნეტსივრცეში გავრცელება?

სანამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით, მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომელიც მან ამ საქმის შესახებ ინგა გრიგოლიას გადაცემაში გააკეთა.

„მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებმა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი გამოავლინეს და ეს ურთულესი საქმე გახსნეს. ამერიკული მხარე აქტიურად გვეხმარებოდა აღნიშნული დანაშაულის გამოძიების საქმეში. დანარჩენი დეტალებისგან თავს შევიკავებ, სანამ არ გავარკვევთ რეალურ მიზეზებს, რატომ დამზადდა ეს ვიდეო, რატომ აიტვირთა, რას ემსახურებოდა, რა მოტივაცია ჰქონდა ამ ადამიანს და ვინ იყო მისი მხარდამჭერი, რადგან გამოძიება გრძელდება. ვფიქრობ, ამ ეტაპისთვის საზოგადოებას საკმარისი ინფორმაცია მივაწოდეთ“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შსს-ს ინფორმაციით, სამარ ჩოკუტაევმა 2013 წლის 4 ივნისს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ინტერნეტსივრცეში, მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით, განათავსა ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას. კვალის დაფარვის მიზნით სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა ქართული GSM ოპერატორების USB ინტერნეტმოდემები, მალაიზიაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით შეაღწია თბილისში მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტქსელში და კვალის არევის მიზნით იმდაგვარად ატვირთა ინტერნეტში მუქარის შემცველი ვიდეორგოლები, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაიდინეს.

სპეციალისტების თქმით, იმის მიუხედავად, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოფიციალურად ქართული GSM ოპერატორების („მაგთიკომი“, „ჯეოსელი“, „მობიტელი“) დაფარვის ზონა არ ვრცელდება, მაინც შესაძლებელია, რომ იქ მყოფმა პირმა ამ ქსელების USB ინტერნეტ-მოდემები გამოიყენოს. IT სპეციალისტის ნიკა ტუღუშის განმარტებით, ქართული GSM ოპერატორების ანძები აფხაზეთში, ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან მდებარეობს და სავსებით შესაძლებელია, დაახლოებით 35-40 კილომეტრის რადიუსზე მისი დაფარვის ზონა საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზეც გავრცელდეს.

„ქართული GSM ოპერატორებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიხშირის გავრცელების უფლება არ აქვთ. თუმცა ანძიდან დაახლოებით 35-40 კილომეტრის რადიუსზე დაფარვის ზონა ვრცელდება, შესაბამისად, დასაშვებია, რომ „ჯიჰადის“ ვიდეომასალა USB ინტერნეტ-მოდემების გამოყენებით ატვირთულიყო. როგორც ჩანს, კვალის დაფარვის მიზნით, მალაიზიის სერვერი გამოიყენეს. ვიდეოს ამტვირთავმა უკაბელო, დახურული კავშირით ეფექტი შექმნა და ვიდეო მალაიზიის გავლით თბილისში აიტვირთა. ამის გაკეთებას ძალიან დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება. რეალურად კი ვიდეო აფხაზეთშია ატვირთული“, – ამბობს ტულუში.

ექსპერტები კი იმაზე მსჯელობენ, ვინ შეიძლება იდგეს სამარ ჩოკუტაევის უკან? ანუ ვინ არის დანაშაულის რეალური დამკვეთი? ექსპერტი კახი კახიშვილი ეჭვობს, რომ ვიდეო ავღანურმა ძალებმა შექმნეს. ამასთანავე, ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ვიდეოს შემქმნელები რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურები, ან კონკრეტული დანაშაულებრივი ჯგუფი იყოს, რომელთა მიზანიც საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნაა.

„21-ე საუკუნეში კიბერდანაშაული ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი დანაშაულია, რომლის გახსნისთვის ძალიან მაღალი ტექნოლოგიებია საჭირო. ადამიანები, რომლებსაც მსგავსი დანაშაულს ჩადენა აქვთ განზრახული, კარგად არიან მომზადებულები. შს სამინისტროს მიერ საზოგადოებისთვის მოწოდებული მასალა ადასტურებს, რომ კვალის ასარევად ეჭვმიტანილმა კარგად იმუშავა. ახლა მთავარია, დადგინდეს, ვის ინტერესებში შედიოდა ამ ვიდეოების გავრცელება. იმედს ვიტოვებ, რომ საქმე ბოლომდე გაიხსნება. ყირგიზეთის მოქალაქის ძებნაში ინტერპოლიც ჩაერთვება. ვიდეოს ავტორების წარმომავლობაზე შეიძლება სამი ასპექტით ვისაუბროთ. პირველი – სავარაუდოდ, ეს არის ავღანური ძალების მიერ გაკეთებული ვიდეო, რომელთაც სურთ, ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდეს ამ ქვეყნიდან ჩვენი სამხედროების გამოყვანის მოთხოვნა; მეორე – ეს არის კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მასალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებას ემსახურება; და მესამე – ვიდეო შექმნა კონკრეტულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა, და ამ მასალებით სახელმწიფოს დარტყმას აყენებენ“, – ამბობს კახი კახიშვილი.

სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი კი „ჯიჰადის“ საქმეში ცალსახად კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურების კვალს ხედავს. ალადაშვილის განცხადებით, მხოლოდ ერთი პიროვნება, ამ შემთხვევაში სამარ ჩოკუტაევი ხსენებულ ქმედებას დამოუკიდებლად ვერ განახორციელებდა. ალადაშვილი შს სამინისტროს ეფექტურ მუშაობაზეც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოკუტაევის უკან?

სამი ვერსია, რომელსაც გამოძიება ამუშავებს:

- „პირველი – სავარაუდოდ, ეს არის ავღანური ძალების მიერ გაკეთებული ვიდეო;
- მეორე – ეს არის კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მასალა;
- და მესამე – ვიდეო შექმნა კონკრეტულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა“

„მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებმა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი გამოავლინეს და ეს ურთულესი საქმე გახსნეს“

ირაკლი ღარიბაშვილი:

„გამოძიება გრძელდება, სანამ არ გავარკვევთ, ვინ იყო მისი მხარდამჭერი“

საუბრობს და აცხადებს, რომ საქმე დინჯად, მაგრამ ეფექტურად იქნა გამოძიებული.

„ძალიან კარგია, რომ შსს-მ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოთმინება გამოიჩინა და არ მოიქცა ისე, როგორც ეს უწყება წინა წლებში იქცეოდა, როცა საქმეებს სწრაფად, მაგრამ არაეფექტურად ხსნიდა. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ფაქტები ლოგიკასთან ახლოსაა, ახლა მთავარია, IT სპეციალისტებმა დადონ დასკვნა, რამდენად რეალურია ის, რასაც შსს აცხადებს. თვითონ შსს-საც ძალიან სერიოზული IT სპეციალისტები ჰყავს. რაც შეეხება საქმეს, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ ვიდეოების დამკვეთმა კვალის დაფარვა და მისი საქართველოსთან მოტანა სცადა. ამ საქმეში არ შეიძლება ეჭვმიტანილად მხოლოდ ყირგიზეთის მოქალაქე ფიგურირებდეს. როგორც ჩანს, საქმეში რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურებიც იყვნენ ჩართულნი, ეს რიგითი ჰაკერის ვიდეოს არ ჰგავს“, – აცხადებს ირაკლი ალადაშვილი.

მამუკა არეშიძე კი თავიდანვე ეჭვობდა, რომ ვიდეო იმიტაცია იყო და არ გამორიცხავდა, რომ ეს ვიდეო შესაძლოა, აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან ატვირთულიყო.

„ჩემთვის საინტერესოა, თვითონ ამ ყირგიზი მოქალაქის პერსონა, ვის დავალებას ასრულებდა ის. ძალიან მნიშვნელოვანია ეს საკითხი. მიმაჩნია, რომ შს სამინისტრომ ძალიან ეფექტურად იმუშავა ამ საქმის გახსნის თვალსაზრისით“, – ამბობს მამუკა არეშიძე.

ამჟამად, „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს დამზადებაში ბრალდებული ყირგიზეთის მოქალაქე რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ცხოვრობს და ხშირად მოსკოვსაც სტუმრობს, რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ ჩოკუტაევის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან. ამჟამინდელი ადგილსამყოფელის შესახებ ჩოკუტაევს „ფეისბუკის“ პირად გვერდზეც აქვს მითითებული, თუმცა მას შემდეგ, რაც შსს-მ საქმე გახსნილად გამოაცხადა, ჩოკუტაევმა სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი გააუქმა. IT ტექნოლოგიების სპეციალისტი სამარ ჩოკუტაევი ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში დაიბადა. აქვე მიიღო უმაღლესი ტექნიკური განათლებაც. მან 2011 წელს ყირგიზეთის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩოკუტაევმა კომპანია „ტურ ტელეკომში“ ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. ამის პარალელურად, იმავე წელს ჩოკუტაევმა მუშაობა დაიწყო „National Information Technology Center“-ში, კომპიუტერული ტექნოლოგიების საკითხებში მრჩევლად. რამდენიმე თვეში მან ორივე სამსახური დატოვა და 2011 წლის აპრილში მუშაობა სოხუმში, კომპანია „აქუაფონში“ გადაინაგრძო, სადაც ამ დრომდე მუშაობს. ჩოკუტაევი პროფილზე ღიად გამოხატავს აღფრთოვანებას აფხაზეთის მიმართ. მის პროფილზე მრავლადაა ახალი ათონისა და სოხუმის ფოტო. ოჯახის შესახებ ინფორმაციაში მონიშნულია ბიძაშვილი გოგონა, ალენა ჩიკიშევა-კუდინოვა. ეჭვმიტანილი გატაცებულია ბუნებით. მის ფოტოებში მრავლადაა სხვადასხვა ქვეყნების პეიზაჟი. მისავე სურათებში გვხვდება ახალგაზრდა მეგობარ გოგონასთან ერთად გადაღებული ფოტოები, სადაც „როლიკებზე“ სეირნობს ქუჩებში. ჩოკუტაევი, ასევე, გატაცებულია ჯომარდობით. მისივე პროფილზე ხშირადაა გაზიარებული სხვადასხვა იუმორისტული ვიდეო და ფრაზა. სამარ ჩოკუტაევის ბოლო აქტივობა სოციალურ ქსელში 1-ელ ოქტომბერს ფიქსირდება. ამ დღეს მან რამდენიმე ფოტო გამოაქვეყნა. ცნობილი გახდა ისიც, რომ შსს-ს მიერ ტერორიზმის ბრალდებით ძებნილი სამარ ჩოკუტაევი, გასული წლის 6 თებერვლიდან 2 მარტამდე, ორ კოლეგასთან ერთად, აზიის ქვეყნების IT სპეციალისტების გადამზადების პროგრამაში მონაწილეობდა, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქში ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაციონალურ ცენტრში გაიმართა. ეს კურსი, ჩოკუტაევთან ერთად, სამმა ავღანელი სპეციალისტმაც გაიარა. ამ კურსის მიზანი სახელმწიფო უწყებების IT სისტემების ადმინისტრირების შესწავლა იყო.

ცნობისთვის: სამარ ჩოკუტაევს ბრალი „ჯიჰადის“ სახელით ვიდეოს შექმნა-გავრცელებაში ედება. ვიდეო საქართველოს ავღანეთის მისიაში მონაწილეობის წინააღმდეგ იყო მიმართული და საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიმართ მუქარას შეიცავდა. ჩოკუტაევს საქართველოში წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა, ინტერპოლი კი მასზე ძებნას აცხადებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვაჟა ბერიძე: „დიდი ფულის კონტროლის გარეშე წარმოუდგენელი იყო შევარდნაძის, სააკაშვილის რეჟიმების სტაბილურობის უზრუნველყოფა“



„ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ბიზნესის სურვილია სტაბილურობის მოპოვება და ამ მხრივ მისი სურვილი – მთავრობაში დასაყრდენი იპოვოს, ბუნებრივია. სხვათა შორის, ამ ფაქტებს ფართო გასაქანი ჰქონდა შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და მე დღესაც ვხედავ ამის სიმპტომებს“

ქეთი ხატიაშვილი

„მაგთი“, „ჯეოსელი“ და ისევ „მაგთი“... „თი-ბი-სი“, „საქართველოს ბანკი“ და „ქართუ ბანკი“? ეს სარეკლამო ლოზუნგი არ არის. ეს მარტივი განლაგება მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ხელისუფლება შეიცვალა. ასე მაგალითად, შევარდნაძის დროს კომუნიკაციებში „მაგთი“ ლიდერობდა და ვერტიკალის მაგთიფიკაცია მიდიოდა, სააკაშვილის დროს ვერტიკალი „ჯეოსელზე“ გადაეწყო, ახლა ისევ „მაგთი“ დაბრუნდა...

შევარდნაძის დროს „თი-ბი-სი“-ს ბაზარზე კონკურენტი არ ჰყავდა, სააკაშვილის დროს მის ზურგს უკან ძალიან ახლოს სუნთქავდა „საქართველოს ბანკი“... გახდება თუ არა ახლა ბაზარზე ლიდერი „ქართუ ბანკი“, ჯერ ძნელი სათქმელია.

ალბათ, ასეთი მაგალითი ბევრია.

შევარდნაძის დროს ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობა კორუმპირებული და მონოპოლისტური იყო. ძირითად ბიზნესსფეროებს შევარდნაძის სიძე (კომუნიკაციები), შევარდნაძის ძმისშვილი და მძახალი (ნავთობპროდუქტები) აკონტროლებდნენ და ასე შემდეგ... მთელი ფინანსური შემოსავლები მხოლოდ ამ ერთი ოჯახის პირად კომფორტს ხმარდებოდა.

სააკაშვილის დროს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. შეიქმნა სისტემა, როცა ოჯახი სახელმწიფომ ჩაანაცვლა. აკრეფილი ფული სახლში არავის მიჰქონდა. ექსპერტებიც კი თანხმდებიან, რომ ხელისუფლება მსხვილ ბიზნესებს აიძულებდა, სახელმწიფო მნიშვნელობის სხვადასხვა პროექტები დაეფინანსებინა.

და არამხოლოდ ექსპერტები ამბობენ, რომ სააკაშვილი აკონტროლებდა მსხვილ ბიზნესებს, იმისთვის რომ მათი ფული პოლიტიკურ ბაზარზე არ მოხვედრილიყო. ანუ ოპოზიციაში ფული არავის არ ჩაედო. არ არის ფინანსური რესურსი, არ არის კონკურენცია. პირველად ბადრი პატარკაციშვილის ფულმა შეარყია სერიოზულად მაშინდელი ხელისუფლება, თუმცა გაუძლო. ივანიშვილის შვიდი მილიარდი კი სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა.

ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის. შეიქმნება თუ არა ბიზნესისთვის თავისუფალი გარემო? შეძლებენ თუ არა ბიზნესმენები ისეთივე ცივილიზებული ურთიერთობები აანყონ პოლიტიკურ პარტიებთან, როგორც ეს ევროპაშია?

თუმცა, აქ ერთი ფაქტორი მაინც არის: საქართველოში ფულს მაინც ხელისუფლების გადატრიალებისთვის ეძებდნენ და არა ოპონირებისთვის.

ახლა ძირითადად ორი მთავარი პოლიტიკური მოთამაშე იკვეთება – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. რამდენადაც ძლიერი და გავლენიანი იქნებიან ისინი, მით უფრო მეტი ინტერესი ექნება ბიზნესს. ისეთ გიჟურ იდეებს, როგორიც არის: გადავაყენოთ, შევვარდეთ და დავარბიოთ, ბიზნესი არ დააფინანსებს და არც ერთკაციანი პარტიების ერა გაგრძელდება.

თუმცა, რამდენად ექნება ახალ ხელისუფლებას ამის ნება, ექსპერტებს ამის თქმა ჯერ უჭირთ. მოვლენების განვითარებას ელოდებიან და ეს ლოგიკურიცაა.

რამდენად შეიძლება ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ევროპული სტანდარტის ურთიერთობა აეწყოს, როგორ იცვლებოდა ამ ორ სფეროს შორის თამაშის წესები.

აქამდე მსხვილი მოთამაშე იყო მხოლოდ ხელისუფლება, ბიზნესის მხარეს კი – ნავთობი, კომუნიკაციები, საფინანსო სექტორი...

ხელისუფლება ეძებდა მათი კონტროლის მექანიზმებს, ბიზნესი კი ცდილობდა ვერტიკალის კეთილგანწყობის მოპოვებას, სერიოზული შეღავათების ან სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ასე რომ, ეს მაინც ორმხრივი მოძრაობა იყო...

ახლა ბიზნესს შეიძლება ხელი გაუშვან. მზად არის თუ არა ბიზნესსექტორი თავისუფლებისთვის?

მაგრამ მანამდე პოლიტიკა და ბიზნესი შევარდნაძიდან და დღემდე. „პრაიმტაიმი“ ამ თემაზე პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს ესაუბრა:

– შევარდნაძის მმართველობას თუ ავიღებთ, მაგალითად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ბიზნესს, აქ შევარდნაძის ნათესავი, ვთქვათ, ნუგზარ შევარდნაძე და მისგან ხელდასხმული სხვა ადამიანები დომინირებდნენ, თუმცა იქ იყო ქაოსის ელემენტებიც, პატარა პარტიებად ბენზინის შემოტანა და სხვა.

სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ყველა ეს ბიზნესი, ყველა კომპანია, ჩემი აზრით, მათ დაქვემდებარებაში გადავიდა და ჩამოყალიბდა მონოპოლიური სისტემა, როდესაც ფასები ბაზარზე, ფაქტობრივად, შეთანხმებით დგინდებოდა. ამ ბიზნესებს, კონკრეტულად „ვისოლს“, „ლუკოილსა“ და სხვა კომპანიებს ხელისუფლების ძალიან ბევრი ახალი პროექტი ჰქონდათ დასაფინანსებელი და აქედან გამომდინარე, ამ მაღალ ფასებს ხელისუფლება უშვებდა, გარიგების მეშვეობით აძლევდა მათ ფასის აწევის საშუალებას, რადგან შემდეგ მისი პროექტები დაეფინანსებინათ. ასე იყო ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში.

– ნავთობის თემა რომ გავაგრძელოთ, რა მდგომარეობაა ახალი ხელისუფლების პირობებში. იყო საუბარი, რომ ხუხაშვილი არკვევდა ურთიერთობებს ხელისუფლებასა და ნავთობგადამზიდავ კომპანიებს შორის. როგორ ჩამოყალიბდა საბოლოოდ თამაშის წესები?

– ახლა პოლიტიკური ნება და გაცხადებული პრინციპები არის შესანიშნავი, ადეკვატური და კეთილშობილური. ივანიშვილის პრინციპი, რომელიც მან ბიზნესმენებთან შეხვედრისას გამოხატა... მან უთხრა ბიზნესმენებს: დაიჭირეთ თავი შორს ხელისუფლებისგან, თუ ვინმე მოვიდა თქვენთან, ატეხეთ წივილ-კივილი. ეს არის ივანიშვილის გაცხადება. თუმცა ამავე დროს, როდესაც მას ხუხაშვილის როლზე დაუსვეს კითხვა, მან თქვა, რა გინდათ ამ ხუხაშვილისგან, მან დაალაგა ურთიერთობა ბიზნესთან. ბუნებრივია, როცა ურთიერთობას ბიზნესთან აგვარებს ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ამას შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით უნდა არეგულირებდეს და არა უშუალოდ მათთან კონტაქტით.

სხვათა შორის, ძალიან საინტერესო მაგალითია ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი. მიმაჩნია, რომ ის ლაკმუსის ქაღალდივით არის. ეს კაცი გუბერნატორი იყო და რა თქმა უნდა, მისდამი განწყობა და იმიჯი, რომელიც მას საკაშვილის ხელისუფლების პერიოდში შეექმნა, არის უარყოფითი, მაგრამ ეს კაცი მეწარმეა. მან ცარიელ ადგილას ხუთი უმსხვილესი საწარმო შექმნა. მას რომ არ ჰქონოდა გარკვეული ურთიერთობა წინა ხელისუფლებასთან, ვერაფერს ვერ გააკეთებდა. რაკი ის გუბერნატორი იყო, არის ვერსია, რომ მას მერაბიშვილი „კრიშავდა“. მისი ბიზნესის დანგრევით, 3000 კაცი დარჩება უმუშევარი და ჩვენ ისევ იმავე წრეზე წავალთ, როდესაც ხელისუფლება კარნახობდა ბიზნესს, როგორ უნდა მოქცეულიყო და რა უნდა ეკეთებინა.

– თქვენ ნავთობპროდუქტები ახსენეთ, თუმცა, ჩემთვის კლასიკური მაგალითია შევარდნაძის დროს „მაგთი“, სააკაშვილის დროს „ჯეოსელი“ და ივანიშვილის დროს ისევ „მაგთი“. ხელისუფლების მხრიდან ამ კომპანიების მიმართ მხარდაჭერის ცვალებადობა რაზე მეტყველებს?

– ისინიც ისე აგვარებდნენ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, როგორც გვარდებოდა. მე ამ კომპანიებს ვერ დავწამებ იმას, რომ ისინი ხელისუფლების მიერ იყვნენ მხარდაჭერილი. მიმაჩნია, რომ ეს ხელშეწყობა ამ კომპანიების წარმატებულობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

– ჩვენ ვისაუბრეთ თამაშის წესებზე. რომ განვიხილოთ, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, როგორ იცვლებოდა თამაშის წესები. მაგალითად, გეთანხმებით, რომ შევარდნაძის დროს იყო ქაოსური სიტუაცია და ამავე დროს კორუმპირებულიც, იმ თვალსაზრისით, რომ კორუფციული გარიგებები გახლდათ ამოსავალი ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის. სააკაშვილის დროს ვითარება შეიცვალა, ერთი მონოპოლისტი არ იყო, მაგალითად, იგივე ნავთობში. თუ არ ვცდები, ხუთი ფირმა მუშაობდა, რომელიც, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საერთო თამაშის წესებზე ჩამოყალიბდა. ახლა თამაშის წესები როგორია, უფრო დემოკრატიულია?

– ჯერჯერობით პროცესს უნდა დავაკვირდეთ. გეთანხმებით ანალიზში, რომელიც გააკეთეთ. რა თქმა უნდა, ეკონომიკა და ბიზნესი შევარდნაძის დროს კლანური იყო; რა თქმა უნდა, ცენტრალიზებული იყო და სახელისუფლებო ვერტიკალს ექვემდებარებოდა ბიზნესი სააკაშვილის დროს; და ახლა პოლიტიკური ნება ისეთია, რომ ბიზნესი პოლიტიკური წნეხისგან გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორი თამაშის წესები იყო და რა იცვლება ახლა

ნთავისუფლდეს. თუმცა, თუ ნავთობპროდუქტების იმპორტიორების საქმიანობას ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ აქ მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა არ მოქმედებს. რატომ? იმიტომ რომ აქაც სპეციფიკური მდგომარეობაა. აქ ის მომენტი ერთვება, რომ აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარს“ დაფუძნებული აქვს „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია“ და „სოკარ გალფ ჯორჯია“. ფაქტობრივად, ის არის ამ სფეროში მონოპოლისტი. ის არის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ტონის მიმცემი, დანარჩენი ქვეყნებიდან შემოსული ნავთობპროდუქტების წილი დაბალია...

– შეგიძლიათ თქვათ, რომ ბენზინის ფასში ერთი ლარი მართლაც პოლიტიკაში მიდიოდა?

– მე ვერ გეტყვით ამას, ვერ დაგიდასტურებთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ნავთობპროდუქტთა იმპორტიორთა კომპანიებიდან ასევე სერიოზული თანხები მიემართებოდა სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. მაგალითად, რაბათის მშენებლობა, სიღნაღის მშენებლობები, გარკვეული პროექტები... პირდაპირ ავალებდნენ ამ კომპანიებს, რომ აეშენებინათ. ეს შესაძლოა, არ იყო პირდაპირ შეწერილი ფული, მაგრამ ამდაგვარმა დამოკიდებულებამ ლამის გაკოტრების პირას მიიყვანოს სადაზღვევო კომპანიები.

– სადაზღვევო კომპანიებს ნუ შევეხებით, ეს სხვა თემაა... ბანკებზე მინდა გკითხოთ, როგორც „ჯეოსელი“ და „მაგთი“ ვახსენეთ, ასევე შეგვიძლია ვთქვათ, შევარდნაძის დროს იყო „თი-ბი-სი“, სააკაშვილის დროს – „საქართველოს ბანკი“, ახლა რა პროცესები მიმდინარეობს, თქვენი აზრით, საბანკო სისტემაში?

– ვახერხებთ, რომ საბანკო სისტემა ჯანსაღ მდგომარეობაში შევინარჩუნოთ. თუმცა პრობლემები ძალიან სერიოზულია. ერთ დეტალში არ დაგეთანხმებით, რომ შევარდნაძის დროს იყო „თი-ბი-სი ბანკი“, სააკაშვილის დროსაც იყო „თი-ბი-სი ბანკი“ და ახლაც იქნება...

– აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ ძალიან მზარდი იყო „საქართველოს ბანკი“ და კონკურენცია საკმაოდ ხელშესახები გახდა „თი-ბი-სი“-სთვის, მხოლოდ ამის თქმა მინდოდა. შევარდნაძის დროს კი ის ერთპიროვნული ლიდერი იყო ბაზარზე...

– გეთანხმებით, „საქართველოს ბანკი“ სერიოზულად გაძლიერდა...

– „საქართველოს ბანკმა“ გარისკა და მომსახურება საშუალო ფენას გაუწია, ოდნავ დაბალ ფენებშიც შევიდა. ალბათ, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული გარანტიები რომ არ ჰქონოდა, შეიძლება ასეთი რისკიც არ გაეწია...

– გეთანხმებით. ამ თვალსაზრისით საბანკო სისტემაში განსაკუთრებული საფრთხე შეიქმნა 2008 წლის ომის დროს და რომ არა ის რამდენიმე მილიარდიანი დახმარება, რომელთაგან დიდი ნაწილი ბანკების ვალდებულებების დაფარვაში წავიდა, ეს სისტემა სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა.

– მაინტერესებდა, „ქართუ ბანკი“ თუ შეიტანს რაიმე დისონანსს ამ ჩამოყალიბებულ საბანკო სისტემაში?

– ვფიქრობ, არ შეიტანს, რადგან ეს არის ძალიან ძლიერი ზურგის მქონე ბანკი, რომელსაც არ აქვს პრეტენზია, რომ ბაზრის მნიშვნელოვანი წილი დაიკავოს. „ქართუ ბანკი“ უფრო ივანიშვილის ბიზნესების მომსახურე ბანკი იყო. ასე რომ, ის ფუნქციას არ შეიცვლის და ის არ გახდება „თი-ბი-სი“-ს, „საქართველოს ბანკისა“ და სხვა ბანკების კონკურენტი.

– ახლა ბევრს საუბრობენ, რომ სასამართლომ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად არსებობა, თქვენ ახსენეთ, რომ ბიზნესსექტორმა თავისუფლად უნდა გააგრძელოს მუშაობა, გამახსენდა რესპუბლიკელების წუხილები: ბიძინა ივანიშვილი რომ წავა პოლიტიკიდან, ჩვენ რა გვეშველებაო, ივანიშვილმაც თქვა, რომ მათი მხრიდან ასეთი შეკითხვები დაისვა. აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, როდესაც ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, რამდენად იყო ეს ცალმხრივი მოძრაობა, ანუ ხელისუფლებას სურდა მათი კონტროლი და ბიზნესი არ ეძებდა ხელისუფლების სახით ძლიერ მოკავშირეს? ხომ არ იცვლიან პოლიტიკურ პატრონებს ბიზნესმენები, ხელისუფლების ცვლასთან ერთად?

– ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ბიზნესის სურვილია სტაბილურობის მოპოვება და ამ მხრივ მისი სურვილი – მთავრობაში დასაყრდენი იპოვოს, ბუნებრივია. სხვათა შორის, ამ ფაქტებს ფართო გასაქანი ჰქონდა შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და მე დღესაც ვხედავ ამის სიმპტომებს.

– როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობაზე, თუ დააკვირდებით, როგორ ვითარდებოდა პროცესები შევარდნაძიდან მოყოლებული დღემდე, ალბათ, შევამჩნევთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, მის კონკურენტ ან ოპონენტ ძალებს მოუსპოს დაფინანსების წყაროები და გამოაცალოს ის ბიზნესები, საიდანაც შეიძლება დაფინანსება მიიღოს. ჩვენ თვალს ვადევნებდით ამ პროცესს, როდესაც შევარდნაძის შემდეგ სააკაშვილი მოვიდა, იქ წავიდა ახვლედიანებისა და შევარდნაძეების ჩანაცვლების პროცესი. მოქმედი ხელისუფლება, იგივე ჩოჩელის მაგალითზეც რომ ვთქვათ, უკვე ცდილობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოაცალოს პოტენციური სპონსორები. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახლა მაინც უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, როდესაც ღია და გამჭვირვალე და რაც მთავარია, თავისუფალი იქნება ბიზნესი თავის პოლიტიკურ არჩევანში... შეიძლება ასეთი სქემა აეწყოს?

– გეთანხმებით. იყო ასეთი სურვილი და მცდელობა. რა თქმა უნდა, დიდი ფულის კონტროლის გარეშე წარმოუდგენელი იყო შევარდნაძის, საკაშვილის რეჟიმების სტაბილურობის უზრუნველყოფა. მაგალითად, მე ისევ კულუარულ ხმას დავეყრდნობი, თურმე სააკაშვილს უთქვამს ერთგან, რომ ვინც წელიწადში ასი ათასზე მეტს გააკეთებს, ყველას შესახებ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ და ვაკონტროლოთო. შევარდნაძის დროს კიდევ სხვა სისტემა იყო. მეწარმეთა გაერთიანების მეშვეობით აკონტროლებდა ის მაშინდელ ბიზნესკლასს და ყველა შეძლებული ადამიანი თავისი ფრთის ქვეშ ჰყავდა. ასე აღარ იქნება ივანიშვილის დროს, რადგან გაცხადებული პრინციპები ამას ხელს შეუშლის და ასეთი სიტუაციის ჩამოყალიბებას ვერანაირი ბიზნესთან ურთიერთობის დამლაგებელი ვერ უზრუნველყოფს.

თუ დემოკრატია გვინდა და ევროპისკენ მივდივართ, დემოკრატია და სახელმწიფო ასეთ პირობებში არ არის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, ის არის ინტერესთა ჯგუფების შეჯიბრების არენა. მათ შორის, ბიზნესჯგუფების შეჯიბრების არენა, რომელიც საკუთარი ინტერესების სარეალიზაციოდ, ბუნებრივია, აფინანსებს პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც შემდეგ მათ კანონიერ ლობირებას ეწევიან. თუ ამაზე თვალს დავხუჭავთ და რაღაც ოაზისის შექმნას დავიწყებთ, წავალთ არა სამხრეთ კორეისკენ, არამედ ჩრდილოეთ კორეისკენ. უეჭველად უნდა გაჩნდეს სხვადასხვა ბიზნესჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა პარტიებს დაუფინანსებენ.

დღევანდელ პირობებში პარტიები რა არის? ეს არის ბუტაფორიები, ცალკეული ადამიანების პატივმოყვარეობების დაკმაყოფილების არენა. ისეთი სისტემა თუ არ შეიქმნა, სადაც პარტიებს თავისი საქმიანობის ეკონომიკური საფუძველი ექნებათ, არც ეკონომიკას ეშველება, არც ბიზნესს და არც ქვეყანას. ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგალითად, იგივე ჩოჩელი თავისუფალი ბიზნესგარემოს პირობებში კიდევ დააფინანსებს თუ არა „ნაციონალურ მოძრაობას“. იქნებ მას უნდა რომელიმე სხვა პოლიტიკურ პარტიას დაუჭიროს მხარი?



„ისეთი სისტემა თუ არ შეიქმნა, სადაც პარტიებს თავისი საქმიანობის ეკონომიკური საფუძველი ექნებათ, არც ეკონომიკას ეშველება, არც ბიზნესს და არც ქვეყანას“

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
თიბისი ბანკი TBC BANK
MAGTI
ჯეოსელი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ე. წ. სამეცნიერო სტანდარტები ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევებში

ე.წ. „საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს“ საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისიის წევრებმა და სხვა ქართველმა მეცნიერებმა სპეციალური მიმართვა გაავრცელეს საყდრისის ობიექტის ირგვლივ ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით. აღნიშნული პუბლიკაცია გამოქვეყნდა როგორც ქართულ და უცხოურ ბეჭდურ მედიაში, ასევე დაეგზავნა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას.

მიმართვის გავრცელებას ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრის ბატონი შტოლნერის საპასუხო წერილი მოჰყვა, სადაც მას ქართველი მეცნიერების კომპეტენციასა და პროფესიონალიზმში შეაქვს ეჭვი.

გთავაზობთ ქართველი მეცნიერების პასუხს, რომლებიც ბატონ შტოლნერს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში ამხელენ.

გავეცანით ბატონი შტოლნერის პასუხს ქართველი მეცნიერებისადმი, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი მოსაზრებების სისწორეში. მიუხედავად ბ-ნი შტოლნერის ხმამაღალი განმარტებისა, რომ იგი ეწინააღმდეგება სამეცნიერო კვლევების ხარისხის სტანდარტის დარღვევას, სინამდვილეში მისი კვლევები სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს.

საკმაოდ მწირი ინგლისურის ფონზე ბატონი შტოლნერი თავს უფლებას აძლევს ეჭვი შეიტანოს ჩვენს ზოგად განსწავლულობაში და უცხო ენების ფლობაში. გვინდა დავაწყნაროთ ბატონი შტოლნერი, რომ სახელმწიფო კომისიის წევრები უმაღლესი რანგის პროფესიონალები არიან – მეცნიერების (და არა აკადემიური) დოქტორები. მათ რიგში შედის საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ამ მეცნიერებს ათობით მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია აქვთ გამოქვეყნებული, მათ შორის აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნების წამყვან გამომცემლობებში, მონაწილეობა აქვთ მიღებული მრავალ საერთაშორისო კონგრესსა და კონფერენციაში, ზოგ მათგანს ინგლისურენოვანი ლექციები აქვთ წაკითხული აშშ-სა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ასე, რომ ბ-ნ შტოლნერის მიერ გამოთქმული მოსაზრება უბრალო შეურაცხყოფაა.

ზოგადად, აღსანიშნავია ბ-ნი შტოლნერის ზერელე, უპასუხისმგებლო და აგდებული დამოკიდებულება იმ ქვეყნის კონსტიტუციისა და ენისადმი, სადაც ის მუშაობს და რომელი ქვეყნის პატრიოტადაც ასაღებს თავს. გვინდა შევახსენოთ ბ-ნ შტოლნერს, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია, ამდენად საქმის წარმოება ქართულ ენაზეა და არც ერთი სახელმწიფო ორგანოს მოვალეობაში ან ვალდებულებაში არ შედის ეძებოს სხვადასხვა უცხოენოვანი პუბლიკაციები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. პირიქით, სწორედ მკვლევართა ჯგუფის ვალდებულებაა წარადგინოს შესაბამისი მასალები სახელმწიფო ორგანოებში და სახელმწიფო ენაზე – სამწუხაროა, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ბ-ნ შტოლნერმა არ იცის ან, კიდევ უარესი, პატივს არ სცემს მას.

თუმცა, როგორც ცნობილია, 2004-2005 წ.წ. კვლევების მასალა საერთოდ არ მოიძებნა არც ერთ ენაზე და არც ერთ სახელმწიფო უწყებაში – ის ფიზიკურად არ არსებობს, არ არსებობს აგრეთვე არქეოლოგიური კომისიის დასკვნა, რაც აუცილებელი პირობაა ძეგლისთვის სტატუსის მისანიჭებლად; რაც მთავარია, არ არსებობს არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება სტატუსის მინიჭების თაობაზე. პარადოქსია, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მანიპულაციით „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“ აღმოჩნდა სულ სხვა ბრძანების დანართში, რომლის მიხედვითაც კომუნისტური რეჟიმის დროს, კერძოდ, 1978-1989 წლებში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს კვლავ აღუდგინეს (დიახ, აღუდგინეს და არა – მიანიჭეს!) ეს სტატუსი. იქნებ გვიპასუხოს ბ-ნმა შტოლნერმა – როგორ მოხვდა ასეთ ბრძანებაში 2004 წ. „აღმოჩენილი“ ე.წ. საყდრისის ოქროს მაღარო? არის თუ არა ეს ფალსიფიკაცია? მისი განცხადება, რომ „თუ დაირღვა კანონი, ეს არ მომხდარა ჩვენი კვლევის ჯგუფის გამო“ – არაფერს ცვლის.

არ შეეფერება სინამდვილეს ბ-ნი შტოლნერის ის მტკიცებაც, რომ თითქოს გათხრები მხოლოდ 2004-2005 წ.წ. წარმოებდა და აღარ გაგრძელდა მომდევნო წლებში. მოგვყავს ციტატა მისივე კვლევითი ჯგუფის 2007 წ. ანგარიშიდან: „საველე სამუშაოები და კვლევები გაგრძელდა აქედან (2007 წლიდან) შემდგომ სამ წელიწადს. ამ ახალი კვლევების შედეგებიც აქ ასევე მოკლედ არის გადმოცემული“.

როგორ გავიგოთ, როდის ამბობს სიმართლეს ბ-ნი შტოლნერი? ან იქნებ აგვიხსნას, რა სასწაულით მოხვდა 2007წ. ანგარიშში 2008, 2009 და 2010 კვლევების შედეგები? რა არის ეს, თუ არა ფალსიფიკაცია?

ჩვენ ასევე დაბეჯითებით ვამტკიცებთ, რომ იმ გვირაბების ასაკი, რომელთა ფოტოებიც „ფეისბუქზეა“ განთავსებული (საყდრისის ოქროს მაღარო), 30 წელს არ აღემატება და მათი 5 000-წლიან უძველეს გვირაბებად გასაღება ასევე ფალსიფიკაციაა! საბედნიეროდ, დღესაც ცოცხალია ის ხალხი, ვისაც ეს გვირაბები საკუთარი ხელით გაჰყავდათ და მათ ამის დადასტურება არ გაუჭირდებათ! რაც არ უნდა განმარტებები აკეთოს ახლა „პოსტ-ფაქტუმ“ ბ-ნმა შტოლნერმა, ფაქტი ფაქტად რჩება – მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტო სინამდვილეში სპილენძის და რკინის მეორად მინერალებს ასახავს და ნამდვილად არ არის „ოქროს მადნის ძარღვი“, როგორც ამის წარმოდგენას ბ-ნი შტოლნერი ცდილობს – რა არის ეს თუ არა ფალსიფიკაცია? მეტიც, როგორც ბ-ნი შტოლნერი აცხადებს, „წარმოდგენილი ძარღვები მოიცავს აგრეთვე ოქროს, რომლის შემცველობა ზოგ შემთხვევაში იზრდება 50 პპმ-მდე“. მაგრამ ეს „სამეცნიერო დასკვნა“ არ დასტურდება არც ერთი ანალიზით, მათ შორის მის მიერ ჩატარებულითაც, არის თუ არა ეს ფალსიფიკაცია?

როგორც ბ-ნი შტოლნერი წერს, 2007 წლიდან ჩატარებულია „ტყვიის და ოსმიუმის იზოტოპიური კვლევა, რომლის შედეგებიც ახლაც რჩება მეცნიერული კამათის საგნად, ხოლო ოქროს შემცველობა იშვიათ შემთხვევებში აღმოჩენილა ზოგიერთ ნიმუშზეც (ძვლის იარაღი და სხვ.), თუმცა მონაცემები ჯერაც არ გამოქვეყნებულა“. გასაოცარია: ობიექტს ჯერ ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული 2006 წელს, ხოლო შესაბამისი კვლევები 2007 წლიდან მიმდინარეობს, თუმცა ზოგი მათგანის შედეგები დღესაც, 2013 წელსაც კი, არ არის გამოქვეყნებული! რა ეწოდება ამას, თუ არა ფალსიფიკაცია?

ბ-ნ შტოლნერს აქვს ერთგვარი სნობისტური მიდგომა და სახელმწიფო კომისიის წევრებს ემუსაიფება, როგორც ნამდვილი მენტორი, უფროსი ძმა. ამასთან იგი მრავალ საკითხში სრულ უმეცრებას ავლენს. რად ღირს მისი მოსაზრება, რომ პლატინოიდების შემცველობამ ოქროში შეიძლება მისი წარმოქმნის გეოგრაფიული არეალი გამოავლინოს. გვინდა ვამცნოთ ბატონ შტოლნერს, რომ ოქროს ტიპომორფიზმის (არ ვიცით, იცის თუ არა ბატონმა შტოლნერმა ამ ტერმინის არსი) დასადგენად გამოყენებადია მხოლოდ ოქროს იზომორფული მინარევები და ასეთებია მხოლოდ და მხოლოდ ოსმიუმი და რუთენიუმის ჯგუფის მეტალები (ნაწილობრივ – ირიდიუმი), განსაკუთრებით კი მისი იზოტოპები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სხვა პლატინოიდები.

ან რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ თუ აქამდე ურის დედოფალს საყდრისის ოქროსაგან დამზადებული სამკაული ამკობდა, ახლა ეს ოქრო კავკასიური ან ირანულია. მოგვყავს ციტატა: „ურსა და საყდრისში აღმოჩენილ ოქროში ნაპოვნი კონკრეტული პლატინის-ჯგუფის ელემენტების მიხედვით არსებობს ურის ოქროს კავშირის მაჩვენებლები კავკასიასთან ან ირანთან“ (ამ „მეცნიერული თეზისის“ სამეცნიერო ღირებულებაზე ჩვენი მოსაზრებები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ).

საკითხავია – საერთოდ რა კვლევები ჩატარდა 2006 წლამდე და რის საფუძველზე მიენიჭა ძეგლს სტატუსი? მხოლოდ დათარიღება ოქროს უძველესი მაღაროს არსებობას ვერ დაასაბუთებს, თანაც კოლუვიური ნალექებისა და ჰუმუსური ფენის დათარიღება! სპეციალისტებმა განსაჯონ რამდენად სარწმუნო და სანდოა ასეთი დათარიღება!

მისასალმებელია, რომ ბ-ნი შტოლნერი განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ნებისმიერ სამეცნიერო კვლევის ხარისხის სტანდარტის დარღვევას – მაგრამ გვინდა ვკითხოთ: რა არის მისთვის კვლევის ხარისხის სტანდარტი? ჯერ ძეგლის სტატუსის მიღება, შემდეგ კი მისი დასაბუთება? ანუ ჯერ შედეგი და შემდეგ კვლევა? შემდეგ კვლევის შედეგების წინასწარ დეკლარირებულ, არაფრით დასაბუთებულ იდეაზე მორგება? ეს არის სტანდარტი?

საყდრისის საბადო დიდი ხნის მანძილზე დეტალურად არის შესწავლილი, მარაგები დამტკიცებულია სახელმწიფო კომისიის მიერ, კარგად არის ცნობილი შემცველობებიც – 1-2 გ/ტ-ს ფარგლებში, ამის ფონზე უაღრესად არაპროფესიული, არაკომპეტენტური განცხადებაა, რომ თურმე საბადოზე ოქროს შემცველობა 50-500 გ/ტ-ს ფარგლებშია „ერთ-ერთი გეოლოგის ზეპირი ინფორმაციით“ და ამას ბ-ნი შტოლნერი იყენებს, როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას, თუმცა მალავს, რომ სინამდვილეში ეს უიშვიათესი, ერთეული შემთხვევაა და ისიც მხოლოდ ძალიან ღრმა ჰორიზონტებზე, სად არის მეცნიერული კეთილსინდისიერება და მეცნიერული კვლევების ხარისხის სტანდარტი? თუ Niton XL-ით ოქროს შემცველობისა და რაოდენობის დადგენაა „მეცნიერული“? რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ იმ სიყალბეზე და დილეტანტიზმზე, რაც კვლავ საბადოში ოქროს შემცველობებს უკავშირდება? „ბოლო კვლევებმა დაამტკიცეს 50-500 გ/ტ შემცველობები“. ეს თუ არა ტყუილი, სრული უმეცრებაა, ვინაიდან საქმე გვაქვს ე.წ. „ქარიშხლურ“ შემცველობებთან. თუ ბატონმა შტოლნერმა არ იცის, რა არის „ქარიშხლური შემცველობა“, ვურჩევთ გადაათვალიეროს ნებისმიერი სახელმძღვანელო ეკონომიკურ გეოლოგიაში დამწყები სტუდენტებისთვის. ასევე აბსურდულია იმის მტკიცება, რომ ოქროს მინიმალური საშუალო შემცველობა 15 გ/ტ-ის ტოლია. გასაოცარია, მაგრამ თურმე საბადოზე დღეს იმიტომ არის დაახლოებით 1 გ/ტ ოქროს შემცველობა, რომ ძველ სამთოელებს ამ მადნებიდან უკვე მოუპოვებიათ 14 გ/ტ ოქროს ხარისხის მადანი! თურმე პრეისტორიულმა ადამიანმა გააღარიბა ჯერაც ხელშეუხებელი მეორადი კვარციტების მასივები, რომლის მასა ათეულობით მილიონ ტონას აღემატება! და ასეთ ადამიანს ეჭვი შეაქვს ჩვენს პროფესიონალიზმში! ციცერონისა არ იყოს, O tempora, O mores!

გავაგრძელოთ. თურმე ძველ ადამიანებს მოუპოვებიათ 6 000 ტ მადანი, 300-400 წლის მანძილზე, საშ. შემცველობით 15-30 გ/ტ-ზე, სულ 90-150 კგ-ის ფარგლებში (სახელმწიფო კომისიის სხდომაზე კი მტკიცდებოდა, რომ ზუსტად 220 კგ ოქრო იყო მოპოვებული!), ანუ წელიწადში 0,3-0,5 კგ! და ამ ოქროთი ჩვენი წინაპრები ამარაგებდნენ თურმე მთელ შუამდინარეთს! კომენტარი ზედმეტია, აღარ ვლაპარაკობთ იმ გარემოებაზე, რომ ასეთივე წარმატებით შეგვეძლო გვეთქვა – 10 000 ტ მადანი საშ. შემცველობით 150-300 გ/ტ იყო მოპოვებული, და ა.შ. და როგორც ეს უკანასკნელი არაფრითაა დასაბუთებული, ისევე არ არის დასაბუთებული ბ-ნი შტოლნერის ზემოაღნიშნული მისტიფიკაცია. სამწუხაროა, რომ ამაზე აქამდე ხმა არავის ამოუღია.

მიგვაჩნია აგრეთვე, რომ არავითარი „სამეცნიერო კვლევის ხარისხის სტანდარტში“ არ ჯდება იმის მტკიცება, რომ „პატარა გორაკის საექსპლუატაციო სიმძლავრეა ერთი-ორი წელი ბულდოზერით მუშაობა არაუმეტეს ოცი მუშით“ და რომ თურმე „ბოლნისის რეგიონში ბევრი ოქროს საბადოა“ და რომ ყაჩაღიანი „მაღალ ეკონომიკურ მოგებას მისცემს მათ რუს მფლობელებს და ქართველ „მოკავშირეებს“. შევახსენებთ ბ-ნ შტოლნერს, რომ ინვესტორის ეროვნული ნიშნით დაყოფა – ელემენტარული ქსენოფობიაა, ხოლო „საბადო“, უპირველეს ყოვლისა, დამტკიცებულ სამრეწველო მარაგს გულისხმობს. საქართველო დიდად მადლობელი დარჩება, თუ ბ-ნი შტოლნერი ერთ მათგანს მაინც მიგვითითებს „ბოლნისის რაიონში არსებულ ბევრი ოქროს საბადოებიდან“. რაც შეეხება ეკონომიკურ სარგებელის შედარებას, ერთი მხრივ საბადოს დამუშავებიდან და მეორე მხრივ ტურისტული არქეოლოგიური ობიექტიდან, თუნდაც ძეგლიდან, ეს აბსოლუტურად არათანაზომადი სიდიდეებია, ვწუხვართ, რომ ბ-ნი შტოლნერი ამას ვერ ხვდება.

დამოუკიდებელ ექსპერტებად ბატონი შტოლნერი რამდენიმე ქართველი მკვლევარის აზრს იშველიებს (თუ საჭირო იქნება, შეგვიძლია ამ მკვლევარების ვინაობაც გავამხილოთ). მაგრამ სინამდვილეში დოკუმენტების ზერელე მიმოხილვაც კი ააშკარავებს, რომ ეს მკვლევარები არ არიან დამოუკიდებლები და არიან პროექტის „ოქრო საქართველოში“ თანამონაწილენი, რაც ნათლადაა ასახული თვით ბ-ნი შტოლნერის მიერ გავრცელებულ დოკუმენტებში.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელია, რომ ბატონი შტოლნერის სამეცნიერო კვლევები ვერავითარ ხარისხის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან იგი უბრალოდ მისტიფიკაცია-ფალსიფიკაციაზეა აგებული.

და ბოლოს, დიდად მადლობელი დავრჩებოდით, თუ ბატონი შტოლნერი არა ზოგადად ისაუბრებდა ჩვენს სამეცნიერო არაკომპეტენტურობასა და მიკერძოებულობაზე, არამედ ზუსტად დაასახელებდა (სახელი, გვარი) თავისი კრიტიკის ობიექტს. მაშინ ჩვენ მოგვეცემოდა მის წინააღმდეგ გერმანიაში სარჩელის შეტანის შესაძლებლობა დიფამაციის ბრალდებით.

პატივისცემით:
ა. თვალჭრელიძე
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნ. შეყრილაძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ო. ქუცნაშვილი
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რ. მიხელსონი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დ.ლომიტაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხატზე დაფიცებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება

ზემო სვანეთის 17 თემი „ხუდონჰესის“ წინააღმდეგ ერთიანდება

EXCLUSIVE

„სულაც რომ შევაკვდეთ, არ დავთმოთ!“

my View
თამარ გორთამაშვილი

„ხუდონჰესის“ პროექტთან დაკავშირებით ხაიშში ვნებათაღელვა არ ცხრება. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობაზე ჯერ საბოლოო ნებართვა არ გაცემულა, ხაიშელები წინასწარ აფრთხილებენ ინვესტორს, რომ წარმოდგენილი პროექტით მშენებლობას არ დაუშვებენ. წინა კვირას ამ თემაზე „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც კომპანია „ტრანსელექტრიკა“ ჯორჯიას წარმომადგენელი აცხადებდა, რომ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს, ხატზე დაფიცებული ხაიშელები ეხმაურებიან. ისინი ამბობენ, რომ ჰესის აშენება, ინვესტორს მათ ძვლებზე მოუწევს, რადგან ისინი ფიცის გატეხასა და „სვანეთის მესაფლავეებად“ ყოფნას არ აპირებენ.

ზურაბ ნიჟარაძე: მომავალი გვიჩვენებს, როგორ ქუხს და როგორ წვიმს. მუქარის ტონით რომ გველაპარაკებიან და კუთხეში მომწყვდევის ტონით, ავიწყდებათ, რომ ქმედება იწვევს უკუქმედებას, ჩვენი მხრიდან გვაქვს ნათქვამი – ჩვენ ყველა მშვიდობიანი ფორმით გავუწევთ წინააღმდეგობას. არ ვაპირებთ კედებით სირბილსა და ქვების სროლას, მაგრამ ყველა მშვიდობიანი ფორმით გავუწევთ წინააღმდეგობას. არსებობს უამრავი ხერხი, თუნდაც შიმშილობა. ჩვენ არ დავთმობთ ჩვენს პოზიციებს. სვანეთი არის ძალიან მცირე, მაგრამ არის უნიკალური და მთელი მსოფლიო აღიარებს ამას. ნამდვილად არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ყველაზე უკეთესები ვართ, მაგრამ სვანეთი რომ განუმეორებელია თავისი ისტორიით, კულტურით, ეთნოგრაფიით, სვანური სამართლით, არქიტექტურითა თუ მდებარეობით, რომელი ერთი ჩამოვთვალო... მთელი მსოფლიო აღიარებს. სვანეთი შეყვანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. ჩვენ მიწის ამ ნაგლეჯზე ვცხოვრობთ და რა უფლება მაქვს მე ან ნებისმიერ ადამიანს, რომ 850-ზე მეტი საფლავის ამოთხრაზე თანხმობა განაცხადოს ნებისმიერ საფასურად და მით უმეტეს, ტაძრის წყალქვეშ დაფვლაზე.

– ორიოდე კვირის წინ თქვენთან იყვნენ მოსული კომპანიის წარმომადგენლები, რა პასუხი მიიღეთ უშუალოდ მათგან?

– მშენებლობის მოსურნეებთან ჩვენი საუბრის საწყისი და ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ისინი განიხილავდნენ ამას, როგორც მხოლოდ ხაიშის თემის პრობლემას. მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის მხოლოდ ხაიშის თემის პრობლემა, ეს არის მთლიანად ზემო სვანეთის პრობლემა და შესაბამისად, მთელი ქვეყნისაც, იმიტომ რომ თუნდაც წლევანდელი პერიოდი გვიჩვენებს, რომ საშინელი სინესტეა, საშინელი წვიმებით მიდის წელიწადი. პრობლემაა ის, რომ დანესტიანების ხარისხი გაიზრდება იმდენად, რომ რაიონში შეუძლებელი გახდება ცხოვრება. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს ზემო სვანეთი ამ ტერიტორიის წყალქვეშ მოქცევით. წარმოიდგინეთ, 530 ჰა წყალქვეშ უნდა მოექცეს, 1100 ჰა ტყე უნდა გაიჩეხოს. ამასთანავე, მყინვარებს ახასიათებს გამაგრილებელი ეფექტი, მყინვართა დნობის ინტენსივობა უკვე მომატებულია, ეს კი უფრო გაზრდის ამ ინტენსივობას. ამას გარდა, უამრავი ფაქტორია კიდევ, წარმოიდგინეთ, დაახლოებით 10% ზემო სვანეთის მოსახლეობის უნდა აიყაროს, უნდა გავიდეს თავის სამკვიდრო ტერიტორიიდან. იკარგება ენა, ტრადიცია, კულტურა ეთნოგრაფია და ა.შ. ამიტომ ლოკალურად თუ შევხედავთ, ეს გახლავთ მთლიანად ზემო სვანეთის პრობლემა. უფრო მასშტაბურად კი ეს საქართველოს პრობლემაცაა. ჩვენთვის ეს ძალიან მტკივნეული თემაა და ვფიქრობ, ყველას ტკივილი უნდა იყოს, რადგან საქართველო ერთი სხეულია, ერთი ორგანიზმია.

– თქვენ მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტის განხილვის პირობა თუ მიიღეთ?

– არანაირი პირობა არ მიგვიღია. ალტერნატიული ვარიანტი არა მხოლოდ მოსახლეობამ შევთავაზეთ, არამედ სპეციალისტებიც ეუბნებიან ამას. თანამედროვე ტექნოლოგიები დღეს იმ დონეზეა მისული და ისეა განვითარებული, რომ შესაძლებელია, სხვა ვარიანტის განხილვა. ეს პროექტი 30 წლის წინანდელია, 30 წლის შემდეგ რამდენი ცვლილება მოხდა ტექნოლოგიებში, ხომ წარმოგიდგენიათ. ეს არის საბჭოთადროინდელი პროექტი, მაშინ ცნობიერება სხვა დონეზე იდგა და ამჟამად სულ სხვა დონეზე დგას. ენგურის ენერგეტიკული სიმძლავრე ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ არა ასეთი მასშტაბებით, როგორც მაშინ იყო დაპროექტებული. იგივეს თუ გავიმეორებთ, რაღა აზრი აქვს. ჩვენ ადრევე შევთავაზეთ ალტერნატიული ვარიანტი, 2007 წლის განხილვები რომ იყო და შემდგომ პერიოდშიც, მათ ჰქონდათ კიდეც მონახაზი გაკეთებული, საუბარი იყო ადგილმონაცვლეობაზე, თუმცა შემდეგ თქვეს, რომ არანაირი ალტერნატიული ვარიანტი არ განიხილება და თავდაპირველ ვარიანტზე გადავიდნენ. ეს ჩვენთვის მიუღებელია და ვერ განხორციელდება.

– გაიზარდა დაფიცებულთა რიცხვი?

– რა თქმა უნდა, გაიზარდა, არამხოლოდ ხაიშელები არიან დაფიცებული, რამდენიმე დღის წინ სხვა თემებიდანაც შემოგვიერთდა მოსახლეობა. ჩვენი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ხაიშელები და არამარტო ხაიშელები იფიცებიან. ჩვენ დავიწყეთ და სხვა თემებმაც აიტაცეს. სულ 17 თემია ზემო სვანეთში, ყველა თემის წარმომადგენელი მოდის და ხელს აწერს ფიცს, რომ სამკვიდროს არ დათმობენ.

ჩვენ ჩვენი ქვეყნის მომავალს ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ და არაფრით არ დავეთანხმებით არსებულ პროექტს. თუ შემოგვთავაზებენ ალტერნატივას, დაველაპარაკებით და შევაჯერებთ აზრებს და ამათი ყოველი მოსვლა იყო დაანონსება იმისა, რომ „ხუდონჰესი“ უნდა აშენდეს იმ ტერიტორიაზე და იმ მასშტაბებით და ეს არ არის მოლაპარაკების პროცესი, ეს არის ფაქტის დაფიქსირება. პირდაპირ გეტყვით, საზოგადოების აზრი არის ასეთი – სულაც რომ შევაკვდეთ, არ დავთმობთ! ამ პროექტს, ამ მასშტაბებით არ განვახორციელებინებთ. თუ განხორციელდება, ჩვენ ცოცხლები აღარ ვიქნებით და ჩვენს ძვლებზე თუ ააშენებენ, არ ვიცი... გამორიცხულია, ჩვენ არათუ უკან არ დავიხევთ, ვერ დავიხევთ, იმიტომ რომ სვანი კაცისთვის დაფიცება წმინდათაწმინდაა. ჩვენ ვერ დავარღვევთ ფიცს. ჩვენ სვანეთის მომავლის ეჭვქვეშ დაყენების საფასურად არანაირ ფულს არ ავიღებთ. 250 000-ია თუ 300 000, რომელსაც, სავარაუდოდ, გვთავაზობენ, ვის არ უნდა ფული, მაგრამ რის ხარჯზე? საკუთარი სულის წაბილწვის ხარჯზე ამას ხელს არავინ არ მოაწერს.

– ამ ოდენობით გთავაზობენ კომპენსაციას?

– კონკრეტული თანხა არ ყოფილა დასახელებული, კულუარულად შემოაგდებენ ხოლმე, ჯერ 100 000 თქვეს, მერე 150 000, მერე გაზარდეს, მაგრამ ჩვენთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თვითონ ესენი ავრცელებენ ხმებს, ხაიშელები ვაჭრობენო. გამორიცხულია, რა ვაჭრობა, ტყუილია ეს ყველაფერი, რა ვაჭრობაზეა ლაპარაკი, ჩვენ ხატზე დავიფიცეთ და ამ ფიცს არ გადავალთ.

– თუ არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თქვენს პოზიციას არ იზიარებს და ურჩევნია, კომპენსაცია აიღოს და წავიდეს?

– ქრისტეს ამდენ მეგობარში ერთი იუდა აღმოაჩნდა და არ არის გამორიცხული, აქაც იყვნენ ასეთები. თუმცა ხმამაღლა ვერავინ აფიქსირებს ასეთ პოზიციას. იმდენად მტკივნეული თემაა ეს მთელი სვანეთისთვის, რომ შეიძლება მხოლოდ ერთეულები იყვნენ სხვა პოზიციაზე. ჩვენ არასდროს დაგვითმია ჩვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით და არც დავთმობთ, უკვე ველარ დავთმობთ, რადგან ხატის წინააღმდეგ, ღვთის წინააღმდეგ ვერ წავალთ. როგორ შეიძლება, ნორმალურმა ადამიანმა თანხმობა მისცეს ტაძრის წყალქვეშ მოქცევას, ან წინაპრების საძვალის ამოთხრას... გამორიცხულია.

არსებობს ალტერნატიული ვარიანტები და იფიქრონ იმაზე. თანამედროვე ტექნოლოგიები იმ დონეზეა დღეს მისული, რომ ენგურის ენერგიის გამოყენება ბევრად უფრო ეფექტურად შეიძლება, ისე, რომ სვანეთი არ დაზიანდეს და შესაბამისად, საქართველოს არ მიადგეს ზიანი. ვისაც პრაგმატული აზროვნება აქვს, ის გაიგებს ამას და ვისაც არ აქვს, ისეთი არც ინვესტორი არ უნდა შემოვუშვათ და არც მთავრობაში არ უნდა გვყავდეს. გარემოს დაცვამაც და ყველა სამინისტრომაც რომ თანხმობა განაცხადოს, მთელი სვანეთი დავდგებით ფეხზე და ჩავშლით ამ პროექტს.

კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას გეგმავს, რომლის შედეგად დაიტბორება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი, ასევე ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია.

ადგილობრივები და ექსპერტები ინვესტორს ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობენ, თუმცა „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ მის განხილვას არ აპირებს. ინვესტორს მშენებლობის ნებართვისთვის, სამინისტროში შესწორებული პროექტი შეაქვს, რომლის თავდაპირველ ვარიანტზეც, გარემოს ზედამხედველობის შეფასების კომისიას შენიშვნები ჰქონდა. კომპანიაში აცხადებენ, რომ პრობლემა რომელიც ადგილობრივებთან წარმოიშვა მოგვარებადია. რაც შეეხება სვანების ფიცს, კომპანიაში ფიქრობენ, რომ „არც ისე წვიმს, როგორც ქუხს“...

„ხუდონჰესის“ მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის პოზიცია ცნობილია - ხუდონის პროექტი ერთ-ერთი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მშენებლობაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსეთის მცოცავი ოკუპაცია ეიფელის კოშკთანაც გააპროტესტეს

მაია გიორხელიძე,
სპეციალურად
„პრაიმტაიმისთვის“
პარიზიდან

ეკატერინე სირაძე-დელონე: „საფრანგეთი აღიარებს და ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და გმობს რუსეთის ქმედებებს“

ბოლო ხანს გააქტიურებულ მცოცავ ოკუპაციას საქართველოში არაერთი საპროტესტო აქცია მოჰყვა, პროფესიისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ქართველო ხალხი (მცირე რეაქციული ძალების გამოკლებით) რუსეთის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ მშვიდობიანი აქციების ირგვლივ გაერთიანდა, თუმცა არა მხოლოდ საქართველოში... რუსეთის მცოცავი ოკუპაცია გასულს კვირას პარიზში ეიფელის კოშკთანაც გააპროტესტეს. „პრაიმტაიმი“ საფრანგეთის დედაქალაქში გამართული აქციის შესახებ ჩვენი ქვეყნის ელჩს საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონესა და ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელს ოთარ ზურაბიშვილს ესაუბრა.

ეკატერინე სირაძე-დელონე, საქართველოს ელჩი საფრანგეთში:

– მიგვაჩნია, რომ მცოცავი ოკუპაცია ძალიან მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემაა და, ბუნებრივია, მივესალმებით ყველა მცდელობას, ყველანაირ მობილიზაციას, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ ინფორმირებისა და საერთაშორისო ყურადღების მობილიზებისკენ. ამავდროულად, საქართველოს საელჩო საფრანგეთში აქტიურად მუშაობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებთან მიიტანოს ინფორმაცია და ამ წრეების აქტიური მხარდაჭერა მოიპოვოს. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებით საფრანგეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს, რომელთაც ვამცნობთ დვანსა და დიცში მიმდინარე პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი აღიარებს და ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და გმობს რუსეთის ქმედებებს. რაც შეეხება აქციის ადგილმდებარეობას, ქართული სათვისტომოს მიერ ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციით შევიტყვე. სამწუხაროდ, აქციასთან დაკავშირებულ დეტალებზე, ალბათ, მისი ორგანიზატორები უფრო დაზუსტებით გიპასუხებენ.

ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტის, ოთარ ზურაბიშვილის განცხადებით, პარიზში გამართულ საპროტესტო აქციას ქართველები სხვა ევროპული ქვეყნებიდანაც შეუერთდნენ.

ოთარ ზურაბიშვილი, საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი:

– რატომ გადაწყვიტეთ საპროტესტო აქციის ტროკადეროს მოედანზე გამართვა? პარიზის მერიამ რუსეთის საელჩოსთან შეკრების უფლება არ მოგცათ, თუ ამის სხვა მიზეზი არსებობს?

– ამ ადგილს ტროკადეროზე „ადამიანის უფლებების კარიბჭე“ ჰქვია და რაკი ჩვენ ვიცავთ ქართველების ტერიტორიული საკუთრების უფლებებს, ეს არჩევანი, ვფიქრობთ, გამართლებულია. ამასთან ერთად, ეიფელის კოშკის დანახვა, რომლის მახლობლადაც ტარდება აქცია, მყისიერად ახდენს საფრანგეთისა და პარიზის იდენტიფიკაციას.

– დღევანდელი აქცია მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ იმართება თუ საქართველოს მთავრობის მიმართაც არსებობს გარკვეული „მიმართვა“ და მოთხოვნები?

– საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს მესიჯი არის მკაფიო და არაორაზროვანი – გაფრთხილება რუსეთის ხელისუფლების მიმართ, რომელიც საერთაშორისო კანონების დარღვევით, არა მარტო ქართული მიწის ოკუპირებას ახდენს, არამედ სახლების, ნარგავების ლეგიტიმური მფლობელების უფლებების უგულებელყოფით მავთულხლართებს აღმართავს. საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო საერთაშორისო არენაზე ახმოვანებს ყველა ქართველისა და მათი მეგობრის პროტესტს, რაშიც ჩვენ ერთიანნი ვართ და პოლემიკას ადგილი არ აქვს. ამასთანავე, ჩვენ საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეებს ვუტოვებთ საშუალებას, ადგილზევე შეაფასონ, რამდენად ადეკვატურია რუსეთის ამ ვანდალურ ქმედებაზე საქართველოს ხელისუფლების პასუხი. ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობას, რათა მათ ისმინონ ჩვენი ერთიანი მოთხოვნა და უკან დაახევინონ რუსეთის ხელისუფლებას. ის, რომ ჩვენს საპროტესტო მოწოდებას გამოეხმაურა როგორც საფრანგეთში, ასევე მის გარეთ მცხოვრები უამრავი ქართველი და გამოთქვა მზადყოფნა აქციაში მონაწილეობაზე, ცხადყოფს, რამდენად სერიოზულია დღევანდელი მდგომარეობა.

ოთარ ზურაბიშვილი:

„საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო საერთაშორისო არენაზე ახმოვანებს ყველა ქართველის პროტესტს, რაშიც ჩვენ ერთიანი ვართ და პოლემიკას ადგილი არ აქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში ტერორ

მარიამ ნადირაძე

გიორგი გუგავა: „გამორიცხული არ არის, ამ მიმართულებით გარკვეული ჯგუფების მომზადება ხდებოდეს“

გიორგი თავდგირიძე: „შალვა ნათელაშვილი პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებს თითიდან გამოწოვილ ფაქტებს“

ამ შინაარსის სკანდალური განცხადება რამდენიმე დღის წინ, არც მეტი, არც ნაკლები, შალვა ნათელაშვილმა გააჟღერა. გაპრეზიდენტების სურვილით გატაცებულმა #1-მა ლეიბორისტმა ფართო აუდიტორიის წინაშე საქართველოში რუსული ოკუპაციის დამარცხება ასე ივარაუდა: „შევწყვეტთ ჩეჩენი ბოევიკების მომზადებას საქართველოში, რის გამოც რუსის ტანკები შემოვიდა ცხინვალში... ეს ხდებოდა 10 წლის წინათაც. შევარდნაძის დროს დაიწყო“...

სანამ შალვა ნათელაშვილი ამ განცხადებებზე განმარტებას გააკეთებს, „პრაიმტაიმი“ მის თანაპარტიელს, გიორგი გუგავას ესაუბრა:

– რუსეთის ფედერაცია ყოველთვის გრძნობს საშიშროებას, რომ კავკასიაში შესაძლოა, სიტუაციის აფეთქება მოხდეს. ეს ეჭვები ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებულია, ზოგ შემთხვევაში კი ფაქტები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთ კავკასიის აფეთქება შესაძლებელია იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებიც გადამზადებას გადიან საქართველოში, ჩეჩნებზეა საუბარი. რუსეთს მუდმივად აწუხებდა ეს საფრთხე და ამაზე საკმაოდ მწვავედ რეაგირებდა. გახსოვთ შევარდნაძის დროს პანკისის ხეობაში ჩატარებული ოპერაციები, გილაევის ჯგუფის გადაადგილებები?.. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რა ხდებოდა ნაციონალების ხელისუფლების პირობებშიც. როგორც ჩანს, ეს საკითხი დღესაც მწვავედ დგას.

– რამდენად საფუძვლიანად?

– ის ქმედებები, რასაც დღეს ღიად, საჯაროდ, მეტსაც გეტყვით, უტიფრად ახორციელებს რუსეთი, მცოცავ ოკუპაციასთან დაკავშირებით, არ არის მხოლოდ ძალის დემონსტრირება. ეს რაღაცის პასუხია, რაღაცის გამო ხდება ეს ყველაფერი, თორემ ბოძები რომ იქ ვერაფერს შეცვლის, საბოლოო ჯამში, და ადრე თუ გვიან ის იქიდან ასაღები იქნება, ეს ცხადია. ეს პასუხია იმისა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ამას გარდა, ივანიშვილმა რუსეთს დაპირება მისცა, რომ საქართველოს ევრაზიის კავშირის ფორმატში საბაჟო კავშირში შეიყვანდა. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი დაპირება. ამ ხელისუფლებამ თავიდან გააკეთა განაცხადი რკინიგზის აღდგენის თაობაზე. მერე უკან დაიხია. ანუ, სააკაშვილის არ იყოს, ესენიც დებენ პირობას და მერე არ ასრულებენ. რუსეთი ქართველი ამომრჩეველი არ არის, რომელიც სულგრძელია და რაღაცებს პატიობს. როდესაც ამას რუსეთს უკეთებ, შედეგები ძალიან მძიმეა.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ თქვენც იზიარებთ თქვენი ლიდერის განცხადებას საქართველოში ბოევიკების მომზადებასთან დაკავშირებით...

– ნუ გამორიცხავთ, რომ ამ მთლიან სურათში, რაც მე წარმოვადგინე, ერთ-ერთი საკითხი ესეც იყოს.

– ნუ გამოვრიცხავთ, თუ ასეა? ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა თქვენი ლიდერის მხრიდან...

– გამორიცხული არ არის, ამ მიმართულებით გარკვეული ჯგუფების მომზადება ხდებოდეს. ოღონდ ამას სერიოზული კვლევა სჭირდება. ეს დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, სახელმწიფოებრივ საკითხებთან და ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრ ინფორმაციას ვერ გაგიმხელთ. მაგრამ ზოგადი სიგნალები შალვა ნათელაშვილის მხრიდან გაკეთდა ყველა მიმართულებით. იმედია, გაითვალისწინებენ ამას და არ გავხდებით მსხვერპლი მავთულხლართების, ტანკებისა, თუ საზენიტო დანადგარებიდან გამოსროლილი ჭურვებისა.

– გაქვთ კონკრეტული ინფორმაცია და დეტალებს არ ამჟღავნებთ?..

– საქართველოა ეს და გარკვეული ინფორმაციები ტრიალებს. შალვა ნათელაშვილი პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსია. გარკვეული მინიშნებები გააკეთა. გამგები გაიგებს.

– მაგრამ, როდესაც ამ განცხადებას აკეთებს საპრეზიდენტო კანდიდატი, გამგები შესაძლებელია სულ სხვა აღმოჩნდეს და ის სულაც არ იყოს „კარგი გამგები“. ფიქრობთ, რომ რუსეთი ამ შანსს ხელიდან გაუშვებს?

– საქართველოში რუსეთს ინფორმაციული ვაკუუმი ნამდვილად არ აქვს. მას ინფორმაციის მიღების უამრავი წყარო გააჩნია. სხვა თუ არაფერი, მათ შეუძლიათ კოსმოსიდან მთლიანად გააკონტროლონ ჩვენი ტერიტორია, მას ნამდვილად არ სჭირდება შალვა ნათელაშვილის განცხადებები. აქ კი მინიშნება იყო, რომ უნდა მოვიქცეთ შექმნილი სიტუაციის ადეკვატურად და საქართველო ვაქციოთ არა დაპირისპირების, არამედ თანამშრომლობის ადგილად. როდესაც რიტორიკაში ერთი გაქვს და ზურგსუკან მეორეს აკეთებ, ამას ის შენი მეზობელი არ გპატიობს. მე უკვე დაგისახელეთ ფაქტორები, მარტო ამ ერთ კომპონენტზე ნუ გავამახვილებთ ყურადღებას. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით რუსეთი ახდენს ძალის დემონსტრირებას, საქართველოს ხელისუფლება კი იქცევა ისე, როგორც ადამიანი, რომელიც რაღაცას ჩაიდენს და მერე მიიმალება. დღეს ეს ხელისუფლება მიმალულია და დვანში არც კი ჩასულა. ამ მიმართულებით არის გასატარებელი სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც იქნება არა კულუარული შეთანხმებიდან და გადაგდებიდან, რასაც სააკაშვილი აკეთებდა და ომი მივიღეთ. ამ გზას დაადგა ივანიშვილიც და აგერ რამდენი ათასი ჰექტარი მიჰყვა ამ ვირეშმაკულ თამაშს.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჩეჩენი ბოევიკების მომზადების ალბათობას ექსპერტთა უდიდესი ნაწილი გამორიცხავს. თუმცა, არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თუ მსგავსი რამ მაინც ხდება, ეს შესაძლოა, მხოლოდ ქართული სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს და ეს სულაც არ ნიშნავს ტერორისტების მომზადებას. ამ მოსაზრებას „პრაიმტაიმს“ სამხედრო ექსპერტი“ გიორგი თავდგირიძე უზიარებს:

– თუ პოლიტიკური პარტიის ლიდერმა იცის, რომ მის ქვეყანაში ხდება ისეთი რამ, რამაც შეიძლება მისი სახელმწიფო დაღუპოს, ის დღეს და ღამეს უნდა ათენებდეს პრემიერ-მინისტრის მისაღებში და ითხოვდეს ამის აღკვეთას. თუ, რა თქმა უნდა, მას აქვს კონკრეტული, დადასტურებული ინფორმაცია. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ მას ასეთი ინფორმაცია არ აქვს. საქართველოს უახლეს ისტორიას ახსოვს არასასიამოვნო ფაქტები, თუნდაც რუსლან გილაევთან დაკავშირებით, რომლის ჯგუფიც საეჭვო მარშრუტით გადაადგილდა საქართველოს ტერიტორიაზე. გაურკვეველი იყო მიზნები – რა მოსაზრებები ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას: მართლა უნდოდა გამოეყენებინა გილაევი აფხაზების წინააღმდეგ, თუ ეს იყო იმდროინდელი მთავრობის უბრალო უსუსურობა, რომელმაც ამ ჯგუფს ვერაფერი მოუხერხა და შესთავაზა, ამ გზით გასცლოდა საქართველოს. ეს საქმე არასდროს გამოძიებულა და კითხვები კვლავაც რჩება.

– თუმცა მაშინ არავინ საუბრობდა იმაზე, რომ საქართველოში ამზადებდნენ გილაევის რაზმს...

– ამის მერე დაიწყო რუსეთმა აქტიური მოქმედება და საქართველოსთვის იმის დაბრალება, რომ ჩვენ გვაქვს ტერორისტული მომზადების ე.წ. ცენტრები. მე თვითონ ვმონაწილეობდი ცნობილ ანტიტერორისტულ ოპერაციაში, ეს იყო პანკისში და ბარისახოს მიმართულებით. ორივე შემთხვევაში ეს იყო ღია ოპერაციები, რადგან რეალურად არავითარი მოსამზადებელი ცენტრები არ არსებობდა. მაშინ კარგად ახსოვს ყველას, როგორი დაუცველი იყო ჩვენი საზღვრები. ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან კონკრეტული ადამიანები შემოდიოდნენ, ყიდულობდნენ პროდუქტს და ბილიკებით ისევ გადიოდნენ. იმ რაიონში, სადაც მე ვმუშაობდი, ვერ წავაწყდი ინფორმაციას, რომ თუნდაც ამ მიზნით რაიმე ტიპის დაჯგუფება მოქმედებდა. ყოველთვის საუბრობდნენ ერთ, ორ, ან სამ ადამიანზე, რომელიც არაფერს ერჩოდა ადგილობრივ მოსახლეობას და არ ჰქონდათ მუდმივი დისლოცირების ადგილი. ისეთი ფაქტებიც კი არ ყოფილა, რომ, ვთქვათ, რომელიმე მთიელ ოჯახს თბილისში ეყიდა პროდუქტი, დაესაწყობებინა და მერე ჩეჩნებისთვის მიეცა. საკმაოდ კარგად იმუშავა მაშინ სამხედრო დაზვერვამ. ყოველ შემთხვევაში, იმ ინფორმაციებში, რომელიც მაშინ ჩემს ხელში გადიოდა, სახმელეთო ძალების შტაბის უფროსი ვიყავი, ერთი ასეთი ფაქტიც კი არ დაფიქსირებულა. პანკისის შესახებაც ვიყავი საქმის კურსში და ვიცი, რომ რაიმე შეტაკება რომელიმე დაჯგუფებასთან, ან რამე მოსამზადებელი ცენტრების განადგურება არ მომხდარა, ერთი უბრალო მიზეზის გამო – ასეთი ცენტრები არ არსებობდა. სულ სხვა თემაა, რომ ვთქვათ, სამი, ოთხი, ხუთი ან ექვსკაციანი ჯგუფი ხეობაში რომელიმე ადგილობრივი მოსახლის ოჯახს თავს აფარებდა. მაგრამ ეს არ არის ბოევიკის მომზადება. რაც შეეხება სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდს, მართალია, დახურული სისტემა იყო ძალოვანი სამინისტროები, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ბოევიკების მომზადება არ არის მარტივი საქმე. ეს ითვალისწინებს გარკვეულ ტერიტორიებს, სადაც მოწყობილი იქნება სასწავლო ცენტრები, ამას სჭირდება ინსტრუქტორი, კვების ბლოკი, დაცვა, ანუ მთელი ინფრასტრუქტურა. აქ საუბარია ბოევიკების და არა ცალკეული, ერთი, ან ორი კაცის მომზადებაზე. აქედან გამომდინარე, საიდუმლოს დაცვა ძალიან რთული იქნებოდა. მოსახლეობაც კი მათ მიერ განხორციელებულ რაიმე ღონისძიებას ძალიან სწრაფად იგებდა ხოლმე. ეს ჭორად მაინც ვრცელდებოდა. აქედან გამომდინარე, მეეჭვება, რომ ძალოვან სამინისტროებს მოეხერხებინა ინფრასტრუქტურის ისე აწყობა, რომ ეს ცნობილი არ გამხდარიყო რუსეთისთვის და ამერიკელებისთვის. რაც შეეხება ამერიკელების დამოკიდებულებას, მე თავს არ ვდებ ცალკეულ ოპერაციებზე, ყველაფრის გამორიცხვა ძნელია, მაგრამ ამერიკელები ვერანაირად ვერ წაახალისებდნენ ასეთი ცენტრების არსებობას. ერთია, როცა შენ ამზადებ ჩეჩენ აჯანყებულს, რომელსაც დეკლარირებული აქვს, რომ მას სამშობლოსთვის ბრძოლა უნდა, გადის გარკვეულ სამხედრო მომზადებას, ამის მერე ის არ არის ვალდებული საქართველოს წინაშე, მიდის სადღაც, ვთქვათ ავსტრიაში, ან დანიაში და ის არის კარგად მომზადებული პირი იმისთვის, რომ გახდეს ტერორისტი. არა უბრალოდ ფანატი ტერორისტი, არამედ უკვე სამხედრო გამოცდილებით. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის გარკვეული მასის მომზადებას ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიაზე იმის ხარჯზე, რომ მერე მიეღო პოტენციური მოწინააღმდეგე, ვერ დაუშვებდა. მოდით, კიდევ ერთი რამ ვთქვათ: საქართველოში მომზადებულ ჯგუფებს მერე სადღაც ხომ უნდა ემოქმედათ? სამხედრო მოქმედებებზე მაქვს საუბარი. 2003 წლის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ისტეხს არ ამზადებენ

მერე ბუნებაში არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელიც ჩეჩნეთში ჩატარდებოდა. ასე რომ, ვერავინ იტყოდა, რომ ეს არის კარგად მომზადებული ახლად შექმნილი ჯგუფი, რომელიც იბრძვის და შესაბამისად, სავარაუდოდ, საქართველოშია მომზადებული. ფაქტია, მხოლოდ ის ჯგუფები იბრძვიან ჩეჩნეთში, რომლებიც შემორჩენილია და თვითონ იღებენ შევსებას. მათთან ახლად მომზადებული ჯგუფები არ გაჩენილა. სულ სხვა საქმეა ლაფანყურის ინციდენტი, რომლის გარშემოც ბევრი კითხვა და ლაქაა, მაგრამ ამას სჭირდება გამოძიება. ეს შეიძლება იყოს პრეცედენტი და არა რეციდივი. ეს შეიძლება იყოს რომელიმე ჩინოვნიკის თავში მოსული გეგმა, რომელიც გაკეთდა ერთჯერადად, რომელსაც ჰქონდა მოკლე მოსამზადებელი პერიოდი და გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა. მაგრამ ამას ძიება სჭირდება და არა მარჩიელობა. ასე რომ, მარტივად რომ ჩამოვყალიბდეთ, ჩეჩენი ბოევიკების მომზადების ცენტრები საქართველოში არ არსებობს. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ცალკეული ჩეჩენის მომზადებას, რომელიც ინდივიდუალურ რეჟიმში შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს სპეცსამსახურების მიერ გარკვეული სპეციფიკური დავალების შესასრულებლად. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ეს მაინცდამაინც ტერორისტული აქტი იყოს. ეს ნებისმიერ სახელმწიფოში შეიძლება ხდებოდეს. გერმანელი დანიელს არ მოამზადებს, მაგრამ სახელმწიფოები, რომლებსაც ახლოს აქვთ საკმაოდ ფეთქებადასაშიში რეგიონები, ყოველთვის უნდა ისწრაფოდნენ იქითკენ, რომ ამ რეგიონზე ჰქონდეთ გავლენა და ინფორმაციის მოპოვების საშუალება. ამიტომ ამაზე ხმამაღალი საუბარი მარტივი სპეკულაციაა. შალვა ნათელაშვილიც პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებს თითიდან გამოწოვილ ფაქტებს.

– მაგრამ თავად ამბობთ, რომ არ გამორიცხავთ ცალკეული პირების სპეცმომზადებას...

– ეს არ არის დანაშაული. პირიქით, ასეთი რამ უნდა ხდებოდეს. უნდა მომზადდეს არა მარტო ჩეჩენი და ინგუში, არამედ რუსიც, აზერბაიჯანელიც და სომეხიც. ეს სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკაა.

– რა სპეციფიკაზე საუბრობთ?

– დიდი განსხვავებაა ტერორისტის მომზადებასა და დივერსიულ ჯგუფს შორის. ტერორისტს არანაირი ვალდებულება არ ექნება შენს წინაშე, ის მზადდება ერთჯერადად, ის წავა და თვითონ დაუდგენს საკუთარ თავს დავალებებს. ის არ ჯდება კანონიერების ფარგლებში და აქვს რისკი, რომ იყოს აყვანილი, მოკლული და ა.შ. რაც შეეხება დივერსიულ ჯგუფს, ან ცალკეულად მომზადებულ ასეთ ადამიანს, ეს არის პირი, რომელიც გარკვეულ ვალდებულებებს იღებს, ჯდება კანონიერების ფარგლებში, იღებს გარკვეულ ანაზღაურებას... ის არის კონტროლირებადი. თუმცა შესაძლოა, გამოვიდეს კონტროლიდან. ლაფანყურის ინციდენტიც, ალბათ, სწორედ ასეთი რამ გახლდათ.

– ლაფანყურის შემთხვევაში არაერთი ჯგუფის მომზადებაზე იყო საუბარი...

– შესაძლოა, მე და თქვენ ჩვენს ქალაქებში, უბნებში ვემზადებოდეთ, მერე შეგვკრიბონ და გვითხრან, რომ შესასრულებელია ესა და ეს დავალება. მეორეა, როდესაც ჩვენ ერთად მივალთ კონკრეტულ ადგილზე, გავივლით ერთნაირ პროგრამას სამი თვის განმავლობაში, ვართ ერთი ჯგუფი, რომელიც მიდის საბრძოლველად. ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ საქართველოს გაერისკა ამ ტიპის დაჯგუფების შექმნა, რადგან ეს უკვე არ არის ერთჯერადი აქტი – ამ ჯგუფის წევრები ცხოვრობენ, იბრძვიან, ყვებიან ამბებს, ვიღაც იღუპება, ვიღაც ტყვედ ვარდება... ეს დიდი რისკია. თუ საქართველოს სახელმწიფო ამას საკუთარ თავზე აიღებდა, ის მზად უნდა ყოფილიყო, რომ გარკვეული შეცდომის შემთხვევაში მიიღებდა მსხვილმასშტაბიან აგრესიას რუსეთის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის ოპერაციებს ატარებენ სახელმწიფოები, რომლებსაც გარანტია აქვთ, რომ, თუ სიტუაცია გართულდა, მათი შეიარაღებული ძალები მზად არიან, კონფლიქტში შევიდნენ მეზობელთან. როგორც წესი, სუსტი სახელმწიფოები ასეთ ოპერაციას არ ატარებენ. ამას შედეგი არ შეიძლებოდა მოეტანა საქართველოს სახელმწიფოსთვის. ასეთი ტიპის ოპერაციები გამიზნულია იმისკენ, რომ დაასუსტო მეზობელი და დასუსტებული მეზობლის წინააღმდეგ გამოიყენო შენი სამხედრო ძალა. სააკაშვილის ხელისუფლებაში მართალია, იყვნენ ავადმყოფები, მაგრამ ისეთი ავადმყოფებიც არ იყვნენ, რომ საკუთარი მოსაკლავი დანა გაელესათ. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულწილად შეიძლებოდა კორუფციული გარიგება ყოფილიყო, როდესაც ჩეჩნებს შეეძლოთ გარკვეული ქართველი ჩინოვნიკები მოესყიდათ, ან შესულიყვნენ სხვა ტიპის გარიგებაში, აემოქმედებინათ ზეწოლის სხვა მეთოდები და მიეღოთ გარკვეული კორიდორი. აფხაზეთის ომის დროსაც იყო ასეთი პრაქტიკა, რომ რომელიმე კორუმპირებული რუსი გენერალი გააკეთებდა ორსაათიან, არ ორ-სამდღიან კორიდორს თავისი გავლენის რაიონში და ამ ხნის განმავლობაში დაინტერესებულ ჯგუფს უნდა მოესწრო რაღაცის გაკეთება. სააკაშვილის ხელისუფლებაში იყვნენ ჩინოვნიკები, რომლებიც ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და ამიტომ ებრძოდნენ ერთმანეთს. ეს გარეთ, რა თქმა უნდა, არ ჩანდა. ასე რომ, არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი გამიზნული ყოფილიყო ერთი ჩინოვნიკის მიერ მეორის ჩაძირვაზე და ამისთვის გამოყენებულიყო გარკვეული კომბინაცია. ერთი სიტყვით, ერთია, როცა ქართული სახელმწიფო ამზადებს ჩეჩნებს, მეორე კი – რამდენიმე ჩინოვნიკის გადაწყვეტილება, რომ ხელი შეეწყო გარკვეული ტიპის ჯგუფის შექმნისთვის, შეეიარაღებინა ის, ეთქვა ადგილი, სად, როდის შეეძლოთ შეკრება, საკუთარი ძალაუფლების გამოყენებით გარკვეული კორიდორიც მიეცა ამ ჯგუფისთვის. მაგრამ ეს არის ამ ჩინოვნიკის დანაშაული სახელმწიფოს წინაშე და არა სახელმწიფოს პოლიტიკა.

„ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი ჯანმრთელობის და წარმატების საწინდარია

მასაჟის აღწერილობის ისტორია სათავეს ინდოეთიდან და ჩინეთიდან ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მესამე ათასწლეულში იღებს. თუმცა მანამდე მასაჟი ცნობილი იყო როგორც სამკურნალო საშუალება და მას პირველყოფილი ადამიანები საკუთარი განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზეც კი მიმართავდნენ. ძველ საბერძნეთში თვლიდნენ, რომ მასაჟი არა მხოლოდ მედიცინაში იყო საჭირო, არამედ ყოველდღიურობაში და სპორტში.

XXI საუკუნეში მასაჟი ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად, სილამაზის და განტვირთვის საუკეთესო საშუალებად იქცა. მსოფლიოში აღიარებული გერმანული, ნომერ პირველი კომპანიის „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფ სთაილ სტუდიო“ სოლარიუმის მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს ჯანსაღი ცხოვრებისა და მეტი კომფორტის შესაქმნელად, მასაჟის მომსახურებას სთავაზობს.

იმისთვის, რომ თქვენი გარუჯული კანი, სექსუალურად, მიმზიდველად და, რაც მთავარია, ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, „ერგოლაინში“ სხვადასხვა სახის მასაჟის მომსახურებით შეგიძლიათ ისარგებლოთ.

საერთო საკორექციო ლიმფო-დრენაჟი და ანტიცელულიტური, საკორექციო და ზურგის მასაჟით, სარგებლობა მომხმარებელს ახალ მისამართზე, აბაშიძის 22-ში შეეძლება.

აქ სასიამოვნო და კომფორტულ მომსახურებასთან ერთად გამოცდილი სპეციალისტები სხვადასხვა პროცედურებს, თაფლის მასაჟს, შიაცუს, ლიმნისა და ყავის პილინგს შემოგთავაზებენ.

შიაცუ ეს არის იაპონური მასაჟი, რომელიც მიმართულია შინაგანი ენერგიის დაბალანსებაზე. ჩინური მედიცინის თვალსაზრისით, თუ ენერგია ადამიანის სხეულში თანაბრად მოძრაობს, ადამიანი ჯანმრთელია. შიაცუს ძირითადი მეთოდი არის ზემოქმედება ე.წ. მერიდიანებზე, რაც ენერგიის გამავალი არხია.

გარდა ამისა, „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტში შეგიძლიათ ზოგად საკორექციო და სარელაქსაციო მასაჟით სარგებლობა.

ქმედებს კუნთების ტონუსზე. „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტი მძიმე და დაღლილი სამუშაო დღის შემდეგ განტვირთვის საუკეთესო საშუალებას გაძლევთ.

მომსახურება და ფასები

„ერგოლაინური“ სიახლეებით მომხმარებელს სარგებლობა ხელმისაწვდომ ფასებში შეუძლია. ამიტომაც მასაჟის მომსახურების მიღება სულ რაღაც 40 ლარშია შესაძლებელი.

იყავით ჯანმრთელი, „ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი წარმატების და ჯანმრთელობის საწინდარია.

ზოგად საკორექციო მასაჟზე ძირითადი აქცენტი ხდება პრობლემურ ზონებზე. სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის გაუმჯობესების ხარჯზე ხდება ამ ზონების კორექცია.

ზურგის მასაჟი არის საუკეთესო საშუალება ოსტეოხონდროზის პროფილაქტიკისთვის. ძირითადად იმ ადამიანებისთვის ვისაც დიდი ხანი უწევს სავარძელში ყოფნა.

რაც შეეხება საერთო საკორექციო მასაჟს, ის საკმაოდ დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, ადამიანს ეხმარება ყოველდღიური სტრესის მოხსნაში. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც დადებითად მო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე თუ მკითხავთ, ჩემი მოსაზ
ასეთია: გიგი უგულავა დამნა

„ვვარაუდობ, რომ მერიის ხელმძღვანელობის მიერ ინსპირირებული დაპირისპირება კიდევ გაგრძელდება. თუმცა ჩვენ ვაპირებთ, რომ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცეს“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საკრებულოსა და მერიას შორის დაპირისპირება პიკს აღწევს. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა საკრებულო ცდილობს, არ იხმაუროს და პრობლემები სასამართლოში მოაგვაროს. სწორედ ამას აპირებს ირაკლი შიხიაშვილი, ზაზა გაბუნიასთან ერთად.

თბილისის მერი, გიგი უგულავა ფინანსთა მინისტრს ქალაქის ბიუჯეტის მერიის წინააღმდეგ გამოყენებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ უგულავას გამო თბილისს ბიუჯეტის შემცირება ემუქრება. თუმცა საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი ბრალდებას ფაქტებით პასუხობს და აბსოლუტურად საპირისპიროს ამტკიცებს. ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის მერია ცენტრალური ბიუჯეტიდან იმაზე მეტს იღებს ახლა, ახალი ხელისუფლების პირობებში, ვიდრე საკუთარი გუნდი აძლევდა. გაბუნია ვარაუდობს, რომ მერიის მხრიდან დაპირისპირება მანამ იქნება, სანამ დედაქალაქის შესახებ კანონში ცვლილებები არ შევა. რაც შეეხება ცვლილებებს საკრებულო პროექტზე უკვე მუშაობს და ის პარლამენტს, სავარაუდოდ, მალე გადაეგზავნება. ცვლილებების მთავარი არსი ისაა, რომ მერია საკრებულოს თანხმობის გარეშე ვერც ბიუჯეტს განკარგავს, ვერც გამგებლებს დანიშნავს, ვერც სამსახურების ხელმძღვანელობას და მეტიც, მერი თავის მოადგილეებსაც ვერ დანიშნავს, თუ საკრებულოს მხარდაჭერა არ ექნა იმ კონკრეტულ კანდიდატს.

გაბუნიას განცხადებით, პროექტის დეტალები ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა ფინანსების, თანამშრომლებისა და გამგებლების დანიშვნის გაკონტროლება უკვე დაბალანსებულ ძალაუფლებად მიაჩნია. რადგან, მისი განცხადებით, აქამდე საკრებულო მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლებოდა და არ ეძლეოდა საშუალება, „დამნაშავე“ გამგებლისთვის უნდობლობა გამოეცხადებინა, ან სულაც საქმიანობიდან ჩამოეშორებინა.

EXCLUSIVE

ზაზა გაბუნია, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელი:

– არ ვარ მომხრე, როგორც თბილისის მერია მოიქცა თავის დროზე, ისე გავაკეთოთ და შემდეგ გახდეს საჭირო, რომ საკრებულოს ჩამოერთვას უფლებები დაბალანსების მიზნით. ეს არ იქნება სწორი და ასე არც მოხდება. ჩვენი და პირადად ჩემი ამოცანაა, დაბალანსდეს უფლებები და ჩვენ მივიღოთ მონაწილეობა ამ პროცესში. დაბალანსებაში ვგულისხმობ იმას, რომ ერთმანეთის გარეშე არ უნდა შეეძლოს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ამ ორ ორგანოს. ისეთი თანამდებობა, როგორიც არის, მაგალითად, მერის მოადგილეები, სამსახურის უფროსები, გამგებლები ძალიან მნიშვნელოვანია და ის აუცილებლად უნდა შეთანხმდეს საკრებულოსთან.

– ანუ მერს თავისი მოადგილის დასანიშნად საკრებულოს თანხმობა დასჭირდება?

– დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა იქნება ერთგვარი პროცედურები, რომლის დაცვის ვალდებულებაც დაეკისრება მერიას. მთლიანობაში პროცედურები იქნება პრეცედენტული, ანუ ისეთი, როგორიც არის ევროპის ქვეყნებში. შესაბამისად, გაიზრდება ანგარიშვალდებულება ერთმანეთის მიმართ. ახლა კი ასეთი სიტუაციაა: როდესაც გამგებელი ან მერის მოადგილე ინიშნება ერთი ადამიანის მიერ, შესაბამისად, ეს პიროვნებებიც ვალდებულებას გრძნობენ მხოლოდ მერის წინაშე. ეს კი ძალიან არასწორია. თანამდებობის პირი ვალდებულებას არ უნდა გრძნობდეს მხოლოდ ერთი ადამიანის წინაშე, ის ვალდებული უნდა იყოს ორგანოს მიმართ. როცა ვალდებულება გაუჩნდება და ორმოცდაათი დეპუტატის წინაშე წარდგება პასუხების გასაცემად, მისი ლეგიტიმაციაც უფრო მაღალი გახდება.

– თუმცა აქამდეც შეიძლებოდა კითხვების დასმაცა და სხდომაზე მოწვევაც...

– ჩვენ შეგვეძლო და ვიწვევდით კიდეც. ისინი ვალდებულები იყვნენ, მოსულიყვნენ და მოდიოდნენ კიდეც, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც არ მოდიოდნენ. მაგრამ ჩვენ მხოლოდ კრიტიკით შემოვიფარგლებოდით და ვერც ვრეაგირებდით, ვერც ვნიშნავდით. ამის უფლებას კანონი არ გვაძლევდა. ეს არ იყო საკმარისი. საუბარია იმაზე, რომ თბილისის საკრებულოს უნდა შეეძლოს ვეტოს დადება. თუკი ჩვენ გვექნება ინფორმაცია ან ჩავთვლით, რომ კონკრეტული თანამდებობის პირი, მაგალითად, გამგებელი არ ასრულებს თავის მოვალეობებს და არ არის ჩვენთვის მისაღები, ბუნებრივია, უნდა შეგვეძლოს მისი განთავისუფლება. ამაზე დავას, ვფიქრობ, მერიაც არ წამოიწყებს, რადგან, როდესაც 2014 წელს, ნაციონალები საკრებულოს ოპოზიციაში იქნებიან, თუკი საერთოდ მოხვდნენ საკრებულოში, მაშინ მათ შესაძლებლობა ექნებათ, დაიბარონ, გააკრიტიკონ ან დანიშნონ თანამდებობაზე. ეს ფუნქციები არ უნდა იყოს მორგებული ერთ ადამიანზე, როგორც ეს გააკეთეს 2005 წელს გიგი უგულავას შემთხვევაში. საქართველოს ბიუჯეტი იმიტომ ინახავს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, რომ დაბალანსდეს ძალაუფლება და დაპირისპირება არ დაემსგავსოს ქუჩის ომსა და ჩხუბს. სამწუხაროდ, ნაციონალების მხრიდან ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს საკრებულოში. მე ვვარაუდობ, რომ მერიის ხელმძღვანელობის მიერ ინსპირირებული დაპირისპირება კიდევ გაგრძელდება. თუმცა ჩვენ ვაპირე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რება
შავეა“

ზაზა გაბუნია:

„გიგი უგულავას იმდენი კატასტროფული შეცდომა აქვს ჩადენილი, რამდენად დაუშვებს მოსახლეობა, ამ შეცდომების გამო, ის პოლიტიკაში დატოვოს, ეს თავად მოსახლეობის გადასაწყვეტია“

ბთ, რომ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცეს.

– პროექტი დამუშავების პროცესშია, თუ უკვე შემუშავებულია?

– პროცესშია. არ ვამბობ, რომ ყველაფერი დეტალურად ისე იქნება, როგორც ახლა გესაუბრეთ, ეს ჩემი ვარაუდი და მოსაზრებებია. პროექტში, ასევე, საუბარი იქნება საბიუჯეტო საკითხებზე. მე მაქვს ჩემი ვარიანტი, რომელიც მინდა, რომ დავიცვა. თუ მერიას ექნება თავისი მოსაზრებები, ორივე მხარე ვალდებული ვიქნებით, შევჯერდეთ. აქამდე ასე არ იყო. აქამდე თბილისის მერიას უნდოდა და ისე აკეთებდა.

– როდიდან შევა ეს ყველაფერი ძალაში?

– ამას ვერ გეტყვით. ახლა პარლამენტი წყვეტს მუშაობას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. როდესაც არჩევნების შემდეგ განაახლებს მუშაობას, ვნახოთ, რა ტემპებით მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა. ეს უკვე ჩვენზე აღარ იქნება დამოკიდებული, ეს მთლიანად პარლამენტის პრეროგატივაა. როდის შევა ცვლილებები, ეს დამოკიდებულია პარლამენტში მიღწეულ კონსენსუსსა და შეთანხმებაზე. საპარლამენტო უმცირესობაში არიან საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაგვეთანხმებიან და მხარს დაუჭერენ ამ მოთხოვნას. ჩვენ მზად ვართ, პარლამენტამდე ეს სიახლეები საზოგადოებას გავაცნოთ, მათ შორის, თუკი მერიას ექნება განსხვავებული შეხედულებები, მზად ვართ, მოვისმინოთ.

– ანუ ცვლილებებზე მერიასთან ერთად იმუშავებთ?

– მერიის ინტერესშია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გვითხრას, თუმცა ვფიქრობ, მერიას უფრო საკამათო შეხედულებები ექნება და ჩვენ ამისთვის მზად ვართ.

– სადამდე შეიძლება მივიდეს დაპირისპირება მერიასა და საკრებულოს შორის?

– მერიასთან ჩვენ ძალიან ბევრ საკითხში გვქონდა დაპირისპირება. არ ვიცი, კიდევ რას გამოიყენებს მერია საწინააღმდეგოს. ეს მერიის გადაწყვეტილებაა, რადგან ის გადასულია ოპონირების რეჟიმში. მას სურს, ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ცეცხლი გახსნას. ეს უფრო წინასაარჩევნო კამპანიას მაგონებს, რადგან ვიცით, რომ მომავალ წელს არის მერის არჩევნები და გიგი უგულავა ცდილობს, ახლავე დაიწყოს საარჩევნო კამპანია. ამას უკავშირდება მისი შემოტევა ბიუჯეტთან დაკავშირებით, ასევე, ამხანაგობის ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობა. გამოსავალი ამ დაპირისპირებიდან იქნება საკანონმდებლო ცვლილებები. ამ შემთხვევაში კამათი კი აღარ იქნება ამ ორ ორგანოს შორის, არამედ კანონი დაარეგულირებს და დააბალანსებს ურთიერთობას.

– როგორ დაარეგულირებს კანონი?

– ახლა ერთ მუხლზე რომ ვისაუბრო, არასწორი იქნება. თბილისის შესახებ კანონი, რომელიც დედაქალის მერიაში საქმიანობას არეგულირებს, არის გაუმართავი. შესაბამისად, მას ესაჭიროება გამართვა, ამის გაკეთებით საკრებულოს ავტომატურად დაუბრუნდება წართმეული უფლებები.

– უგულავამ განაცხადა, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მერის არჩევნებში. როგორ ფიქრობთ, უკავშირდება ეს მოსაზრებას, რომ ის შეიძლება დააპატიმრონ? მით უმეტეს, ეს თავად განაცხადა...

– დააპატიმრებენ თუ არა უგულავას, მე არ ვიცი, თუმცა ეს არ არის გამორიცხული, რადგან ის ბრალდებულია ძალიან ბევრ მნიშვნელოვან დანაშაულში. თავად, ალბათ, არც უნდა გამორიცხოს ეს, რადგან ბრალდებულია და სასამართლოში უწევს სიარული. თუმცა ვინმეს დაპატიმრებით არც საქმე გაკეთდება და არც სოფელი აშენდება. მე თუ მკითხავთ, ჩემი მოსაზრება ასეთია: გიგი უგულავა დამნაშავეა. ამ წლების განმავლობაში მე ვსწავლობდი თბილისის მერიის საქმიანობას და ჩემთვის ყველაფერი ნათელია. რომ იყოს შესაძლებელი, სასამართლოს გარეშეც კი ყველაფერი ნათელია, თუმცა ჩვენ ცივილიზებული ქვეყანა ვართ და ამიტომ საკმარისი არ არის მხოლოდ ჩემი მოსაზრება იმისთვის, რომ უგულავა დამნაშავედ გამოცხადდეს. ამისთვის სასამართლო არსებობს, თუმცა მე ყოველთვის შემიძლია, პოლიტიკური განცხადება და შეფასება გავაკეთო. ასევე, მისი უფლებაა, რომ მერის არჩევნებში იყაროს კენჭი. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ უარს ათქმევინებენ, ან აიძულებენ, უარი თქვას მონაწილეობაზე, ასე არ არის. გიგი უგულავა ახალგაზრდა კაცია და, ალბათ, სურვილი ექნება პოლიტიკაში დარჩენის, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეს არჩევანი სწორედ პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის მიზნით იყოს განპირობებული. არა მგონია, ეს გამოსავალი იყოს. მერობის კანდიდატები კი არა, ბევრი მაგალითი გვინახავს, როდესაც მოქმედი მერები და გამგებლები დაუკავებიათ. მაგალითების მოყვანა ბევრი შეგვიძლია ამერიკის ისტორიიდან. უგულავას კი აქვს უფლება, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, თუმცა მას იმდენი კატასტროფული შეცდომა აქვს ჩადენილი, რომ რამდენად დაუშვებს მოსახლეობა, ამ შეცდომების გამო, უგულავა პოლიტიკაში დატოვოს, ეს თავად მოსახლეობის გადასაწყვეტია.

ბურჯანაძე „კანონიერ ქურდებს“ გაურიგდა?

ანზორიკო ბიწაძის საიდუმლო შეხვედრა იტალიაში

ქეთი ხატიაშვილი

რა გარიგება დაიდო არჩევნების წინ და საარჩევნოდ ნინო ბურჯანაძესა და „კანონიერ ქურდებს“ შორის? რას სთავაზობს ბურჯანაძე ქურდებს დახმარების სანაცვლოდ და რა შეხვედრა შედგა იტალიაში? „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიური ინფორმაცია მიაწოდეს.

რუსეთმა სულ სამი ბრენდი შექმნა, რომელიც მხოლოდ მის სახელს უკავშირდება. ეს არის „ვოდკა“, „კალაშნიკოვი“ და „კანონიერი ქურდები“. სხვა ღირებული, მე პირადად, არ მახსენდება... თუმცა, მე არ მახსენდება. სამაგიეროდ, მაგალითად, ნინო ბურჯანაძისთვის მთავარი რუსული ბრენდი პუტინია.

რა ბედის ირონიაა, პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყო, ტელეჩერზე აფანატებდა, ახლა კი პუტინის ფანია. როგორც რუსები იტყვიან: Как вы докатились до такой жизни?

ასე რომ, ახლა რუსული ბრენდების ჩამონათვალი ამგვარია: „ვოდკა“, „კალაშნიკოვი“, „კანონიერი ქურდები“ და პუტინი.

„კანონიერი ქურდები“ სწორედ იმ უწყების შექმნილი და დალობირებულია, რომელსაც წარსულში ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი წარმოადგენდა. ანუ „კაგებეს“. სწორედ მათი უშუალო დახმარებით აკონტროლებდა კომპარტია ხალხის მასებს. „კანონიერ ქურდებთან“ ირჩეოდა საქმეები. „კანონიერი ქურდები“ ყოველთვის ფრონტის წინა ხაზზე იდგნენ, მაშინაც, როცა ვერტიკალზე გავლენებისთვის იბრძოდნენ. ეს საკმაოდ ძლიერი და მახინჯი სისტემა იყო. შევარდნაძესაც კი ჰყავდა „კანონიერ ქურდებში“ საკუთარი დასაყრდენი. მაგალითად, როცა მას ჯაბა იოსელიანი აუჯანყდა, შევარდნაძემ მოსკოვში მის ერთ-ერთ ამხანაგ კოლეგას მიმართა: თუ შენ მებრძვი, ეგებ დავზავდეთო. ჰო, მაშინ ამხანაგობი მიმართავდნენ ერთმანეთს და არა ბატონობით.

შემთხვევითი არ იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის აგენტებსა და „კანონიერ ქურდებს“. ამით მან საყრდენი გამოაცალა რუსეთს აქ სამოძრაოდ. ამიტომაც, თითქმის ყველა, უკლებლივ, რუსეთში გადაიხვეწა, ევროპაში გადასულებმა კი ისევ რუსულ მაფიას შეაფარეს თავი.

ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის აგენტები ციხიდან გამოუშვა, თუმცა კანონი, რომელიც „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტს კრძალავს, ჯერ არ გაუუქმებია.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველოში მოქმედი პრორუსული ძალებისთვის არც „ვოდკაა“ უცნობი, არც „კალაშნიკოვი“ და არც „კანონიერი ქურდების“ სამყარო.

ნინო ბურჯანაძის ოჯახის „კანონიერ ქურდებთან“ კავშირი ახალი თემა არ არის. მაგალითად, როგორც ადრე მედიაში იწერებოდა, ბურჯანაძის პოლიტიკურ კამპანიაში რამდენიმე წლის წინათ ფული ტარიელ ონიანმა ჩადო. ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ტარიელ ონიანი არ იყო საქმეში. კულისიებში სხვების სახელებმაც გაიჟღერა. მათ შორის ქართველი ოლიგარქებისამაც, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ. საუბარია ებრალიძეზე. საერთო ჯამში, როგორც საქმეში კარგად ჩახედული ექსპერტები ასაბუთებენ, რეალურად ეს არც რუსეთის, ანუ კრემლის, ოფიციალური ფულია და არც ქართველი ბიზნესმენების. „ობშიაკი“, რომელსაც აქ ნინო ბურჯანაძე ადრე ხარჯავდა და, სავარაუდოდ, ახლაც ხარჯავს, სწორედ „კანონიერი ქურდების“ დახმარებით ივსება.

„კანონიერი ქურდებისთვის“ საქართველო ჯერ ისევ დახურულია, ამიტომაც ისინი შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნებში აწყობენ. უკვე გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი „სხადნიაკი“ თურქეთში შედგა. კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ამ „სხადნიაკზე“ „კანონიერ ქურდად“ ვინმე გიგა ბურდული აკურთხეს.

ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, „კანონიერ ქურდებთან“ შეხვედრებს ძირითადად ბადრი ბიწაძე აწარმოებს. რა თქმა უნდა, ასეთი შეხვედრები საქართველოში ვერ განხორციელდება, ამიტომაც მას ბევრი მოგზაურობა უწევს. სწორედ ბადრის დახმარებით შედგა იტალიაში ანზორიკო ბიწაძისა და გიგა ბურდულის შეხვედრა. მოტივი მარტივია – არჩევნები. ნინო ბურჯანაძემ ხომ ზუსტად იცის, რომ აგებს, ამიტომაც მას ქურდების დახმარება სჭირდება. ალბათ, გასაკვირი არ არის, ბურჯანაძის ოჯახი, ფაქტობრივად, სწორედ საბჭოთა ნომენკლატურას წარმოადგენდა. შემთხვევით კი არ თქვა ნინომ თერჯოლაში: მამაჩემის მმართველობის დროს აქაურობა ყვაოდა. კომუნისტების მმართველობის დროს არაფერი არ ყვაოდა, ნომენკლატურის გარდა. ასე რომ, ბურჯანაძეების ოჯახი რომ ყვაოდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თერჯოლაც შვებით სუნთქავდა. აბა, რამდენმა თერჯოლელმა მიიღო ისეთი განათლება, როგორც ბურჯანაძემ? აბა, რომელმა თერჯოლელმა ჩაიცვა გუჩი და დოლჩე-გაბანა? გაიკეთა კარიერა, შეძლო ისეთ ფეშენებელურ სახლებში ცხოვრება და ასე შემდეგ...

ასე რომ, ბურჯანაძე ახლა, ალბათ, მიიჩნევს, რომ „კანონიერი ქურდები“ მისთვის მაშველი რგოლია და არამხოლოდ ფინანსურად... ნინომ ხომ უკვე დააანონსა არეულობა არჩევნების შემდეგ, ანუ წაგების შემთხვევაში. წაგება კი არა შემთხვევა, უკვე ფაქტია – რეიტინგებიც ამაზე მეტყველებს.

ასე რომ, იტალიაში ანზორიკო ერთ-ერთ „კანონიერ ქურდს“ შეხვდა. ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს „პრაიმტაიმს“. ნინო ბურჯანაძე მათ, დახმარების სანაცვლოდ, ფართომასშტაბიან ამნისტიას ჰპირდება და კიდევ, კანონში იმ მუხლის გაუქმებას, რომელიც საქართველოში „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტს კრძალავს...

ანზორიკო რომ პოლიტიკაში ერევა, ეს უკვე ახალი არ არის. 26 მაისის წინ გამოქვეყნებულ ნინოსა და ანზორიკოს სატელეფონო საუბრებში კარგად ჩანს, რამდენად ერევა ანზორიკო პოლიტიკაში, თანაც საკმაოდ აგრესიულად. სწორედ ის არწმუნებდა ნინოს, მოგებას შეიძლება სისხლისღვრა დასჭირდესო.

ნეტავ, ახლა რა აქვთ ჩაფიქრებული?

P.S. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებას. მას შეხვედრის სხვადასხვა ფორმატიც კი შევთავაზეთ იმისთვის, რომ ყველა შეკითხვაზე პასუხი მიგვეღო. თუმცა, უშედეგოდ. თუკი ქალბატონი ნინო გადაწყვეტს, ამ და სხვა საკითხებზე კომენტარის გაკეთებას, იმედია, ახლა მაინც ინებებს მისი პრესსამსახური ჩვენთან დაკავშირებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სავალუტო ბირჟის ბროკერი კომპანია MFX Group Georgia შემოდის

EXCLUSIVE

ნანა შონია

ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სავალუტო ბირჟის ბროკერი კომპანია MFX Group Georgia შემოდის. ორგანიზაციის დამფუძნებლებმა იგორ ვოლკოვმა, ფინანსისტმა ევგენი კოგანმა, კომპანიის აზერბაიჯანის ფილიალის ხელმძღვანელმა ევგენი ჟიდკოვმა და MFX Group Georgia-ს დირექტორმა მარგარიტა ჟიზნევსკაიამ საზოგადოებას ორგანიზაციის მიზნების შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს.

კომპანია ცნობილი საერთაშორისო სავალუტო ბირჟის, „Forex"-ის ბაზაზე მუშაობს, თუმცა გააჩნია მომხმარებლისთვის რამდენიმე განმასხვავებელი ბიზნეს მიმართულება. MFX Group-ს მსოფლიოში 30 ოფისი აქვს გახსნილი, მათ სავალუტო ბირჟის ქსელში კი 300 000 ადამიანამდეა ჩართული. კომპანიას საქართველოში დიდი გეგმები აქვს და ქართველ მომხმარებელს აქციების ყიდვა-გაყიდვის გარდა ბიზნესის განვითარებაში დახმარებას სთავაზობს.

„ჩვენი კომპანია ყველას აძლევს საშუალებას შეისწავლოს სავალუტო ბირჟის თეორია, ჩვენ გვინდა გავზარდოთ ქართველი პროფესიონალები. სწავლება უფასო იქნება და შემდგომ, მომდევნო საქმიანობისას, ყველა მოსწავლეს გავუწევთ კონსულტაციებს. ნებისმიერს შეეძლება Apple-ის Газпром-ის თუ სხვა მსხვილი კომპანიების აქციების ყიდვა გაყიდვა", - აცხადებს კომპანიის დირექტორი იგორ ვოლკოვი.

როგორც ბიზნესჯგუფის წარმომადგენელი, ევგენი კოგანი განმარტავს, საწარმოებისთვის ფინანსური დახმარება ბანკის სესხისგან განსხვავებული პრინციპით მოხდება.

„ჩვენთან შეიძლება მოვიდეს საწარმოებისა თუ კომპანიების წარმომადგენლები, მათ შეუძლიათ კონკრეტული თანხა მოითხოვონ, ან ბიზნესის გაფართოებისთვის, ან სხვა კონკრეტული მიზნებისთვის. ეს იქნება დაფინანსების ახალი სისტემა, რომელიც ბანკის სესხის სისტემისგან განსხვავებული იქნება, ჩვენ სისტემას ექნება ბევრად უფრო მომხიბვლელი პირობები, ვიდრე ბანკის შემოთავაზებებს, ჩვენ არ მოვითხოვთ ფართის თუ სხვა ქონების გირაოს გაფორმებას", - აცხადებს კოგანი.

ორგანიზაციის თბილისის ფილიალის დირექტორის მარგარიტა ჟიზნევსკაიას განცხადებით კომპანიამ თავისი ფილიალი ჭავჭავაძის გამზირზე, „პიქსელის" შენობაში გახსნა.

მარგარიტა ჟიზნევსკაია: „საქართველოში ორგანიზაცია MFX Group Holding გახსნა დაკავშირებული იყო კომპანიის შვიდი წლისთავთან. MFX Group-ი უკვე შვიდი წელია არსებობს გლობალურ მასშტაბებში. კომპანიას მთელს მსოფლიოში აქვს 30 ფილიალი და ჰყავს 300 ათასი კლიენტი და უამრავი ჯილდო, რომელიც დაიმსახურა ამ დროის მანძილზე. MFX Group-მა დაიმკვიდრა ადგილი, როგორც სტაბილურმა პარტნიორმა. ეს არის სავალუტო ბაზრები, რაც საქართველოსთვის საინტერესო თემაა, რადგანაც ის არ არის განვითარებული საქართველოში სათანადო დონეზე. ჩვენ ვაპირებთ ამ ბაზრის განვითარებას და პროგრამების შემოთავაზებას, როგორც ინდივიდუალურ ასევე კომპანიების დონეზე. გვაქვს მოლაპარაკებები უნივერსიტეტებთან რათა დავნერგოთ შესაბამისი სწავლა. გვინდა, რომ „ტრეიდერი" ვაქციოთ პროფესიად, როგორც ეს არის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ევროპასა თუ ამერიკაში. ჩვენთან სავალუტო ბაზრის განითარების პრობლემა არის ის, რომ მას ეპყრობოდნენ როგორც შემოსავლის წყაროს. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ თვითონ არა მხოლოდ შეხვიდეთ სავალუტო ბაზარზე, არამედ თავად შექმნათ მომხმარებლების საინვესტიციო პორტფოლიო. კორპორატიული სექტორის განვითარება შექმნის დამატებით მოთხოვნას ტრეიდერებზე. შესაბამისად, თუ სწორი მიდგომა იქნება სწავლის პროცესში, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ტრეიდერობა პროფესიად გადაქციოს. ჩვენ გვაქვს ინოვაციური პროგრამა საქართველოს ბაზრისთვის, ვითვალისწინებთ როგორც ქართულ მენტალიტეტს ასევე ინტერესის მომენტს. ამიტომაც საქართველოსთვის ინდივიდუალური პროგრამა იქნება შემუშავებული. ვებგვერდი იქნება ქართულ ენაზე, სავალუტო ბაზრის ისტორიაში პირველად კი ადამიანს შეეძლება ლარში შეიტანოს თანხა, რაც ადრე არ იყო. კომპანია მაქსიმალურად ინტეგრირებულია საქართველოს ბაზარზე. ეს არის, პირველ რიგში, მიმართული კორპორატიულ სექტორზე და VIP კლიენტებზე. ამიტომაც კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ინდივიდუალურ წინადადებებს, კაპიტალის გაზრდას და ა.შ.

- როგორ შეძლებენ ჩვეულებრივი მოქალაქეები ამ პროცესებში ჩართვას?

- მედიასთან შეხვედრის დროს ბატონმა ვოლკოვმა ერთ-ერთი ჟურნალისტი პირადად ჩართო პროცესში და ვიზუალურად აჩვენა როგორ შეიძლება 10 დოლარიდან

მარგარიტა ჟიზნევსკაია

დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მიიღო 140% მოგება. საწყისი კაპიტალი აქ არ არის განსაზღვრული, ამიტომაც პირს შეუძლია საქმიანობა დაიწყოს ერთი დოლარიდან. ამისთვის აუცილებელია შემოვიდეს ჩვენს ვებგვერდზე www. MFX.GE-ზე და გაიაროს რეგისტრაცია. ცვალებად ბაზრებზე საინტერესოა ორი მომენტი, პირველი ეს არის ახალი მიღწევების ათვისება და მეორე პერსპექტივები, რაც სავალუტო ბაზარმა სწორი მიდგომით შეიძლება განახორციელოს. ეს არის კიდევ ერთი საშუალება ხალისთვის, რომ იპოვოს თავი და განვითარდეს. ამიტომაც ჭავჭავაძის 34-ში მე-6 საართულზე ყველა დაინტერესებულ პირს ველოდებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეზო ესაძე: „არავინ არ ვართ უშეცდომო“

„მე ვერც კარგს ვიტყვი მარგველაშვილზე და ვერც ცუდს, ეს ხომ თამაში არ არის, ქვეყნის ხელმძღვანელობაზეა საუბარი. არ შეიძლება, ადამიანს თავზე მოვახვიო თუნდაც კარგი, რომელიც არ ეყრდნობა არაფერს, არ ეყრდნობა ქმედებას, ქმედების შედეგს“

„სხვანაირი პრორუსულობა მე ქალბატონ ნინოში არც დამინახავს და არც წარმომიდგენია. მასე თუ მივუდგებით საქმეს, მაშინ მეც და ჩვენ ყველანი რუსეთუმეები გამოვდივართ“

EXCLUSIVE

my View
თამარ გორთამაშვილი

ცნობილი ქართველი რეჟისორი და „სახალხო კრების“ წევრი რეზო ესაძე არ გამორიცხავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე წინასაარჩევნოდ ჩატარებული კვლევების საპირისპირო შედეგი დაიდოს. რეზო ესაძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში ნინო ბურჯანაძის შეცდომებზეც საუბრობს და ამბობს, რომ უშეცდომო არავინ არის. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს, ესაძე მისთვის უცნობი პიროვნების შეფასებას ერიდება.

რეზო ესაძე: ნინო ბურჯანაძე, ჩემი თვალსაზრისით, შესანიშნავი მოღვაწეა. ის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკოსია და არამარტო საქართველოში. შინაგანად მობილიზებული ადამიანია, ურყევი ნებითა და მიმართულებით. ჭირსა თუ ლხინში ერთნაირად გამოცდილი, ის შეცდომები კი, რაც ჩვენ ყველამ ვიცით, მარტო იმ მიზეზებზე არ არის დამოკიდებული, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე, ხშირად ეს დამოკიდებულია ჩვენს ქართულ ხასიათსა და მენტალიტეტზე. არავინ არ ვართ უშეცდომო. შეცდომა შეიძლება იყოს, როდესაც დღეს რაღაც გგონია სწორი და შემდეგ აღმოჩნდება პირიქით. ნაციონალებთან მიმართებაში ბევრი შეცდა, არა ერთი და ორი. ნაციონალები დასაწყისში სხვანი იყვნენ და შემდეგ სხვანი გახდნენ.

– რაც შეეხება 26 მაისს, ბურჯანაძეს ხშირად უხსენებენ ამ თემას...

– რაშია ნინო ბურჯანაძე დამნაშავე. ჩვენ გვინდოდა, სხვებთან ერთად, შევხვედროდით 26 მაისს, როგორც საერთო დღესასწაულს. არ გვინდოდა, ეს ვიღაცის დღესასწაული ყოფილიყო, გვინდოდა, სახალხო დღესასწაული ყოფილიყო. რა არის ამაში დანაშაული?!

– ცნობილი იყო, რომ 26 მაისს, იმ ადგილას, სადაც მიტინგი იყო, აღლუმი უნდა გამართულიყო და მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, რომ შესაძლო იყო მიტინგი დაერბიათ, ლიდერებმა ხალხი მაინც არ დაშალეს...

– ტყუილია ეს. ჭორებია ეს ყველაფერი. ჩემს ზურგს უკან თუ ხდებოდა რამე, არ ვიცი.

– აღლუმი რომ უნდა ჩატარებულიყო, ეს ხომ ყველამ იცოდა?

– რა თქმა უნდა, ვიცოდით, მაგრამ აღლუმის გადატანაც ხომ შეიძლებოდა? გარდა ამისა, აღლუმი თუ სადღესასწაულო ხასიათს ატარებს, რატომ არ შეიძლებოდა ეს სადღესასწაულო იერი და ტონუსი სხვებსაც გაენაწილებინათ? არავითარი სხვა აზრი იქ არ ყოფილა. იქ იყო მხოლოდ დგომა და პატივისცემა იმისა, რაც ქვეყნის დღესასწაულს ეკადრება.

– საბოლოოდ მიტინგი დაარბიეს. იყო მსხვერპლი, მათ შორის ბურჯანაძის ესკორტის მიერ მოკლული პოლიციის თანამშრომელი...

– ჯერ ერთი, რომ ტყუილია ეგ ყველაფერი, მოგონილი ჭორებია... მეორეც, მე ავადმყოფი კაცი ვარ და წამლების მიღების დრო მქონდა, ამიტომაც იმ დროს იქ არ ვიყავი.

– ბურჯანაძეს ხშირად პრორუს პოლიტიკოსს უწოდებენ, თქვენი შეფასება როგორია, კარგია ეს თუ ცუდი?

– არ არსებობს ისეთი საგანი, რომელსაც არ გააჩნდეს ორივე მხარე, კარგიც და ცუდიც. გააჩნია, ჩვენ თვითონ როგორ ვართ შინაგანად განწყობილი ერთისა თუ მეორისადმი. მე ვერც პრორუსული დავინახე მასში და ვერც ანტირუსული. მე დავინახე მასში ადამიანი, რომელიც იმისდა მიხედვით საზღვრავს იმ საგანს, რომელთანაც ურთიერთობა აქვს, რამდენად წაადგება ის თავის ქვეყანას, ხალხსა და მომავალს. სხვანაირი პრორუსულობა მე ქალბატონ ნინოში არც დამინახავს და არც წარმომიდგენია. მასე თუ მივუდგებით საქმეს, მაშინ მეც და ჩვენ ყველანი რუსეთუმეები გამოვდივართ. ამხელა ქვეყანა გყავს გვერდით, ერთად გავლილი უბედობით, ზოგი მისი ბრალი იყო, ზოგიც – სხვისი. ამხელა შესაძლებლობებით, ამხელა კონტაქტებით, რაც მას გააჩნია, ამ ყველაფერს გვერდი უნდა ავუაროთ და არ გამოვიყენოთ ქვეყნის სასარგებლოდ? რა არის ამ განზრახვაში ცუდი?! დანარჩენი, თუ ვიღაც რუსეთუმესთან სადილს შეექცეოდა, ამის ცნობები მე არ გამაჩნია.

– რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს, როგორ აფასებთ მას?

– ეს იგივეა, რომ მკითხოთ ჩემთვის უცნობ ნებისმიერ ადამიანზე, რომელიც სადღაც მოღვაწეობს და რაღაცას აკეთებს. მე ბატონ მარგველაშვილს არ ვიცნობ, მასთან ურთიერთობა არ მქონია.

– ფაქტია, რომ თქვენთვის უცნობ კანდიტარს თქვენს ლიდერზე გაცილებით მეტი ადამიანი უჭერს მხარს, როგორც ეს ბოლო კვლევებმა აჩვენა...

– მერე რა მოხდა, ეს ხომ არჩევნებია, დღეს ასეა და ხვალ შეიძლება სხვანაირად იყოს.

– ანუ ფიქრობთ, რომ არჩევნებზე სხვა შედეგი იქნება?

– მე ვფიქრობ, როგორც ყოველი ცოცხალი ადამიანი, არაფერი მდგრადი ჩვენს ირგვლივ არ არის, ყველაფერი იცვლება, პოლიტიკაში კი – მით უმეტეს. აქ გაცილებით მეტი კუთხითაა საჭირო ადამიანის შეფასება, ვიდრე ამას ჩვენ ვაკეთებთ. და ამ კუთხეების რაოდენობა დამოკიდებულია მასთან ურთიერთობის საშუალებით. ადამიანს უნდა იცნობდე, რომ მასზე ილაპარაკო. კარგის თქმაც, თუ ის კარგი ჭეშმარიტებას არ ეყრდნობა, ცუდია პოლიტიკის დროს. მე ვერც კარგს ვიტყვი მარგველაშვილზე და ვერც ცუდს, ეს ხომ თამაში არ არის, ქვეყნის ხელმძღვანელობაზეა საუბარი. არ შეიძლება, ადამიანს თავზე მოვახვიო თუნდაც კარგი, რომელიც არ ეყრდნობა არაფერს, არ ეყრდნობა ქმედებას, ქმედების შედეგს და ა.შ. მე მას არ ვიცნობ, შესახედავად, რასაც ვხედავ, შესანიშნავი პიროვნებაა, ვაჟკაცი ქართველი კაცი, ადამიანი, რომელიც პირველივე კონტაქტის დროს განგაწყობს მისდამი დადებითად. მაგრამ ეს ხომ არ არის ჩვენი მიზანი, ჩვენი მიზანი სხვა შეფასებები და დაკვირვებებიდან გამომდინარე გაკეთებული დასკვნებია, რომელიც მე არ გამაჩნია.

„არაფერი მდგრადი ჩვენს ირგვლივ არ არის, ყველაფერი იცვლება, პოლიტიკაში კი – მით უმეტეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ახალი ხელისუფლების პირობებში ჩვენ რამდენიმე დავა მოვიგეთ უკვე. სამსახურიდან უსამართლოდ განთავისუფლებულმა რამდენიმე მოქალაქემ მოგვმართა, ამ ადამიანებიდან რამდენიმე აღვადგინეთ, მათ შორის ქუთაისის ორი ვიცე-მერი“

„პირველ ეტაპზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაც თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

არჩევნების შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და კონკრეტული ჩინოვნიკების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემა, ერთი შეხედვით, თითქოს პრობლემას არ წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორიც პოზიტიურ ტენდენციაზე მიანიშნებს, თუმცა რიგითი მოქალაქეებისთვის, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ბევრი არაფერი შეცვლილა. ახალი ხელისუფლების პირობებში პირველი პოლიტიკოსი გუბაზ სანიკიძე იყო, ვისაც კაბინეტის კარი აუჭედეს. ქუთაისის მოსახლეობამ ის საკუთარი მოვალეობის არშესრულებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სანიკიძე დეპუტატის სავარძელში მოკალათების შემდეგ ერთხელაც კი არ უნახავთ თვალით. სანიკიძის შემდეგ რიგით მეორე ზვიად ძიძიგური გახდა. რუსთავიდან მოქალაქეები პრემიერის სასახლესთან შეიკრიბნენ და მაჟორიტარი პირდაპირ ივანიშვილთან „ჩაუშვეს“ უყურადღებობაში. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ ამ ეტაპზე საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ, თუმცა მოსალოდნელ საფრთხეებზე უკვე საუბრობენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელის განცხადებით, ახალი ხელისუფლების პირობებში უკვე გაჩნდა უწყება, რომელიც ინფორმაციის მოწოდების პრობლემას ქმნის.

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი:

– ზოგადად, არჩევნების შემდეგ გახსნილობით გამოირჩევიან აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობები. ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ მათგან. როდესაც ჩვენი ორგანიზაცია წერდა ერთ ლარად გადაცემულ ქონებაზე, აბსოლუტურად მთლიანი ინფორმაცია მოგვაწოდეს. ასევე, როდესაც რამდენიმე კვირის წინ გამოვაქვეყნეთ საჯარო სამსახურებიდან განთავისუფლებულების შესახებ ინფორმაციები, აქაც უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციებს დავეყრდენით. გარდა ამისა, ჩვენ ხშირად ვხვდებით მინისტრებს ან მათ მოადგილეებს, ვცვლით ხოლმე ინფორმაციებს და ვაწვდით ჩვენს მოსაზრებებს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პრობლემები არ არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი სამინისტროდან ხუთი თვის განმავლობაში ვცდილობდით განთავისუფლებული თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

– რა მიზეზს ასახელებდა ეს კონკრეტული სამინისტრო ინფორმაციის დაგვიანების ასახსნელად?

– ამბობდნენ, რომ ინფორმაცია გროვდებოდა, მორიგ შეხსენებაზე, გვითხრეს, რომ უკვე მზად არის და მალე მოგვაწვდიდნენ, თუმცა ფაქტია, რომ ძალიან გაჭიანურეს პროცესი. ვერ მივხვდი, ეს იყო გამიზნული ნაბიჯი თუ ბიუროკრატიული აპარატი იყო ამის მიზეზი. მაგალითად, წინა ხელისუფლების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროში წერილის გაგზავნასაც კი არ ჰქონდა აზრი. როგორც წესი, პასუხს არასდროს ვიღებდით. ორივე უწყება ძალიან დახურული იყო და, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება. ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააგრძელა ეს ტრადიცია და არ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომელსაც ვითხოვდით. სწორედ ამიტომ ჩვენ დავა გვაქვს ადმინისტრაციასთან და ჯერჯერობით ვიგებთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წინა ხელისუფლების დროს დავებს ყოველთვის ვაგებდით. ცალსახად მინდა ვთქვა, რომ მდგომარეობა ბევრადაა გაუმჯობესებული. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ წინა ხელისუფლების ყველა უწყება დახურული იყო ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით. თავის დროზე მათ გააკეთეს ყველაფერი, რომ ელექტრონული მმართველობის სისტემები შემოეღოთ. მაგალითად, შესყიდვების ელექტრონული სისტემა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი სიახლე გახლდათ, რომელიც ნაციონალების მმართველობის დროს განხორციელდა. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მართლაც ბევრი საჭირო ინფორმაციის მიღება იყო შესაძლებელი. იგივე შემიძლია ვთქვა მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების შევსებასთან დაკავშირებით. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო, რომელიც მუშაობაში ძალიან გვეხმარებოდა.

– თანამშრომლობის თვალსაზრისით, წინა ხელისუფლების დროს ვინ იყო ყველაზე აქტიური, რომელიც თქვენს რეკომენდაციებსაც ითვალისწინებდა?

– მიჭირს პასუხის გაცემა, პრინციპში, პრობლემა ყველასთან იყო. საკმაოდ რთული გახლდათ და არ გვაწვდიდნენ არც ინფორმაციებს, არც შეტყობინებებს შეხვედრებთან დაკავშირებით, ისევ ჩვენ ვაქტიურობდით. ამ მხრივ, მაგალითად, მერიასთანაც გვქონდა დავა თავის დროზე. გვაინტერესებდა, რა თანხა დაიხარჯა ახალი მერიის მშენებლობაზე. ეს დავაც წავაგეთ მაშინ. მართალია, მერიამ ეს ინფორმაცია დაგვიმალა, თუმცა მათთან ერთად განვახორციელეთ ისეთი წარმატებული პროექტი როგორიც არის „შეაკეთე შენი ქუჩა“. ამ პროექტზე მერია მაშინვე წამოვიდა და თანამშრომლობაც შედგა. საკმაოდ წარმატებულ პროექტად იქცა. რაც შეეხება დავებს, მინდა ვთქვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ჩვენ რამდენიმე დავა მოვიგეთ უკვე. სამსახურიდან უსამართლოდ განთავისუფლებულმა რამდენიმე მოქალაქემ მოგვმართა, ამ ადამიანებიდან რამდენიმე აღვადგინეთ, მათ შორის ქუთაისის ორი ვიცე-მერი. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, შემიძლია ვთქვა, რომ, თანამშრომლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა პარლამენტი. ჩვენ გვაქვს საშუალება, აქტიურად ჩავერთოთ მათ საქმიანობაში.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ახალი ხელისუფლება ჯერჯერობით ღიაა. ელოდებით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ინფორმაციის მიღება მათგანაც გაჭირდება? და როგორი იყო ნაციონალების ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?

– „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში ძალიან ბევრი ადამიანი გადავიდა არასამთავრობოებიდან. შესაბამისად, მაშინ სამოქალაქო სექტორი ძალიან დასუსტდა, მეორე მხრივ, ხელისუფლებაში მომუშავე ადამიანები არასამთავრობოების ყოფილი წევრები იყვნენ და ბუნებრივია, ძველ კოლეგებთან თანამშრომლობა პრობლემაც არ იყო. ანუ პირველ ეტაპზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაც თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან. ყველაზე დიდი პრობლემა ჩაკეტილობასთან დაკავშირებით, როგორც წესი, სამართალდამცავ ორგანოებს, ანუ ძალოვნებს აქვთ ხოლმე. მართალია, ჩვენ ჯერჯერობით არ გვქონია მსგავსი ფაქტი, მაგრამ უკვე მესმის ინფორმაცია, რომ არასამთავრობოები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ სტატისტიკას ითხოვენ და ვერ იღებენ.

– შეგიძლიათ, ახსნათ ამის მიზეზი?

– ზოგადად, ძალოვან უწყებებს, იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, თავდაცვას, ბევრად სენსიტიურ თემებზე უწევთ მუშაობა. მათი საქმიანობა სამართლისა და წესრიგის დაცვასთან, უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. ბუნებრივია, ისინი ნაწილობრივ დახურულებიც უნდა იყვნენ, თუმცა ვფიქრობ, მათ ყველაზე მეტად იმაზე უნდა იზრუნონ, რომ ზღვარი დაიცვან და საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაცია გახსნან. როგორც წესი, როცა ბალანსი არ არის დაცული, არ არის ინტენსიური ზედამხედველობა იგივე პარლამენტის მხრიდან, არ ხდება სამოქალაქო სექტორის, ჟურნალისტების აქტიურობა, ეს ჩაკეტილობაც თავისთავად მოდის.

– დიდი სხვაობაა წინა ხელისუფლებასთან შედარებით?

– წინა ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის იყო, რომ არ ჰქონდათ დაბალანსებული სისტემა. პარლამენტშიც, სასამართლოშიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ერთი გუნდის წევრები იყვნენ. ისინი ერთმანეთს არ აბალანსებდნენ და არ ამოწმებდნენ. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არჩევნებიდან ჯერ მცირე პერიოდია გასული და ამ ეტაპზე ახალი ხელისუფლება გახსნილობით გამოირჩევა. თუმცა უკვე ვხედავთ, რომ მათთვისაც კი მიუღებელია ხოლმე ზოგიერთი კრიტიკა.

– რა ტიპის კრიტიკაა მიუღებელი?

– იყო შემთხვევები, იგივე ენერგეტიკის, შინაგან საქმეთა მინისტრების მხრიდან, როცა მათ ჩვენს კრიტიკაზე კითხვითვე გვიპასუხეს, – სად იყვნენ აქამდე არასამთავრობოები და რატომ არ აქტიურობდნენო. თუმცა ეს ჩვენს ორგანიზაციას ნამდვილად არ ეხება, რადგან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ყოველთვის აქტიური იყო.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ წინა ხელისუფლების მთავარი პრობლემა ხელისუფლების სხვადასხვა უწყებაში ერთი გუნდის წევრების ყოფნა იყო. ახალი ხელისუფლების შემთხვევაში ის მრავალპარტიულია, თუმცა ბოლო მაგალითის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, თავდაცვის მინისტრი, რომელიც ძალოვან უწყებას წარმოადგენს, არ ფლობდა ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა „ჯიჰადის საქმის“ გამოძიება...

– ეს სუფთა კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის პრობლემა იყო. ამ პრობლემის მოგვარება მარტივად შეიძლება – მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წევრები მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციას ფლობდნენ. კოორდინაციის პრობლემა რომ არის, ეს ყველაზე კარგად მაშინ ჩანს, როდესაც საუბარია ეკონომიკურ ინიციატივებზე. აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც და პარლამენტშიც, ფაქტობრივად, ჩანს, რომ ეკონომიკურ ინიციატივებთან დაკავშირებით არანაირი კოორდინაცია არ არსებობს. ბუნებრივია, სჯობია, ხელისუფლების სხვადასხვა თანამდებობებზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელობა იყოს. დაბალანსების სისტემის არსებობა, ამ მხრივ, ყოველთვის მომგებიანია.

– რამდენად არის საშიშროება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, თუ გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს, იგივე პრობლემა დადგეს?

– გეთანხმებით, რომ საფრთხე ნამდვილად არის. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტის გაძლიერება. ასევე, კარგია ისიც, რომ ხელისუფლებაში არის კოალიცია და სხვადასხვა ძალაა წარმოდგენილი. დღეს ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ, მაგალითად, პარლამენტის წევრი აკრიტიკებს რომელიმე მინისტრს. ეს უკვე კარგი ნიშანია.

– მაშინ, როდესაც ხშირ შემთხვევაში არასამთავრობოებსაც კი აქვთ ინფორმაციის მიღების პრობლემა, რამდენად მიუწვდომელი იქნება ხელისუფლება ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის, ანუ რამდენად ჩაკეტილი ხდება ასეთ დროს ის საზოგადოებისთვის?

– როდესაც უწყებების გახსნილობას ვამოწმებდით, წერილებს ვაგზავნიდით როგორც ჩვენი, ანუ არასამთავრობოების სახელით, ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეების სახელით.

– ანუ კონკრეტულ უწყებებს გამოცდას უტარებდით?

– კი, ასე იყო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდი გახლდათ. ჯერჯერობით ეს მეთოდი ახალი ხელისუფლების პირობებში არ გამოგვიყენებია, თუმცა მსგავს ტესტს, სავარაუდოდ, ჩავატარებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Discovery-ს ცნობილი წამყვანი საქართველოში

რა გეგმებით ჩამოვიდა ფრედ ფინი თბილისში და რატომ ეუბნება ტურიზმის დეპარტამენტი უარს თანამშრომლობაზე?

„საკუთარ ბლოგზე დავდე ყაზბეგის ხედების სურათი და დავსვი კითხვა, როგორ ფიქრობთ, სად ვიმყოფები? პასუხები იყო ყველანაირი, მითხრეს, რომ ვიმყოფებოდი ავსტრიაში, ალპებში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში... მე პასუხად დავწერე, რომ ეს იყო საქართველო“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

ფრედ ფინი მსოფლიო მოგზაურია. ის ერთადერთია მთელ დედამიწაზე, რომელიც გინესის რეკორდებში სწორედ ყველაზე ხშირი მოგზაურობის გამოა შეტანილი. ფრედ ფინის ანგარიშზე მალე 24 მილიონი მილი „გარბენი“ იქნება, ოღონდ საჰაერო ხომალდით. ყველაფერი სამართალმცოდნეობით დაიწყო... ფინს ხშირად უწევდა ერთი კონტინენტიდან მეორეზე სწორედ იურიდიული საქმიანობის გამო გადაფრენა. საბოლოოდ ის სწორედ მოგზაურად ჩამოყალიბდა და დღეს კი მას საუკეთესო მოგზაურსა და მგზავრს უწოდებენ. ფრედ ფინისთვის არ არსებობს უცხო ტერიტორია. ის დედამიწის ყველა მხარეს ნამყოფია და ზოგან არაერთხელ. რიცხვები მარტივად რომ ავხსნათ, ასე გამოიყურება: დედამიწიდან მთვარემდე და უკან, მთვარიდან დედამიწაზე ოცდაათჯერ რომ იმოგზაურო 11 მილიონი მილის გავლა მოგიწევს. ფრედ ფინს კი მალე 24 მილიონი მილის იუბილე აქვს და სურს საპატიო ფრენა სწორედ ლონდონი-თბილისის მიმართულებით განახორციელოს. იდეა ფინმა პირადად შესთავაზა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თუმცა გიორგი სიგუამ იდეა მოიწონა და ყველაფერი ამით დასრულდა.

ფრედ ფინი ბლოგერია, მის ბლოგებს საკუთარი მოგზაურობის შესახებ დაახლოებით მილიონი ადამიანი კითხულობს. გარდა ამისა, სხვადასხვა უცხოურ გამოცემებში ათავსებს პუბლიკაციებს და მიჰყავს საკუთარი გადაცემა „დისქავერზე“. ტურისტი-ელჩი საქართველოთი დაინტერესდა და თვლის, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს უცხოელი ტურისტების ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გახდეს....

ფრედ ფინი, მსოფლიო მოგზაური:

- წინა ჩამოსვლაზე მე მხოლოდ გემო შევიგრძენი საქართველოსი, ახლა ყველაფრის პირადად ნახვას ვაპირებ. როდესაც თბილისობაზე მომიწვიეს, სიამოვნებით დავთანხმდი, აღფრთოვანებული ვარ, განსაკუთრებით ქართული ღვინით და ქართული კონიაკით, ანუ ჭაჭით. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომეცა აქ ჩამოსვლის შანსი და უკვე ერთხელ აღვნიშნე და კიდევ ვიტყვი, უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და საქართველო ბოლო ტკბილ ლუკმად შემოვიტოვე, ოღონდ ეს თავისთავად მოხდა.

- რა ინფორმაციას ფლობდით საქართველოზე სანამ პირადად ჩამოხვიდოდით?

- მე ზოგადად ბევრს ვმოგზაურობ და ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, როდესაც მიუნხენში ვიმყოფებოდი იქ გავიცანი საქართველოს აეროპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც მკითხა ვიყავი თუ არა ნამყოფი საქართველოში, როდესაც ჩემი პასუხი გაიგო, მირჩია, აუცილებლად მომენახულებინა ეს ქვეყანა. მართლაც დავუჯერე მის რჩევას და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც მივიღე.

- როგორც ვიცით, თქვენ იმ ქვეყნების პოპულარიზაციას ეწევით, რომელშიც მოგზაურობთ ხოლმე, რას ყვებით საქართველოზე უცხოელებთან და თუ არის ინტერესი?

- ერთ-ერთ მაგალითს მოვიყვან, როდესაც ყაზბეგს ვესტუმრე და იქაურობა დავათვალიერე, საკუთარ ბლოგზე დავდე ყაზბეგის ხედების სურათი და დავსვი კითხვა, როგორ ფიქრობთ, სად ვიმყოფები? პასუხები იყო ყველანაირი, მითხრეს, რომ ვიმყოფებოდი ავსტრიაში, ალპებში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში... მე პასუხად დავწერე, რომ ეს იყო საქართველო. ამის შემდეგ „International property“-ში, რომელიც 54 ქვეყანაში გამოიცემა, განვათავსე სწორედ ყაზბეგის სასტუმროს სურათი და აღწერა, თუ სად მდებარეობდა ეს ადგილი. როგორც წესი, ამ გაზეთს მილიონიბით უცხოელი ნახულობს და სერიოზულად განიხილავენ, როდესაც უცხო ქვეყნებში მოგზაურობა სურთ. გარდა ამისა, მე მაქვს საკუთარი ბლოგი, სადაც საკუთარ მოგზაურობის შესახებ სრულ ინფორმაციას ვათავსებ. ბუნებრივია, იქ საქართველოს შესახებაც დიდი ინფორმაცია მოიპოვება. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამირჩიეს საქართველოს საპატიო წარმომადგენლად.

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მსგავსი ქვეყნების პოპულარიზაცია, როგორიც საქართველოა?

- ისევ მაგალითით გიპასუხებთ. არსებობდა კუნძული არუბა, რომელიც ნაკლებად ცნობილი იყო. მე ვიმოგზაურე ამ კუნძულზე და მის შესახებ ინფორმაცია განვათავსე საკუთარ ბლოგზე, ყველას ვუყვებოდი თუ როგორი კარგი იყო, იმ პერიოდში ტურისტების რაოდენობა 4 ათასით გაიზარდა. შემიძლია კიდევ ერთი ისტორია გავიხსენო. 2012 წლის უკრაინის ოლიმპიადაში წარმომადგენელი ვიყავი, ძალიან ბევრი პუბლიკაცია დაიბეჭდა ოლიმპიადის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის გულშემატკივარი ნამდვილად არ ვარ. მე მჯეროდა, რომ უკრაინას ამ ნაბიჯით კარგ საქმეს ვუკეთებდი და შემიძლია ვთქვა, რომ მილიონ 200 ათასი დოლარის ოდენობის დამატებითი შემოსავალი მოვუტანე ოლიმპიადის ხელმძღვანელობას. ამით იმის თქმა მინდა, რომ მე თქვენი ქვეყნისთვის ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შემიძლია. მე არ ვარ საქართველოში ჩამოსული იმისთვის, რომ მხოლოდ ქართული ღვინო დავლიო და მისი ლამაზი მხარეები ვათვალიერო. მე ამ ყველაფერს მინდა პოპულარიზაცია გავუწიო უცხოეთში. თქვენ გაქვთ ყველანაირი შესაძლებლობა, რომ ძალიან ბევრი უცხოელი ტურისტის ყურადღება მიიპყროთ. აქ მე ვნახე უარმავი ლამაზი ტბა, მდინარე, ქალაქი, ბუნება.

- თუ გქონდათ შეხვედრა ან თუ დაინტერესდა თქვენით საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი?

- როდესაც საქართველოში პირველად ჩამოვედი, მაშინ შევხვდი ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გიორგი სიგუას. მე მას ვუთხარი ჩემი იდეის შესახებ. მალე მე უნდა აღვნიშნო 24 მილიონი მილის ფრენის თარიღი. მე მაქვს იდეა, რომ ლონდონიდან განვახორციელო სპეციალური რეისი საქართველოს მიმართულებით. ბუნებრივია, ინტერესი დიდი იქნება იგივე SKY NEWS, BBC, SNN და სხვა ბევრი ცნობილი მაუწყებლობის მხრიდან და სწორედ მათ ჟურნალისტებთან ერთად მინდა ჩამოვიდე საქართველოში. ბუნებრივია, ეს ჟურნალისტები გააშუქებენ ამ ვიზიტს და საქართველოზეც მოუყვებიან თავის ქვეყანას. იდეა გიორგი სიგუას ძალიან მოეწონა, ასეც მითხრა, მაგარიაო, თუმცა მისი დაინტერესება ამ სიტყვებს იქით აღარ წასულა. ამჯერად უკვე საქართველოში ვიმყოფები მერამდენე დღეა და ტურიზმის დეპარტამენტიდან არავინ შემხმიანებია.

ფრედ ფინი საქართველოში უკვე მეორედ იმყოფება. ამჯერად ის თბილისის მერიამ დედაქალის დღესასწაულის აღსანიშნავად მოიწვია.

გია ხუროშვილი, საბურთალოს გამგებელი:

- როდესაც ფრედისნაირ ადამიანებთან მაქვს ხოლმე ურთიერთობა, მავიწყდება ოპოზიციაში ვარ თუ პოზიციაში, ამ დროს მხოლოდ ქვეყნის იმიჯზე ვფიქრობ. ამიტომ შეგნებულად არ შევეხები ტურიზმის დეპარტამენტის დამოკიდებულებას, მხოლოდ ერთს ვიტყვი, მინდა მათი მხრიდან იგივე ინტერესი დავინახო ისეთი ადამიანების მიმართ, როგორიც ფრედ ფინია. ეს არის ადამიანი, რომელიც შეიძლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყოს საქართველოს ტურისტული ელჩი. მსგავს ფორმატებს ქვეყნები ეძებენ და მილიონობით დოლარს ხარჯავენ. ჩვენ ძალიან ბევრი რამე უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის.

შესწორება

გაზეთის 237-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებულები პრეზიდენტმა ყალბი ბრძანებულებით შეიწყალა?!“, ჩვენი რესპონდენტის, გია ალავიძის ციტატაში გაიპარა შინაარსობრივი შეცდომა: „როდესაც ესენი (იგულისხმება გირგვლიანის საქმეზე გასამართლებულები) 2008 წლის ნოემბრის ბოლოს ძლივს შემოაბრუნეს ზონაში, მერე გამზადდა პრეზიდენტის შეწყალების შესახებ ბრძანებულება. რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული“. 2008 წლის ნოემბრის ნაცვლად უნდა იყოს 2008 წლის 26 აგვისტო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ევრაზიული კავშირი – პრო

ზურაბ ჯორბენაძე:

„საქართველო, როგორც მთელი ეკონომიკური სივრცე, ერთად იქნება გაერთიანებული ევრაზიულ კავშირში, ცხინვალთან და სოხუმთან ერთად“

EXCLUSIVE

ნინო დათაშვილი

პოლიტიკაში ყოველთვის არსებობდა მიმდინარეობა უტოპისტები, გამონაკლისი არც დღევანდელობაა. სხვა არაფერი ჰქვია მათ, ვინც ფიქრობს, რომ ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაერთიანება ჩვენს ქვეყანას იმ პრობლემებს მოუხსნის, როგორიცაა ეკონომიკური კრიზისი და ტერიტორიული მთლიანობა. თავის დროზე „ესენგეში“ საქართველოს გაერთიანებაც ამ მოტივით მოხდა, თუმცა პრობლემა მოუგვარებელი დარჩა. ნაკლებად სავარაუდოა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ გაერთიანებაში ჩვენს ქვეყანას ტერიტორიული და ეკონომიკური პრობლემა მოუგვარდეს.

არასამთავრობოთა კოალიცია „ევრაზიული არჩევანი“ საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. კოალიციის თანათავმჯდომარე ზურაბ ჯორბენაძე დარწმუნებულია, რომ ტერიტრიული მთლიანობის აღდგენის და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზა, სწორედ ევრაზიული კავშირია. იმაშიც დარწმუნებულია, რომ საზოგადოების უმრავლესობა არა ნატოს, არამედ „ევრაზიულ კავშირს“ აირჩევს. თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, პროდასავლური ორიენტაციის მარგველაშვილი და ბაქრაძე, პრორუსულ ბურჯანაძეს საკმაოდ დიდი შედეგებით უგებენ. ესეც საკმარისია, გაიგო ხალხის განწყობები და მოთხოვნები, თუნდაც საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ზურაბ ჯორბენაძე, არასამთავრობოთა კოალიციის „ევრაზიული არჩევანის“ თანათავმჯდომარე:

- „ევრაზიული კავშირის“ იდეა მომდინარებს ძალიან ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებიდან. საბჭოთა კავშირის დროს მთელი ეკონომიკა მთლიანად აწყობილი და მიბმული იყო რუსულ რესურსებზე. ნებისმიერი წარმოება, რომელიც საქართველოში იყო, ნედლეულს რუსული სივრციდან იღებდა. ევრაზიული კავშირი არის ამ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება. ეს ჯერჯერობით არ არის პოლიტიკური გაერთიანება და მიიღებს თუ არა პოლიტიკური გაერთიანების სახეს, არავინ იცის. დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები და ლიბერტალიანელები, ვინც ყველანაირი უზნეობის მომხრეები არიან, ეწინააღმდეგებიან ევრაზიულ კავშირს, რადგან „ევრაზიული კავშირი“ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც მოგვცემს იმას, რომ მოსახლეობას ოჯახის შენახვის და დასაქმების საშუალება მიეცემა. ამ შემთხვევაში ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ქვეყანაში დამკვიდრებულ უცხო ქვეყნის აგენტურას არ აწყობთ, რადგან რაც უფრო დამონებულია ხალხი, მით უფრო ადვილია მართვა. შიდა ქართლში საზოგადოებას დიდი რაოდენობის ვაშლი აქვს გასატანი და ვერ გააქვს. ეს ლიბერტალიანული ფრთა აძლევს საშუალებას, რომ გაიტანონ პროდუქცია ევროპაში? რა თქმა უნდა, არა.

- ბიძინა ივანიშვილის პოზიცია თუ იცით, საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით?

- ამ საკითხს ბატონ ბიძინა ივანიშვილთან არ ვათანხმებთ. ტყუილად ჰგონიათ ქართველ პოლიტიკოსებს, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული. არა გენაცვალე, ჩვენს პოზიციებს ივანიშვილთან წინასწარ არ ვათანხმებთ და არ დავდივართ იმის საკითხავად თუ რა პოზიცია აქვს მას... ჯერ გამოკითხვები ჩატარებული არ გვაქვს, მაგრამ ჩავატარებთ ამ თემაზე გამოკითხვებს და რეფერენდუმსაც მოვითხოვთ. თუმცა ამას გამოკითხვა არც უნდა. ეს მარტივი ლოგიკაა... უკრაინელები ჭკვიანი და ბრძენი ხალხია და ნამდვილად დაუჭერენ მხარს სლავურ ანუ რუსულ გაერთიანებას, ვიდრე გაუგებარ გაერთიანებაში შესვლას. იცით რა ხდება ევროპაში? ევროპა თავის ეკონომიკურ პრობლემებს ვერ აგვარებს. დააკვირდით ამერიკას, რა ხდება იქ. ამერიკაში კრიზისია და რომელ გაერთიანებაში გინდათ შესვლა? იქ, სადაც ეკონომიკური სტაგნაციაა და ამერიკა ვერ აქცევს ყურადღებას ეკონომიკას, იმ გაერთიანებაში გინდათ შესვლა?

- რუსეთში ყვავის ეკონომიკა?

- რუსეთში ეკონომიკა არ ყვავის. რუსეთში ნედლეულია, წიაღისეული, პროდუქცია, რომელიც შეიძლება შემოიტანო და შენი ეკონომიკა აამუშაო. ამას პოლიტეკონომია ჰქვია. საქართველო, როგორც მთელი ეკონომიკური სივრცე, ერთად იქნება გაერთიანებული „ევრაზიულ კავშირში“, ცხინვალთან და სოხუმთან ერთად. ეს ეკონომიკური ცვლილებები თავისთავად მოიტანს ვაჭრობის განვითარებას და შეგეძლება თავისუფლად ჩახვიდე ცხინლავში, იყიდო და გაყიდო პროდუქცია. ასევე, ჩახვიდე სოხუმში და დაისვენო. ეს არის სწორედ „ევრაზიული კავშირი“. თავისუფლად გადაადგილების საშუალება გვექნება.

- როგორ მოხდება ჩვენი შესვლა სოხუმსა და ცხინვალში? ამ შემთხვევაში ჩვენ შევალთ როგორც საქართველოს მოქალაქე რუსეთის ტერიტორიაზე?

- არა. ეს რუსეთის ტერიტორია არ არის. ეს არის სააკაშვილის ტყუილები. რამდენჯერმე განვაცხადე, რომ საქართველო არ არის ოკუპირებული.

- რუსეთი ამბობს, რომ ეს მათი ტერიტორიებია.

- მე ვამბობ, რომ საქართველო არ არის ოკუპირებული

- აბა, რა ჰქვია ამ ყველაფერს?

- ჩაიხედოს ვიღაცამ საერთაშორისო სამართალში, ოკუპაცია ნიშნავს, უცხო ქვეყნის მიერ შენი ქვეყნის დაპყრობას და მის ადმინისტრაციულ მიერთებას.

- რუსეთი არ არის უცხო ქვეყანა?

- უცხო ქვეყანა არის, მაგრამ მიერთებული არ აქვს ჩვენი ტერიტორიები.

- მათი ჯარები დგას ცხინვალსა და აფხაზეთში...

- ეს დგას სააკაშვილის სისულელის გამო. ის მავთულხლართები, რომელიც ახლა არის გაბმული და რომელსაც აბამს ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება, სააკაშვილის განკარგულებით არის გაბმული.

ამ ეტაპზე „ევრაზიულ კავშირში“ გაერთიანებაზე ღიად თანხმობა მხოლოდ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა კობა დავითაშვილმა განაცხადა.

ნიკა ჩიტიძე: „არ არის გამორიცხული, „ქართული ოცნების“ შიგნით პრორუსულად ორიენტირებულმა პარტიებმაც გარკვეული ლობირება გაუწიონ ევრაზიული კავშირში საქართველოს შესვლის იდეას... ვგულისხმობ, თუნდაც, პირველ რიგში, „ეროვნულ ფორუმს“ და „მრეწველებს“

ელენე ხოშტარია: „ბურჯანაძეს გაცხადებული აქვს, რომ მისი პოლიტიკა სწორედ ამ გზას ემხრობა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსული ძალების უტოპია

„მე ვიქნები თანახმა, რომ „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანების სანაცვლოდ ტერიტორიული მთლიანობა მივიღოთ, რადგან ჩემთვის სამაჩაბლო და აფხაზეთი უფრო მნიშვნელოვანია“, - განაცხადა დავითაშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ფიგურებს, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ „ევრაზიულ კავშირში“ საქართველოს გაწევრიანებას მხარს დაუჭერს ნინო ბურჯანაძე. მიზეზად მისი პრორუსული ორიენტაცია სახელდება. თუ საგარეო ორიენტაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის „ევრაზიული კავშირის“ მომხრეები იყვნენ „მრეწველები“ და „ეროვნული ფორუმი“, ასევე „ლეიბორისტები“. ვინაიდან მათი საგარეო კურსი ჯერჯერობით გაურკვეველია.

სოსო ცისკარიშვილი

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

- პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს იქნება ნინო ბურჯანაძე, როგორც პრორუსული ორიენტაციის მატარებელი პოლიტიკოსი. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული „ქართული ოცნების“ შიგნით პრორუსულად ორიენტირებულმა პარტიებმაც გარკვეული ლობირება გაუწიონ „ევრაზიული კავშირში“ საქართველოს შესვლის იდეას. მე ვგულისხმობ, თუნდაც პირველ რიგში „ეროვნულ ფორუმს“ და „მრეწველებს“. არ არის გამორიცხული „ლეიბორისტულმა პარტიამაც“ მხარი დაუჭიროს აღნიშნულ იდეას, რადგან ლეიბორისტები მეტ-ნაკლებად ეწინააღმდეგებიან ნატოს იდეას.

ელენე ხოშტარია, ექსპერტი:

- ჩემი მხრიდან ამ თემაზე სპეკულაცია არასერიოზულია. არის ორგანიზაციები, რომლებიც ღიად საუბრობენ და ან შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ბურჯანაძეს გაცხადებული აქვს, რომ მისი პოლიტიკა სწორედ ამ გზას ემხრობა. ასევე გედევან ფოფხაძის განცხადება იყო კოალიციიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ პრემიერის ბუნდოვან განცხადებაზე, რომ ეს შესაძლებლობა შეიძლება განხილული იყოს. საერთოდ ამ საკითხის დასმა არასწორად მიმაჩნია, რადგან ჰიპოთეტურია. ისტორიაში და პოლიტიკაში ასეთ ჰიპოთეტურ საკითხებზე არ საუბრობენ ხოლმე, ამიტომ ცოტა სპეკულაციაა ამის ლაპარაკი. ზოგადად, ამ თემაზე დისკუსია არასერიოზულად მიმაჩნია.

დღეს საქართველოს დღის წესრიგში დგას ევროკავშირში ინტეგრაცია. არის რაღაც ძალები კოალიციაში, რომელთა გაურკვეველი განცხადებები ხელს არ უწყობს დასავლეთში ინტეგრაციას. თუმცა, რომ ვთქვათ, მთავრობა ამ საკითხს განიხილავს, ეს არასერიოზული იქნება.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

- ის, რაც მოსმენილი მაქვს ბატონი პრემიერისგან, მას ჯერჯერობით „ევრაზიულ კავშირთან“ დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია. რაც შეეხებათ პოლიტიკურ ფიგურებს, ამ ეტაპზე ნამდვილად არავინ ასოცირდება ასეთ მოთხოვნასთან ანუ „ევრაზიულ კავშირში“ საქართველოს გაერთიანებასთან. შეიძლება რაიმე ტიპის არასამთავრობო ორგანიზაცია გამოჩნდეს ასეთი, რომელიც ამას მხარს დაუჭერს.

გია ვოლსკი, უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი:

- კოალიციაში აბსოლუტური თანხვედრაა ამ საკითხთან დაკავშირებით. შეუქცევადია ჩვენი გზა ევროატლანტიკური სტრუქტურისკენ. წინასწარი მონაცემებით და ჩვენი ხევდით გამორიცხულია „ევრაზიული კავშირის წევრობა“.

გია ვოლსკი: „კოალიციაში ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებებში აბსოლუტური თანხვედრაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

ქართველი გამარჯვებული ექსტრემალურ სპორტში

შეჯიბრი პლიაჟზე დაიწყო, ფინიში კი ზღვის დონიდან 1515 მეტრზე იყო. მოტოციკლმა რამდენჯერმე უმტყუნა, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ თურქეთიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა, ასეც მოხდა, 18 წლის გიორგი ოძელაშვილი მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ამგვარმა გამარჯვებამ იმ სპორტში, რომელიც საქართველოში განვითარებული არ არის, ბევრი გააოცა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში გიორგი ერთადერთი სპორტსმენია, რომელიც ვარჯიშობს და მისდევს ამ სპორტს, სპორტულად. საქართველოში დაბრუნებული სპორტსმენი ჯერ თავის მიღწევებზე ჰყვება, მერე კი მოტოციკლსა და ბევრისთვის დაუჯერებელი სირთულეების დაძლევაზე.

გიორგი ოძელაშვილი: „შარშან, როცა ბრინჯაოს მედალი ავიღე, ვთქვი, მომავალში ბევრად უკეთ მოვემზადები მეთქი და მართლაც ასე იყო, ვერცხლით ჩამოვედი, მაგრამ გული მაინც მწყდება, რადგან მოტოციკლმა მიმტყუნა, ასე რომ არ მომხდარიყო ოქროთი ჩამოვიდოდი, ოქრომდე ბევრი არ იყო დარჩენილი... იქ მოტოციკლის ქირაობა გვიხდება ხოლმე... მუხრუჭი გაუფუჭდა... სამწუხაროდ, ყველაფერში მე ვიხდი ფულს, არავინ მაფინანსებს, ყოველი შეჯიბრის მერე, როცა შედეგს ვაღწევ, ვფიქრობ, რომ ვიღაც დაინტერესდება, სპონსორი გამოჩნდება და დამეხმარება, რომ სამომავლოდ ბევრად კარგი შედეგით ჩამოვიდე, მაგრამ... ერთადერთი, შეჯიბრისას ექსტრემალური სპორტის ეროვნული ფედერაცია მეხმარება. შარშან ორკაციანი საგზურითაც კი დამაჯილდოვა და შეჯიბრის შემდეგ ეგვიპტეში ვიყავი. ამიტომ, მინდა მადლობა გადავუხადო ფედერაციას, ასევე „რედბულს“ და „ალფა ექსპრესს“.

- რამდენი ხანია რაც მოტოციკლს მართავ?

- მეორე კლასში ვიყავი როცა ბიძაჩემმა მინი მოპედი მომიყვანა, ასე 7-8 წლის თუ ვიქნებოდი. თავიდან არც მეგონა თუ ასე გავყვებოდი. მშობლებმა ფეხბურთზე შემიყვანეს და მეგონა, რომ ფეხბურთელი გამოვიდოდი, მაგრამ მოტოციკლის გამო მიღებულმა ტრავმებმა მაიძულეს ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. ძალიან დიდი სიამოვნებაა. 30 მეტრზე როცა გადახტები, ყველაზე მაგარი ადრენალინია ჩემთვის.

- როგორც ვიცი, საკმაოდ რთულ ტრიუკებს აკეთებ, რამდენიმე მანქანას გადააფრინდები ხოლმე, ამ დროს შიში არ გაქვს?

- სიამოვნება ეგ არის, როცა გეშინია და ამ შიშს ეჯიბრები. როცა ძალიან სწრაფად მიჰქრი და არ იცი წინ რა ხდება. მერე ხედავ, რომ არაფერი ხდება, ან კედელია და შეძელი და გაჩერე...

ოთო ჭუმბურიძე, ექსტრემალური სპორტის ფედერაციის წარმომადგენელი: „გიორგიმ ისეთი შედეგი აჩვენა, რომელიც საოცნებოა ყველა სხვა ქვეყნისთვის, ამიტომ ბედნიერები ვართ ამ გამარჯვებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გიორგის საქართველოში არანაირი სავარჯიშო პირობა არა აქვს, შეიძლება ამ შედეგით გავოცდეთ კიდეც. მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის პრიზიორი და მეორე ადგილის მფლობელი გახდა. შარშან ბრინჯაოთი ჩამოვიდა, თუ ხელს შევუწყობთ და პირობებს შევუქმნით, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს ოქროს მედლით დაგვბრუნდება“.

ქეთი მელუას ოცნება „შვიდკაცამ“ აუსრულა...

რამდენიმე დღის წინ, ლონდონის ისტორიულ დარბაზში Roundhouse-ში ქეთი მელუამ და „შვიდკაცამ“ საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. როგორც ქეთიმ აღნიშნა, მის კონცერტზე ქართული მრავალხმიანობის აჟღერება ოცნებად ჰქონდა ქცეული და „შვიდკაცამ“ ეს ოცნება აუხდინა. ამ კონცერტზევე გაიმართა ქეთის ახალი ალბომის პრეზენტაცია. ლონდონელებმა ქართული მრავალხმიანი სიმღერა „ბრავოს“ შეძახილებით დააჯილდოვეს და კონცერტის დასასრულს „შვიდკაცას“ ბის-ზე მოუხმეს. ჩვენმა ბიჭებმა ქეთისთან ერთად „I cryed for you“ შეასრულეს. კონცერტამდე ერთი დღით ადრე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ქეთიმ კონცერტის მსვლელობისას რამდენჯერმე მიმართა მაყურებელს, თემა კი მხოლოდ ერთი იყო - საქართველო!!!

მთის მუსიკა და უკვე ნაცნობი მუსიკოსები

ახალგაზრდა მომღერალი გიორგი ჩიტაური და დაუვიწყარი სოლო კონცერტი „არტ ჰოლში“. კონცერტში მონაწილეობა მთის სიმღერების შემსრულებლებმა და ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა მიიღეს. მომღერალმა მეგობრებთან ერთად ცნობილი კომპოზიციები შესთავაზა მსმენელს. გიორგის მიზანი იყო სცენა იმ მომღერლებისთვის დაეთმო, რომლებსაც ასე ძალიან სწყურიათ კონცერტი და გამოჩენა სჭირდებათ. ჩემი სურვილია ხალხმა გაიცნოს ისინი - თქვა მომღერალმა და მართლაც „არტ ჰოლში“ შეკრებილებს ეს საღამო და იქ მყოფი მომღერლები არ დაავიწყდებათ. მათ შორის ხალხის აღტაცება უსინათლო გოგონამ მაგდა ბეჟანიშვილმა გამოიწვია.

მაგდა ბეჟანიშვილი: „ეს კონცერტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და ძალიან სასიამოვნო. ამიტომაც გულდაწყვეტით დავტოვე „არტ-ჰოლი“, იმდენად თბილი და ლამაზი საღამო იყო, რომ მინდოდა კიდევ გაგრძელებულიყო. ძალიან დიდი სურვილი მაქვს ასეთი საღამოები, კიდევ ბევრი ჩატარდეს და მეტმა ხალხმა სცეს მთის მუსიკას პატივი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

ნინო გაჩეჩილაძემ ბაქოელები მოხიბლა

ქართულ-აზერბაიჯანული სერიალის - „ალი და თეოს“ მეთერთმეტე სერიის კადრების გადასაღებად გადამღები ჯგუფი ბაქოში ორი დღით იმყოფებოდა. ჯერჯერობით ისევ უცნობია თუ რომელ არხზე გავა სერიალი. მას მაყურებელი სავარაუდოდ ან „რუსთავი 2“-ზე, ან „იმედზე“ იხილავს.

ბაქოდან წამოღებულ შთაბეჭდილებებს ნინო გაჩეჩილაძე გვიზიარებს, რომელიც სერიალის მთავარი გმირის, ალის ყოფილი ცოლის როლს ასრულებს. ალის როლს კი ცნობილი აზერბაიჯანელი მსახიობი ზაურ შახიევი.

„გადავიღეთ სცენა, მე და ალი კაბრიოლეტში ვსაუბრობთ და ღამის ბაქოს ხედი ჩანს.

საშინელ ამინდში მოგვიხდა გადაღება. ქარი იყო. რეჟისორს (ლევან კიტიას) ვთხოვდი, გადაღებებს შორის პაუზის დროს მანქანას სახურავი დაახურეთ, ყურები გამეყინა და თმა ამენეწა-მეთქი. ძალიან ციოდა. ქალაქი მომეწონა, ლამაზი ქალაქია. ბაქოელები ამბობენ, ბაქო წლიდან წლამდე უფრო ლამაზდებაო“.

მსახიობმა ბაქოს თბილისთან ერთი საერთო უპოვა. „მე მეგონა მხოლოდ საქართველოში იყვნენ ხამი და უსაქმური ტიპები. გადაღების დროს დიდი მერსედესის ჯიპი ჩვენს ახლოს დადგა, რამდენიმე ბიჭი გაბადრული სახეებით დადგნენ და გვიყურებდნენ. ერთი საათი იდგნენ, არ მობეზრდათ. ზაურს ვკითხე, რატომ არიან ეს ადამიანები ასეთი ბედნიერები-მეთქი? ზაურმა მითხრა: უტვინობა ზოგჯერ ადამიანებს აბედნიერებსო. მერე მოვიდა „შევროლეს“ წარმომადგენელი.

ეს სცენა „შევროლეს“ კაბრიოლეტში გადავიღეთ. სერიალის სიუჟეტი რომ გაიგო, დაიწყო - რატომ მიატოვა ამ გოგომ ეს ბიჭი, ერთმანეთს ძალიან უხდებიანო :) ზაურ შახიევი კი მეუბნება, დარწმუნებული ვარ, აზერბაიჯანში შემდეგ წელს ახალ პროექტში მიგიწვევენ სათამაშოდო. ეტყობა, მას თვითონ უნდა თანამშრომლობა გავარგძელოთ. საყვარელი ბიჭია, წარმატებები მინდა ვუსურვო.

- ხომ არ მოსწონხარ?

- არა, მეგობრულად მიყურებს. სავარაუდოდ შეყვარებული ჰყავს. ფოტოები უდევს „ფეისბუქზე“. არც მე მომწონს მისი ტიპის მამაკაცები.

„ღლონტები“ რძლების როლში

მალე „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალი სახალისო სერიალი გამოჩნდება. „ნათია და ნათია“ ასე ჰქვია ახალ პროდუქტს, რომელსაც „ფორმულა კრეატივი“ წარმოადგენს. ეს ჯგუფი ამჯერად ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ სერიალს - „ჩემი ცოლის დაქალებს“ აკეთებს. სცენარს ქეთი დევდარიანი წერს, სერიალს გიორგი ლიფონავა და მიშა მშვილდაძე იღებენ. მთავარ როლებში „დები ღლონტებად“ ცნობილი თათული ედიშერაშვილი და თამუნა ნიკოლაძე გვევლინებიან.

თამუნა ნიკოლაძე: „ზედმეტი შემართებით შევუდექი ამ სერიალზე მუშაობას. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მაყურებელი გავახალისოთ. მე და თათული რძლების როლებში ვართ. მე ოჯახში ახალი შესული რძალი ვარ. ჩემი ქმრის როლში გია ცინაძეა, თათულის ქმრის როლში თემო გოგიძე. ძალიან გემოვნებიანი შემოქმედებითი ჯგუფია. ვნახოთ რა გამოვა. ტელემაყურებელთან შეხვედრა ძალიან მომენატრა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არტისტერიუმი - თანამედროვე ხელოვანთა ვიზუალური ხელოვნება

my View
დეა თავგერიძე

EXCLUSIVE

თუ გსურთ ნახოთ რა იცვლება იმ სივრცეში სადაც თანამედროვე ხელოვნება იხარშება, არტისტერიუმს უნდა ეწვიოთ... აქ სხვადასხვა ქვეყნის თანამედროვე არტისტების შემოქმედებას გაეცნობით. ეს არის ის, რაც რეალობას აშიშვლებს და ხელოვანებს ერთმანეთთან აახლოვებს, თუმცა ის, რაც მისაღებია იგივე სივრცეში მცხოვრები არტისტისთვის, რთული გასაგებია უბრალო მოკვდავისთვის. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ნამუშევრების დათვალიერებისას ხელოვანთა შეფასებებს გამოფენაზე შემთხვევით მოხვედრილთა გაკვირვება ერთვოდა... შემოქმედთა თქმით, სიახლე, რომელსაც დამთვალიერებელი აქ ნახავს, სამომავლოდ მათ აზროვნებაზეც აისახება, რაც დამოკიდებულებას ბევრად სხვანაირს გახდის. ქართველი თუ უცხოელი ხელოვანების ინსტალაციები, ნახატები და ფოტოები თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოიფინა. ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება, 14 ოქტომბერს, ეროვნულ გალერეაში დაიხურება. სადაც ამერიკაში მცხოვრები ქართველი შემოქმედის ლადო ფოჩხუას ნამუშევრები გამოიფინება. ლადოსთან ერთად რამდენიმე უცხოელი მხატვრის გამოფენა ამერიკის საელჩოს დაფინანსებით ხორციელდება. არტისტერიუმის კურატორის მაგდა გურულის თქმით ამერიკის საელჩო ამ ღონისძიებას მხარდაჭერას ყოველ წელს უცხადებს.

მაგდა გურული: „ამერიკის საელჩოს 2008 წლიდან წელი არ ჩაუგდია, სულ ჩვენთან ერთადაა, მათ გარეშე მართლა ძალიან გაგვიჭირდებოდა. ხოლო 2011 წელს, არამარტო ამერიკული ნაწილი, მთელი არტისტერიუმი დააფინანსა. ელჩიც იყო გახსნაზე მოსული, რაც საქართველოში თანამედროვე ხელოვნების ძალიან დიდი მხარდაჭერა გახლდათ. წელს კი ამერიკის საელჩომ სამი მხატვარი დააფინანსა. მათგან ორმა ქარვასლაში პერფორმანსი გააკეთა. აქვთ ასევე ერთი პროექტი, ევროპის სახლში, ცეკვები მიმდინარეობს ვიდეო ინსტალაციით. 8,9,10 -ში გააკეთებენ ვორქშოპს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის. მესამე მხატვარი, რომელიც ამერიკის საელჩომ დააფინანსა, ლადო ფოჩხუაა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ქართველია და ახლა ამერიკაში ცხოვრობს. ლადოს პროექტი ეროვნულ გალერეაში 14-ში 6 სათზე გაიხსნება. პროექტი სათაურით „ქართული მელანქოლიის ანატომია“ აფხაზეთის თემას ეძღვნება, გამოიფინება ის ფოტოები, რომელიც ლადომ წყნეთში, ლტოლვილების ბანაკში ცხოვრებისას გადაიღო. ამ ფოტოებში ის სამყაროა, რომელიც მაშინ წყნეთში მის გარეშემო არსებობდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ეს გამოფენა... საერთოდ კი „არტისტერიუმის თემა წელს არის „ვარ მე შენ“. თემა იკვლევს ადამიანებს შორის ურთიერთობას, განსხვავებული ცხოვრების სტილს, განსხვავებულ მსოფლმხედველობას... რელიგია, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ... ჩვენ გვინდოდა რაღაცნაირად ყურადღება მიგვეპყრო ქსენოფობიისა და ჰომოფობიის პრობლემებზე, რომელმაც რატომღაც საქართველოშიც იჩინა თავი. ვფიქრობ, ეს გამოფენა მაყურებელს საშუალებას მისცემს დაფიქრდეს ამ პრობლემებზე. გამოფენა ათი დღე გრძელდება...

არტისტერიუმის ექვსწლიან ისტორიაში, წელს, პირველად გაიმართება აუქციონი, რომელზეც ქართველ მხატვართა ნახატები გაიყიდება. შემოსული თანხით სამხატვრო აკადემიის სამ სტუდენტს სტიპენდია დაენიშნება. ამ ნამუშევრების ნახვას მსურველები 6 ოქტომბერს, მთაწმინდის პარკში შეძლებენ, აუქციონი კი იქვე 13 ოქტომბერს გაიმართება. მანამდე კი უცხოელებთან ერთად ქარვასლაში ქართველმა ხელოვანებმა საკუთარი, ორიგინალური ნამუშევრები წარმოადგინეს, დათო მაჭავარიანის „უსათაურო“ ერთ-ერთი ამ ორიგინალთაგანია.

დათო მაჭავარიანი, ხელოვანი: „ჩემს ნამუშევარს უსათაურო ჰქვია, ეს არის ადამიანთა ურთიერთობის ორბიტალური სისტემა... ყოველი ადამიანი ხომ ერთადერთი და განუმეორებელია, ანუ ყოველი ადამიანი არის მზე, რომელსაც აქვს თავის ორბიტაზე მოძრავი პლანეტები, შეიძლება მე ვიყო მზე და შენ იყო ჩემი პლანეტა, რომელიც ჩემს გარშემო ტრიალებს, ამასობაში შენ ხარ ჩემი მზე და მე ვტრიალებ შენ გარშემო, ყველა ადამიანი, მთელ დედამიწაზე, ერთმანეთს ასე ებმება, ამიტომ აქ არც რელიგია არსებობს, არც პოლიტიკური მოსაზრება, უბრალოდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები და ყველა ერთნი ვართ... ერთადერთი, რაც იცვლება, ეს არის დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, ერთმანეთის მიმართ, ან რაიმე ახალის შეცნობით. არტისტერიუმი სწორედ ამას აკეთებს. დამოკიდებულებას უცვლის ადამიანებს არა მარტო ხელოვნების მიმართ, არამედ ერთმანეთის მიმართაც. არტისტერიუმი ფესტივალივით არის, გარდა იმისა, რომ აქ დიდი „ტუსოვკაა“, რომელიც წლიდან წლამდე ერთმანეთს ასე გვახვედრებს, ეს არის ძალიან დიდი პიარი, სადაც ძალიან ბევრი ხელოვანი, ბევრი სიახლით ჩამოდის. არტისტერიუმი მხატვრული ისტერიკაა, სადაც ჩვენ შეგვიძლია აფგრეიდი გავიკეთოთ აზროვნებაში. არტისტერიუმი ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოში რაღაცნაირად გაიზარდოს მხატვრის მიმართ დამოკიდებულება. ხელოვნების დამოკიდებულება ჩვეულებრივი ხალხის მიმართ. ეს ყველაფერი საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ 20-30 წლის მერე ტექნოლოგიებთან ერთად გაიზარდოს სულიერება. რადგან ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ სულიერებაა და არაფერი სხვა“.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გელა პატიაშვილი ქართველი შემოქმედი ნიცადან

my View
დეა თავგერიძე

25 წელია საქართველოში პერსონალური გამოფენა არ ჰქონია. ამჯერად კი არტისტერიუმის დამსახურებით ის ნიცადან სამშობლოს პერსონალური გამოფენით ეწვია. გელა პატიაშვილის ნახატების დათვალიერება მსურველებს ლიტერატურის მუზეუმში 12 ოქტომბრამდე შეეძლებათ. გამოფენას პარასკევ საღამოს საკუთარი წიგნის პრეზენტაციით დახურავს. „პოლკოვნიკის 40 დღე“ ამ წიგნის პრეზენტაცია მაისში პარიზშიც გაიმართა. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანი საქართველოში ჩამოსვლასა და გამოფენების მოწყობას სამომავლოდ უფრო ხშირად აპირებს.

გელა პატიაშვილის ნახატები გამოიფინა ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში

გელა პატიაშვილი:
„დღემდე საქართველო ეძებს თავისი ყოფიერების ფორმებს, მაგრამ ძალიან უჭირს მოძებნა, რადგან რამდენი არჩევანიც გაკეთდა ყველა მცდარი აღმოჩნდა“

EXCLUSIVE

გელა პატიაშვილი: „ლაშა ბაქრაძესაც სურდა ჩემი გამოფენა, მაგდა გურულსაც და ისე დაემთხვა, რომ არტისტერიუმის ნაწილი აქ იფინებოდა. მეც მიხარია, ერთი მხრივ, პერსონალური გამოფენასავით არის, რადგან ცალკე დარბაზშია და მეორე მხრივ, სხვა მხატვრებთანაც მიწევს შეხება. მსიამოვნებს, რომ ამ გამოფენას თან სდევდა თინიკო სამადაშვილის მუსიკალური გაფორმება. საერთოდ გამოფენას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაქვს იმის შეგრძნება, რომ ძალიან სასარგებლო რამეს ვაკეთებ. ალბათ, ჩემი გამოცდილების განაწილება მსურს ქვეცნობიერად ქართველი დამთვალიერებლისთვის... აქ წარმოდგენილ ნამუშევრებში პირამიდების თემაა, როგორც გეომეტრიული და ისტორიული ფიგურა. პირამიდებს აშენებდნენ საამაყო ადამიანებისთვის, საამაყო ძეგლი იყო. გამოვიყენე უტილიტარული საგნები, როგორიც არის ფოტოაპარატები, კინოაპარატები, რადიო, მეტრონომები, ის, რასაც ყოველდღე ვხვდებით. ამისგან აწყობილი პირამიდები ფაქიზ წონასწორობაში იმყოფებიან. წონასწორობის და უწონასწორობის თეორიით, რადგან ფაქიზი წონასწორობის დარღვევა ადვილია. ამის გასაღები რაში მდგომარეობს, ყოველ ნივთს, რომელიც ერთმანეთთან ურთიერთობს და ერთმანეთთან რაღაც მიმართებაშია, პატარა ეტიკეტები აქვს გაკეთებული, რომელზეც არის სისხლის ჯგუფი ან სხვა რაიმე მითითებული, რომელიც ადამიანის ყოფას განსაზღვრავს, ვის ეკუთვნოდა ეს საგანი. ამაშია ნამუშევრების დრამატიზმი. ერთი მხრივ კითხვა იბადება, რომ ეს ნივთები სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის, მაგრამ დღევანდელობაში ძალიან ნაცნობი ნივთები თუ ფუნქციონირებს, ვინ იყო მათი პატრონი და ადამიანის სიცოცხლე რამდენად მდგრადია. მცველები ჰყავს, როგორც ეგვიპტურ მითოლოგიაშია. არის პირამიდების მცველი ანუბისები. დღეს, რადგან ტურები არ გვყავს, მოდერებად ძაღლები გამოვიყენე, რომელსაც მუზარადები ახურავთ თავზე. ძაღლებს შორის მე ვარ. სიმართლე გითხრა, არც მინდა, რომ აპლოდისმენტები იყოს. თბილისის მხატვრული ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია“.

გელა პატიაშვილის წიგნები საქართველოში მკითხველის მოწონებით სარგებლობს. „პოლკოვნიკის 40 დღის“ გარდა, დღემდე, გამოცემული აქვს „თითი ბოთლში“ და „სინდიკატი“ . „პოლკოვნიკის 40 დღე“ პირველი წიგნია, სადაც მოქმედება სიუჟეტურად თბილისში ხდება. ამ წიგნში დღევანდელი ტრაგიკული რეალობა კომედიურ ჟანრშია ასახული.

გელა პატიაშვილი: - მანამდე არ მინდოდა ხელოვნურად შემექმნა იმის ილუზია, რომ საქართველოში ვცხოვრობ, ან საქართველო ისე კარგად ვიცი. მე ვიცი 25 წლის წინანდელი საქართველო და დღეს რასაც ვხედავ, თავიდან აღვიქვამ, როგორც სხვა ქვეყანას, რადგან ეს უკვე სხვა ქალაქია. ხალხიც შეიცვალა, მეც შევიცვალე, ჩემი ხედვაც. „პოლკოვნიკის 40 დღე“ არის პოლკოვნიკზე, რომელსაც უპენსიოდ ტოვებენ. ასე გგონია, რომ მისი ცხოვრების დასასრულია. არავის სჭირდება, ისევე როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი უარაფროდ არის დარჩენილი, ძალიან კომედიური ფორმით არის გადმოცემული, რაც საშუალებას იძლევა, ძალიან მსუბუქად წაიკითხო.

- რატომ წახვედით საქართველოდან?

- სანამ საქართველოდან წავიდოდი კორესპონდენტად ვმუშაობდი „ლიტერატურული საქართველოსთვის“. ძალიან ნაციონალური ტენდენცია იყო. ვწერდი უცხოელებზე რომლებიც ჩამოდიოდნენ, მხატვრებზე, მოგზაურებზე, ვინც ჩამოდიოდა საქართველოში ყველას ვხვდებოდი, მაგრამ ეს არ აწყობდათ მაშინ. უნდოდათ, რომ ეს ყოფილიყო სუფთა ქართული გაზეთი, საქართველოზე და ქართველ მხატვრებზე გვეწერა.

1988-89, 9 აპრილს დაემთხვა ეს. ასე გვეგონა, რომ თუ საბჭოთა იმპერიას ვებრძვით, ჩვენ ვებრძვით ყველაფერს, რაც ჩვენ არ გვგავს. თუმცა ახლა ყველაფერს ვაფასებთ ისე, რომ ეს იყო ქსენოფობიური მოვლენა და არა რაღაცა მიზნით გაკეთებული. დღემდე საქართველო ეძებს თავისი ყოფიერების ფორმებს, მაგრამ ძალიან უჭირს მოძებნა, რადგან რამდენი არჩევანიც გაკეთდა, ყველა მცდარი აღმოჩნდა. იმედი მაქვს, რომ დაგროვილი გამოცდილება საშუალებას მოგვცემს ისეთი ფორმა მოვძებნოთ, რაც საშუალებას მოგვცეს ნორმალურად ვიცხოვროთ, არ ვიყოთ ამ კატაკლიზმებში გაჭედილი.

გარემო შეიცვალა, მოვიდა ის ხალხი, რომელიც არსად არ გვინახავს არასდროს, რომლებიც ჩვენგან განსხვავდებოდნენ და ჩვენ წავაგეთ იმ მოედანზე რასაც კულტურული თუ ინტელექტუალური მოედანი ერქვა.

- გამოდის, რომ იმ პერიოდში რაღაც დოგმებში მოქცევას გაექეცით...

- მე ყოველთვის მაინც თავისუფალ იდეებზე და თანამედროვე ხელოვნებაზე ვმუშაობდი. ერთმანეთს ეს ვერ ერწყმოდა. წმინდა ქართული ისტორიული გადმოსახედიდან, როგორც ჩანს, თანამედროვე ხელოვნება უფრო ვულგარული და აღვირაწყვეტილი შემოქმედებაა. ძნელი იყო, ერთ საზოგადოებაში ისეთი რაღაცები გადაიკვეთა, რაც სირთულეებს ქმნიდა, თუმცა დღეს მაინც აქ ვარ.

- რა არის უცხოეთში ისეთი, რაც აქ არ აქვს ქართველ ხელოვანს?

- ძნელი სათქმელია. როდესაც საქართველოში მხატვრებს უყურებ, ეს არის იმედის მიცემის და იმედის გაცრუების კასკადი. ასვლა-ჩასვლის. იქაური ცხოვრება უფრო სტაბილურია და ასეთი ექსცესები არ ხდება. ფსიქოლოგიური, შეშფოთების ან აღფრთოვანების ფაქტები უფრო ნაკლებად არის. ამიტომ, ამ მხრივ, შეიძლება აქაურ მხატვრებს იქაურობა მოსაწყენად მიაჩნიათ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ის, რაც მხატვრული სამყაროა, სხვა ფენაა, რომელიც სხვა ენერგეტიკით ცხოვრობს და ერთმანეთის უფრო კარგად ესმით, ვიდრე სხვას. ერთი სალაპარაკო ენა აქვთ. მაინც დიდი ხელოვნების ერთი ნაწილია.

- მხატვარი უფრო ხართ თუ მწერალი?

- მიჭირს არჩევანი გავაკეთო, როდესაც ვწერ, იქ მწერალი ვარ და როდესაც ვხატავ - მხატვარი. მაგრამ ორივე მჭირდება. სიამოვნება ორივეგან ერთია. თერაპიასავით არის.

პაატა ქურდაძე, მწერალი, ესეისტი: „ამ ყველაფერს ძალიან კარგად ვიცნობ საფრანგეთიდან. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ნიცელ ძაღლებსაც ვიცნობ, რომლებიც გელას აქვს დახატული. ძალიან ბევრი ნახატის ხატვის პროცესს შევსწრებივარ, იმიტომ რომ გელა ჩემი მეგობარია, ძალიან მიყვარს ის, რასაც გელა აკეთებს. ჩვენ ნაცრისფერ და ცოტა სევდიან ყოფაში კარგ ხასიათზე გაყენებს. სხვა სამყაროში გადაყავხარ. მის ნამუშევრებში იუმორია, ყოველთვის თბილია, არააგრესიულია. ყოველთვის განახებს საგნების იმ მხარეს, რომელშიც რაღაც მშვენიერების ნაწილია. გელა სულ კონცენტრირებულია კარგზე და პოზიტიურზე“.

„გელა ძალიან საინტერესო ადამიანია. როგორც მხატვარი ძალიან განსხვავებულია, თავისებური ხედვა აქვს. გელა ასევე საინტერესო მწერალიც არის“...

ნიკო ცეცხლაძე, მხატვარი: „ადრე ჩვენ ერთად ვმუშაობდით მარჯანიშვილის სახელოსნოში. პეტერბურგშიც ერთად ვიფინებოდით. გელა ძალიან საინტერესო ადამიანია. როგორც მხატვარი ძალიან განსხვავებულია, თავისებური ხედვა აქვს. თუნდაც ეს გამოფენა. გელას მწერლობაც ძალიან საინტერესოა. ის უკვე დიდი ხანია ევროპაში ცხოვრობს და იგრძნობა ეს ევროპული სკოლა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანი ბრეგვაძე ცხოვრებისეული

my View
დეა თავგერიძე

ქალი, რომელიც თავისი ნიჭით უკვე ათეული წლებია მსმენელს ხიბლავს, კვლავ სცენაზე დგას და დისკის პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს ცოცხლად უმღერის. დასაწყისისთვის კი მოიბოდიშა, ხმა აღარ მაქვსო, მაგრამ სიმღერის დაწყებისთანავე ყველასთვის მისახვედრი იყო ეს თავმდაბლური სვლა... ძალიან ღელავდა, ამიტომაც დასჭირდა ეს დაზღვევა სტუმრებთან... მამაკაცები ფეხზე დგებიან და ცოცხალი ლეგენდის წინაშე ქედს იხრიან. ნანი ბრეგვაძეს თვალები ეცრემლება და აცხადებს, რომ უზომოდ ბედნიერია და ეს ბედნიერება სწორედ თავისი ხალხის სიყვარულმა მიანიჭა. დღეს, „ბრავო რექორდსის“ დამსახურებით, მართლაც გამორჩეული დღე აქვს, საქართველოში მომღერლის პირველი დისკი, პირველი სოლო ალბომი გამოიცა.

ზაზა შენგელია: „ეს ჩვენი საამაყო მომღერლის მართლაც უნიკალური ალბომია, რომელზეც ორი წელია ვმუშაობთ. თავიდან, როდესაც ამაზე საუბარი დავიწყეთ, გაგვიკვირდა, არ გვჯეროდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა. დისკში შესულია ყველა ის ჰიტი, რომელიც თავის დროზე ქალბატონი ნანისთვის დაიწერა და რომელიც ძალიან უყვარს ჩვენს მსმენელს. რაც ყველაზე მთავარია, განახლებული არანჟირებებია, რომელიც ნიკა რაჭველმა გააკეთა. სწორედ მისი დაკავებულობის გამო გაიწელა ასე ალბომი, თუმცა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრათ, რომ უნიკალური ჟღერადობის ფანტასტიკური ალბომი გამოვიდა. ვფიქრობ, ერთ-ერთი შედეგრია და მე ვამაყობ, რომ „ბრავო რექორდსის“ გუნდმა იმუშავა ამ პროექტზე, დიდი მადლობა, პირველ რიგში, ქალბატონ ნანის და ყველა იმ კომპანიას, რომელმაც მხარდაჭერა გამოგვიცხადა - პსპ-ს, თიბისი ბანკს და ქალაქ თბილისის მერიას. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მარინა ბერიძეს, რომელიც ამ შემთხვევაში, ჩვენი თხოვნით, ამ ალბომის ერთგვარი მუსიკალური პროდიუსერი იყო. ალბომი კომერციულ გაყიდვაში ნოემბერში გამოვა, ასე რომ, დიდი სიურპრიზი და სიამოვნება ელის ჩვენს მსმენელს. მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ნანი სტუდიაში მუშაობისას ყველაზე პუნქტუალური, ყველაზე მოწესრიგებული და ყველაზე თავმდაბალია. ძალიან დიდი სიამოვნება მოგვანიჭა მასთან, როგორც პროფესიონალთან, მუშაობამ“.

ნანი ბრეგვაძე: „მინდა მადლობა ვუთხრა იმ გუნდს ვინც თავიდან ბოლომდე ჩემ გვერდით იდგა. მართალი გითხრათ, შიშის გრძნობით ვიყავი შეპყრობილი. ამ ალბომზე ფიქრი 2 წლის წინათ დავიწყეთ, მაგრამ მე და ნიკაც ხშირად ვიყავით დაკავებულნი. ამასობაში დრო გავიდა. ხმა, რომელიც მაშინ შესანიშნავად მქონდა, ალბომის ჩაწერისას მაინცდამაინც კარგად აღარ ჟღერდა, შიშით მივდიოდი სტუდიაში, შიშით ვწერდი, როცა მეუბნებოდნენ ძალიან მაგარიაო, ვფიქრობდი, ალბათ, კარგად ვერ მისმენენ-მეთქი. მაგრამ განნყობა, რომელიც ჩემ მიმართ იყო, ის დიდი სიყვარული და პატივისცემა ძალას მმატებდა და თავს მართლა ბევრად უკეთ ვგრძნობდი, ამის წყალობით სიმღერაც უფრო და უფრო უკეთ გამომდიოდა... ამისთვის, ყველას, ვინც ჩემ გვერდით იყო, უღრმესი მადლობა, რომ არა ისინი, მე ვერასდროს ჩავწერდი, თუ გვერდით ვინმე არა მყავს ვერ გავაკეთებ, რადგან ბუნებით არა ვარ აქტიური. მე შემსრულებელი ვარ. აქ არ გიღალატებ... მთავარია, ეს ალბომი ჩემს მსმენელს მოეწონოს. რა თქმა უნდა, ბევრი აზრი არსებობს, ალბათ, ყველას არ მოეწონება, მაგრამ მთლიანობაში აქ ისეთი სიყვარულია ჩადებული და ისეთი ენერგია, რომ შეუძლებელია არ მოგეწონოთ. ამიტომ, კიდევ ერთხელ მადლობა მთელ ჩემს ქართველ ხალხს, თქვენ რომ არა, არაფერი გამოვიდოდა. ახლა მეტირება კიდეც, ძალიან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, ეს არის მნიშვნელოვანი.

- ეს არის თქვენი პირველი ქართულენოვანი ალბომი, რომლის ჩაწერაც „ბრავო რექორდსის“ დახმარებით მოხერხდა, აქამდე არ იყო შემოთავაზებები?

- არ იყო... ჩემგანაც არ მოდიოდა არანაირი დაინტერესება. როდესაც აზრად მომივიდა, რომ აუცილებელია, მე ქართული სიმღერები ჩავწერო და ქართული დისკი მქონდეს, აი, მაშინ გაჩნდა ჩემს ირგვლივ არაჩვეულებრივი ხალხი, რომლებმაც ამ წინადადებაზე დაიწყეს მუშაობა. ეს აზრი ნელ-ნელა მომდიოდა. ძალიან ბევრი ჩანაწერი მაქვს „ორერასთან“ ერთად, ასევე მედეასთან ერთადაც. ამიტომაც მეგონა, რომ ეს დისკია, უფრო ფირფიტა, ამიტომ დიდი მოთხოვნილება და დიდი პრეტენზიებიც, რომ მე უსათუოდ უნდა ჩამეწერა, არ მქონია. მერე კი გაირკვა, რომ ცალკე დისკის სახით არ მქონია. ჩემი ალბომი მოსკოვში გამოიცემოდა. აქ არ იყო სტუდია, სადაც ხარისხიანად ჩაწერდი. ახლა კი ყველა, ვისაც კი ჩემთვის სიმღერა დაუწერია, ამ დისკშია. თუმცა ბევრი სიმღერა მაინც ვერ შევიდა, ყველას ვერ ჩავწერდით.

- მითხარით, რომ სტუდიაში შიშით ვწერდიო, თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ პირველი კონცერტი, მაშინაც იყო შიში?



„მარტო მომღერლობა, როგორც დედაჩემი ამბობდა, არ არის მთავარი. შენი პატიოსნება, ადამიანობა და კეთილშობილებაა ყველაზე მთავარიო“

- ძალიან დიდი განსხვავება ნამდვილად არ არის... შიმზე მეტად ეს უფრო ღელვაა, ყოველთვის ვღელავდი, ახლაც ვღელავ. რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, იქ დიდი განცდა იმდენად არა მაქვს, იქ ყველაფერი მოსწონთ, მაგრამ, როდესაც საქართველოში ვმღერი, ძალიან ვღელავ, აქ ჩემი ხალხია, მათ ყურს კი ვერაფერს გამოაპარებ. სიმღერა ზედმიწევნით დახვეწილი უნდა იყოს. პასუხისმგებლობა ბევრად მეტია. აქ უკვე მარტო სიმღერა არ არის, ყველაფერი ერთად მოდის, შენი დგომა, შენი სიარული, ლაპარაკი, განცდა, ჩაცმულობა...

- ახლაც რეპეტიციობთ ხოლმე სახლში?

- არავინ დამიჯერებს, მაგრამ მე და მედეა გონგლიაშვილს რეპეტიციები არასდროს გვქონია, ის ნამდვილი გენიოსი იყო. ტელეფონით დამირეკავდა, როიალს მიუჯდებოდა და ასე ვმუშაობდით. მერე, მოსკოვში ან პეტერბურგში, კონცერტამდე ორი დღით ადრე მივდიოდით დარბაზში და იქ გავივლიდით რეპეტიციას. ადრე, როცა „ორერაში“ ვმღეროდი, ისე ხშირად გამოვდიოდით თბილისში, ამიტომ ძნელი არ იყო ჩვენი მუშაობა. რეპეტიციები „ორერასთან“ ერთად მქონდა. 30 კონცერტს ჩავატარებდით, ჩამოვიდოდით, ერთი კვირა დავისვენებდით და ისევ ვრეპეტიციობდით. ეს იყო სცენაზე ჩემი ჩამოყალიბების ძალიან საინტერესო პერიოდი. ახლა რეპეტიციები უკვე აღარა მაქვს. ჩემი პიანისტი რეპეტიციობს. სხვა პიანისტი მყავს, ძალიან ნიჭიერი კაცია, თვითონ მოვიდა ჩემთან, მინდა დაგიკრათო. ნიჭიერი იყო, მაგრამ მედიკოსნაირად ვერ უკრავდა და არ მომწონდა. მედიკო კი ვერ ჩამოდიოდა მოსკოვიდან. მე ვუთხარი, ისწავლე, როგორც მედიკო გონგლიაშვილი უკრავს და მერე მოდი ჩემთან მეთქი... მთელი რეპერტუარი აქვს შესწავლილი, მაგრამ, როდესაც ბისზე მინდა ვიმღერო, ვერ ვმღერი, იმიტომ რომ არ იცის. ისე ვერ დამიკრავს, როგორც საჭიროა. ამიტომ მე კი არ ვრეპეტიციობ, ის რეპეტიციობს. იმდენს უკრავს და იმდენს მეცადინეობს, რომ არ შეეშალოს. თუ ერთი აკორდი შეეშალა, მერე უკვე ნასულია საქმე... ვეღარ მეწევა... ასეთ რამეს როცა აკეთებს, მისი მოკვლა მინდება. ყველაფერს ვპატიობ ადამიანს, ოღონდ, როდესაც მე ვმღერი და ცუდად უკრავს, ძალიან მოქმედებს ჩემზე, მაშინ რაღაც მემართება, თვალებზე ბინდი მეფარება. მუსიკაში თუ ხელი შემიშალე, ჩემი მტერი ხარ.

- დღევანდელ ახალგაზრდა მომღერლებს როგორ შეაფასებთ?

- ძალიან კარგები არიან, მაგრამ ცუდია, რომ ქართულს არ მღერიან, ამდენი გადაცემაა და მეტირება, რომ ყველა ქართველი მომღერალი ევროპულზე გადავიდა. რა ხდება? ამდენი ქართული სიმღერაა, მერე რა, რომ ჩემი ნამღერია, შენ შენი ინტერპრეტაციით იმღერე. ნინო ქათამაძე ხომ არაჩვეულებრივად მღერის, თავისებურად. შენ მოგწონს, არ მოგწონს, სხვა საქმეა, მაგრამ ის მუშაობს ამაზე, არ მეორდება. ქართულზე უკეთესი სიმღერები სად უნდა მოძებნო? გადაგვარდა ახალგაზრდობა, არავის არ უნდა ქართული სიმღერა, იცით რატომ? იმიტომ რომ ძალიან ძნელია.

- როგორც ვიცი, მოსწავლე არასოდეს გყოლიათ, რატომ?

- ერთი პერიოდი, ჩემი თანხმობით, თეატრალურ ინსტიტუტში საესტრადო კურსი გაიხსნა, მაგრამ მაშინ არ მქონდა დრო. ხშირად ვიყავი გასტროლებზე და ამის გამო იშვიათად მივდიოდი... ერთხელ კი მოსკოვში კულტურის უნივერსიტეტში მასტერკლასებ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სინანულითა და ახალი დისკით

„ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲢᲧᲝ. ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ“

ᲜᲐᲜᲘ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ: „ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲣᲜᲓᲘᲕᲐᲠ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲘᲫᲐᲮᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲕᲔᲢᲧᲕᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲒᲐᲗ“...

ის ჩასატარებლად მიმიწვიეს. გამიკვირდა, ალბათ, სახელი სჭირდებოდათ. მასტერკლასების ჩატარება ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს. არავის ვუნდივარ, თორემ, რომ დამიძახონ, ყველას ვეტყვი რა უნდა და როგორ. მაგრამ ჩემი თავი არა აქვთ მაგათ, არ სურთ ჩაწვდნენ ქართული სიმღერის სიღრმეს. აქვთ თავიანთი სამყარო, რომელშიც იხარშებიან და ეს აკმაყოფილებთ. როგორ შეიძლება ქართველი ადამიანი არ იყოს მუსიკალური, ან არ ჰქონდეს ხმა? მუსიკალურებიც არიან, ყველას გადასარევი ხმა აქვს, მაგრამ წინ ვერ მიდიან, რადგან გემოვნება ნულზე აქვთ. ამიტომ თუ ქართველი ხარ, უნდა ჩაწვდე ქართული სიმღერის სიღრმეს. მე ძალიან მიყვარს ხალხური სიმღერები. შენი ფოლკლორი შენი ფუძეა, და კარგად უნდა იცოდე. ასეთი სიმდიდრე, როგორიც ჩვენ გვაქვს, ქართული ფოკლორი, სხვაგან არ არსებობს. მაშინ, როცა უცხოელები აფასებენ, გულს მტკენს ქართველი მომღერლების ზედაპირულობა. იაპონელები სულელები ხომ არ არიან გაგიჟდნენ ქართულ ფოლკლორზე და ისწავლეს, ამერიკელებიც მოდიან, სწავლობენ, მღერიან. იქ წასულებიც გამუდმებით რეპეტიციობენ... ჩვენი მომღერლების დიდი უბედურება ამასთან ერთად იმაშიც არის, რომ გასტროლებზე ვერ მიდიან, დრო მოვიდა ასეთი. მე ამ მხრივ ბედმა გამიღიმა.

- ე.ი. კმაყოფილი ხართ თქვენი განვლილი ცხოვრებით...

- ამაზე მეტად ბედნიერი არამგონია ადამიანი იყოს. ჩემს ირგვლივ ყოველთვის იყვნენ ჩვენი დროის საუკეთესო პოეტები და კომპოზიტორები. თითოეული ადამიანის ცხოვრება მისთვის ძვირფას მოგონებებს ინახავს. ჩემთვის ასეთი მოგონებები იმ ნიჭიერ და საინტერესო ადამიანებს უკავშირდება, რომლებთან მეგობრობით და შემოქმედებითი ურთიერთობით ძალიან გამანებივრა ცხოვრებამ.

მე მერგო უდიდესი ბედნიერება და პატივი, მეთანამშრომლა ჩვენი ეპოქის საუკეთესო ხელოვანებთან. მათი დახვეწილი შემოქმედება შესრულების შესაბამის ხარისხს მოითხოვდა, რასაც დღესაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მიერ ჩემთვის შექმნილ სიმღერებს ვასრულებ. მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას მნიშვნელოვანი კვალი დაატყო. მადლიერი ვარ ჩემი მსმენელის, რომელიც მუდამ მანებივრებდა ერთგულებითა და სიყვარულით.

მე სულ მომავლით ვცხოვრობ. მერე რა, რომ ნლები მემატება, იცით, რამდენი გეგმები მაქვს? ვერც წარმოიდგენთ. სულ ნატალიაზე ვფიქრობ, რომელიც კლასიკურ მუსიკას მღერის. სულ ვამბობ, ღმერთო იქამდე მაცოცხლე, სანამ მას არ ვნახავ მეტროპოლიტენ ოპერაში. ასევე ბევრი ცხოვრებისეული გეგმა მაქვს განსახორციელებელი, მინდა გვერდით სულ მყავდეს და მყავდეს ხალხი, რასაც აკეთებდა დედაჩემი. ეს ტრადიცია მგონი გამომდის. სტუმართმოყვარეობა ხომ ყველა ქართველშია გამჯდარი. ეს გრძელდება ჩემს სახლში, სხვათა შორის, დედაჩემი ეკამ შეცვალა. ძალიან დიდი ძალა მაქვს ეკათი. ის ოჯახის ბურჯია.

- ძალიან კრიტიკული ხართ ხოლმე საკუთარი თავის მიმართ, სხვების მიმართაც ასე ხართ?

- ჩემი შვილისა და შვილიშვილების მიმართაც გამოვხატავ კრიტიკას, მაგრამ ზოგჯერ თავს ვიკავებ, ძალიან ბრაზობენ. ჩხუბის თავი არა მაქვს, მაგრამ გამოხედვაში მატყობენ. არავის არ უყვარს კრიტიკა, მაგრამ მე რატომღაც კრიტიკას პატივს ვცემდი. ახლა არ არის კრიტიკა და ამიტომაც არ არის კარგად საქმე.

- რა არის ის, რაზეც გული ძალიან გწყდებათ?

- ძალიან ბანალურ რაღაცას გეტყვით, დედაჩემს და მამაჩემს ისე არ ვაფასებდი, როგორც ახლა ვაფასებ, ამის ძალიან დიდი სინანული მაქვს. მამაჩემი ძალიან ავად იყო, ვერ დადიოდა, ამიტომ არ ვუთხარი, რომ ჩემს ვარსკვლავს ხსნიდნენ, არ მინდოდა გული დასწყვეტოდა, რადგან ვერ წამოვიდოდა. მაგრამ ახლა ვფიქრობ, ხომ შეიძლებოდა რაღაც მომეფიქრებინა, კიბეებზე ჩამომეყვანა და ვარსკვლავის გახსნაზე მიმეყვანა. ბევრი წვრილმანიც არის და დღეს ამ წვრილმანის გახსენება ძალიან დიდ სინანულს მგვრის. რადგან სწორედ ამ წვრილმანებისგან შედგება ცხოვრება... მეტი კი, რასაც ღმერთი გაძლევს, იმისი მადლობელი უნდა იყო და იმის მადლობელი ვარ. მე რომ დღემდე თქვენთან ერთად ვდგავარ და თქვენ მე მიღებთ, ეს ყველაზე მთავარია. მარტო მომღერლობა, როგორც დედაჩემი ამბობდა, მთავარი არ არის. შეიძლება ხმა დაკარგო... ამიტომ შენი პატიოსნება, ადამიანობა და კეთილშობილებაა ყველაზე მთავარი.

ნიკოლოზ რაჭველი, საორკესტრო ვერსიების ავტორი: „ღმერთს დიდ მადლობას ვწირავ, რომ წილად მხვდა პატივი, მასთან ერთად კონცერტმაისტერისა და დირიჟორის რანგში არაერთხელ ვმდგარიყავი სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად მიხარია, რომ ჩემეული ჰარმონიითა თუ საორკესტრო ჟღერადობით შემოსილი უკვდავი ქართული მელოდიები ნანი ბრეგვაძის შეუდარებელი შესრულებით სამუდამოდ აღიბეჭდა აუდიოფირზე. ეს არის ის, რითაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვიამაყებ“.

მარინა ბერიძე, მუსიკალური პროდიუსერი: „სპეციალურად მისთვის ქმნიდნენ სიმღერებს დიდი ქართველი კომპოზიტორები და პოეტები მისთვის წერდნენ ლექსებს... (არამარტო ქართველი) ეს ალბომი მთელი მისი განვლილი ცხოვრების და შემოქმედების შემაჯამებელია.

ძალიან დიდი პატივია ის, რომ ამ პროექტში კულტურის სამინისტრო მონაწილეობს, ძალიან გახარებული ვარ. პირადად მადლობა გურამ ოდიშარიას და ბადრი გრუზინსკის, რადგან პირველივე სიტყვაზე აიტაცეს ეს თემა და მიხვდნენ, რაოდენ ისტორიულ ფაქტთან ჰქონდათ საქმე. მე ყველაზე ბედნიერი ვარ, იმიტომ, რომ ნანისთან მომიწია მუშაობა. მადლობა ზაზას და ნანის, რომ ასეთი პატივი დამდეს. ეს 21-ე საუკუნის დისკია. თუ გინდა, რომ ქართული სიმღერა იმღერო, სწორედ ეს დისკი უნდა იყოს შენთვის სამაგიდო. ნანი დიდი მომღერალია, გამორჩეული თავისი ხელწერით, ინდივიდუალიზმით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმღერის მანერით. ის არავის ჰგავს“...

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

გიგი გაჩეჩილაძე ნინი წი

my View
თამარ გონგაძე

2 ოქტომბერს მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძე 26 წლის გახდა. ამბობს, რომ ეს ყველაზე დაუვიწყარი დაბადების დღე აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. პრესისთვის ყველაფერს არ ყვება, თუმცა ექსკლუზიურად ჩვენთვის ძალიან საინტერესო ინფორმაციას პირველად იმეტებს. გიგის პირად ცხოვრებაში სიახლეა! ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სულ ორი თვეა მის ცხოვრებაში ერთი ლამაზი გოგონა გამოჩნდა. ნინი წიკლაურს ხშირად ხედავენ სტუდია „თელაში“. „დაახლოებით ოცი წლის იქნება. ძალიან საყვარელი და ლამაზი გოგოა. საღამოობით აკითხავს. გიგის უნდა, რომ ცეკვა ასწავლოს“ - მითხრა ერთმა წყარომ. გიგი დეტალებზე საუბარს ჯერჯერობით გაურბის, თუმცა ხმამაღლა აღიარებს, რომ შეყვარებული და ბედნიერია. გასულ ზაფხულს მისი და სალომე ჭაჭუას რვაწლიანი რომანი დაშორებით დასრულდა. გიორგი ვარდოსანიძემ აგვისტოს ბოლოს პირველად „პრაიმტაიმში“ აღიარა, რომ მისი და სალომეს მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. სალომე და გიგი დაშორების მერე ერთმანეთთან მეგობრობდნენ, თუმცა ახლა გაჩეჩილაძე ამბობს, რომ მათ შორის რაღაც ისეთი მოხდა, რის შემდეგაც ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს. მოკლედ, ცხელი, მტკივნეული და უსიამოვნო ზაფხულის შემდეგ გიგის ცხოვრებაშიც დადგა გაზაფხული. თავს კარგად გრძნობს, სახეზე ჰოლივუდური ღიმილი დასთამაშებს და რომ ესაუბრები, შთაბეჭდილება გრჩება, რომ გარშემო გულები ენთება.

„ვერის უბნის მელოდიებში“ (გიგის ძმა ცეკვავს) და „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონანილეობაზე უარი თქვა. მიზეზად სხვა საქმეებს ასახელებს. „ზედმეტი შრომა იყო „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჩემთვის. დრო არაფრისთვის მრჩებოდა, არც სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციისთვის, არც სტუდიისთვის. ამიტომ მასზე უარი ვთქვი“.

„ნინიმდე სხვა გოგონებიც გამოჩნდნენ, მაგრამ არ გაგრძელებულა ჩვენი ურთიერთობა. ალბათ, მაშინ ჯერ ისევ სალომეზე ვიყავი ჩაციკლული. ყველა გოგოში მას ვეძებდი“

ნინი წიკლაური

შეყვარებულმა გიგის ლაბრადორის ლეკვი აჩუქა

- იქნებ ცუდ მოგონებებს აღგიძრავს და ამიტომ აღარ მონაწილეობ?

- ცუდი არაფერი დაუტოვებია... სურვილი არ მაქვს. მართალი გითხრათ, მე არც პოპულარობა მსურდა. ამისთვის არაფერი გამიკეთებია. სამეჯლისო ცეკვები და სტუდია „თელა“ მინდოდა გამხდარიყო პოპულარული და ეს შევძელით. ახალ სეზონზე ჩემი მოცეკვავეები - ოთო ფოლადაშვილი, რამაზ ლაზარიშვილი, რეზი რობაქიძე და ჯულიანა ბარგნარი გაუწევენ „თელას“ პოპულარობას. მე მხარს დავუჭერ.

დაუვიწყარი დაბადების დღე

გიგი გაჩეჩილაძე: - სასწაული დაბადების დღე მქონდა, ასეთი ცხოვრებაში არ მქონია. ყველაფრით გამორჩეული დაბადების დღე გამოვიდა. 2 ოქტომბერი ჩემთვის დაუვიწყარი იყო. თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი. უფრო მეტად დავაფასე, რა ძვირფასი სამეგობრო წრე მყავს-მეთქი. 26 წლის გავხდი. ეს ასაკი ჩემთვის უკვე სიბერესთან ასოცირდება. ოთხ წელში ცხოვრების მესამედი გავლილი მექნება. ეს იმ შემთხვევაში 90 წლამდე თუ ვიცოცხლებ. მინდა მეტი და უკეთესი რამ მოვასწრო. ასაკს? თმის გაცვენაზე ვატყობ, რომ მომემატა. თავს ვუვლი, რომ თმა მეტად არ გამცვივდეს... მეგობრებმა ბევრი სიურპრიზი მომიწყვეს, ბევრი რამ მაჩუქეს. ყველაფერს პრესაში ხომ ვერ ვიტყვი?! ზედმეტად დაფასებულად მაგრძნობინეს თავი. ძალიან მინდოდა ლაბრადორის ლეკვი და ისიც მაჩუქეს. სამი კვირისაა ჩემი ლეკვი. ნინიმ მაჩუქა.

- შეყვარებულმა ნინიმ?

- :) ნინი მყავს, შეყვარებული, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს?!

- როგორ არ აქვს მნიშვნელობა?!

- ჯერ ამაზე არ მინდა საუბარი. კარგად ვარ, ურთიერთობის დასაწყისია. ხალხს ძალიან უყვარს სხვის პირადზე საუბარი...

- ცნობილი რომ ხარ, კარგია?

- ცუდია. ანუ ჯერ გასარჩევი არ არის ჩემი ახალი ურთიერთობა. როცა დრო იქნება, მერე გაარჩიონ. პოპულარობა რაღაც მომენტში მინანია კიდეც. თუნდაც სალოსთან დაშორებისას. გიორგის და სალომეს „პრაიმტაიმისთვის“ მოცემულ ინტერვიუს ინტერნეტში კომენტარები მოჰყვა. ჩემთვის საწყენი იყო, რასაც სალომეზე წერდნენ. მგონი საქართველოში ყველა ქრისტიანები ვართ. ბიბლიაში წერია, რომ უნდა მივუტევოთ ადამიანებს. ნუ განსჯიან სალომეს ასე ძალიან. ყველას თავისი ბედნიერება აქვს. თუ ეს არის მისი ბედნიერება, იყოს ბედნიერი. აი, რატომ არის ცუდი პოპულარობა. შენს პირადში ძვრებიან.

„ზედმეტად კარგი ადამიანია“

- ბედნიერი ხარ, გეტყობა...

- დიახ, ასეა. ცხოვრებით ვარ ბედნიერი. ახლა ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიდის. ზედმეტად მიხარია ყველაფერი, რაც ხდება.

- ცვლილება შენ პირადში სასიკეთოდ მომხდარა...

- როგორც ჩანს, ასეა. ყველაფერი კარგად მიდის. აგვისტოს შუა რიცხვების მერე ვარ ასე კარგად.

- ანუ მაშინ გაიცანი ნინი წიკლაური?

- მარტო ერთ ადამიანზე რატომ აკეთებთ აქცენტს? ნინი ცოტა მერე გავიცანი. ნერვიულობა და ტკივილი, რაც მანამდე გადავიტანე, აგვისტოში მომეხსნა, უკვე ჩამოვყალიბდი. ეს ტკივილი რამდენიმე თვე გამყვა. მან გამზარდა და ვიცი, ჯერ კიდევ გავიზრდები. ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. ალბათ, უნდა გადამეტანა ის, რაც გადავიტანე. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილი იყო. ახლა მართლა კარგად ვარ.

- ნინი საჭირო დროს გამოჩნდა შენს ცხოვრებაში?

- კი. მანამდე რომ გამოჩენილიყო, მართლა სხვანაირად იქნებოდა ყველაფერი. ანუ არ გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ნინიმდე სხვა გოგონებიც გამოჩნდნენ, მაგრამ არ გაგრძელებულა ჩვენი ურთიერთობა. ალბათ, მაშინ ჯერ ისევ სალომეზე ვიყავი ჩაციკლული. ყველა გოგოში მას ვეძებდი. შედარებებს ვაკეთებდი - ამას სალომე არ გააკეთებდა-მეთქი.

- როგორი ადამიანია ნინი?

- ზედმეტად კარგი ადამიანია. ჩემთვის მთავარი მომხიბვლელი ფაქტორი სწორედ მისი ადამიანობა იყო.

- ნინი აკითხავს სტუდია „თელაში“ და გიგის უნდა, რომ ცეკვები ასწავლოსო, მითხრეს.

- საიდან გაიგე? ეგ ნინიმაც არ იცის. ჩემთვის ვფიქრობ მაგაზე. ბავშვობაში ცეკვავდა.

- მან ლეკვი გაჩუქა, შენ რა აჩუქე?

- იცოდი თუ გამომტეხე? ვაიბერი მჭირდებოდა, რომ მასთან მეკონტაქტა, ამიტომ ტელეფონი ვაჩუქე.

- რითი შეგცვალა ამ ურთიერთობამ?

- არაფრით და არც შევაცვლევინებ თავს. სალომესთან ურთიერთობამ იმ დონეზე შემცვალა, „ვჭამე“ უკვე და შეცვლას აღარ ვაპირებ. ჩემი თავი რეალურად დაკარგული მქონდა. ვიყავი ის, ვინც არ ვარ.

- და არ მოგწონდა შენი თავი?

- არა, არ მომწონდა... რამდენი ინფორმაცია ამომაცალე?!

ახალი სეზონის შეფასება

გიგიმ „ფეისბუქის“ გვერდზე დაპოსტა სია, ვისაც გულშემატკივრობს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ამ სეზო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ“

„ალბათ, უნდა გადამეტანა ის, რაც გადავიტანე. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილი იყო. ახლა მართლა კარგად ვარ“

„პოპულარობა, რაღაც მომენტში, მინანია კიდეც. თუნდაც სალოსთან დაშორებისას. ნუ განსჯიან სალომეს ასე ძალიან. ყველას თავისი ბედნიერება აქვს. თუ ეს არის მისი ბედნიერება, იყოს ბედნიერი“

„სალომესთან ურთიერთობამ იმ დონეზე შემცვალა, „ვჭამე“ უკვე და შეცვლას აღარ ვაპირებ. თავი რეალურად დაკარგული მქონდა“

ნზე. ესენი არიან: ნინა და რეზი, გიორგი და ჯულიანა, იულია და ოთო, სოფო და რამაზი.

„გახსნაზე ნოე სულაბერიძემ დამპატიჟა და მადლობა მას ამისთვის. რაც შეეხება ჩემს ფავორიტებს, ეს ერთგავარად საფინალო ოთხეულია. ბევრი რამის გამო მეგონა, რომ ეს სეზონი ისეთი კარგი ვერ იქნებოდა. თუმცა მთლიანობაში მომეწონა. გაფორმება ბევრად მაგარია. ცირკში მყოფი მაყურებლისთვის ყველა რაკურსი არ არის კარგი, ანუ არენა არ არის წრეზე გამოყენებული, კარგი იქნება დადგმები წრეზე რომ იყოს. ჩემი აზრით, ჟიურიმაც ცუდად იმსაჯა. ბევრ ისეთ შეცდომაზე არ გაამახვილეს ყურადღება, რასაც დამწყები მოცეკვავეც კი მიხვდება. ისეთ რამეს ასახელებდნენ, რაც არ იყო შეცდომა. წინა სეზონზეც ასეთი ტენდენცია იყო. იწყებენ დაბალი ქულების დაწერით და ბოლოსკენ იღლებიან და მაღალ ქულებს წერენ. როგორ დავიჯერო, წყვილები ყოველთვის ბოლოსკენ ცეკვავენ კარგად?

- სალომეს ცეკვაზე რას იტყვი?

- ძალიან კარგი არ იყო. ისე ძალიან არ მომეწონა, უფრო მეტს მოველოდი. იმედია, შემდეგ ტურებში გააუმჯობესებენ და ამოქაჩავენ. სალომესაც აქვს ნათქვამი, კარგად ვერ ვიცეკვეო.

- აღარ კონტაქტობთ?

- აღარ ვკონტაქტობთ. დაბადების დღე მომილოცა, დამირეკა და ძალიან გამიხარდა. მადლობელი ვარ, ყურადღება რომ გამოიჩინა. დაშორების მერე რაღაც პერიოდი ვმეგობრობდით, კარგად ვიყავით. მერე ისეთი რამ მოხდა, რომ საერთოდ გავწყვიტეთ ურთიერთობა. არ გეტყვით რა მოხდა...

- გიორგის სადმე არ გადაყრიხარ?

- არა, ჩვენ საერთო სამეგობრო წრე არ გვყავს.

- მან თქვა, იმედია, ჩვენ ამბავს გიგი ცივილურად მიიღებსო.

- რატომაც არა. არ მაქვს პრობლემა. ალბათ დარწმუნდა, რომ ცივილურად მივიღე. ჩვენ პრესა გვალაპარაკებს ერთმანეთში, ხო? ასე გამოდის :) ადამიანი გადაწყვეტილებას რომ იღებს და აქედან იქ მიდის, პატივი უნდა სცე მის გადაწყვეტილებას. რაც უნდა ის უნდა აკეთოს. თავისუფლებაა!

- ნანობ რამეს?

- როგორ არა. მერე რაღაცებს შემდეგისთვის ვითვალისწინებ. ხშირად ვსწავლობ შეცდომებზე.

კარიერა

წელიწად-ნახევარია გიგი საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის დირექტორია. ცეკვას ათი წელია ასწავლის, ბოლო სამი წელია, უკვე პროფესიონალ მოცეკვავეებს. დიდებში 22 წყვილი ჰყავს, პატარებში - 50-მდე. ამდენი წყვილი არც ერთ მწვრთნელს არ ჰყოლია. მალე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ხდება. ნოემბერში ტალინში მეორე გამოცდას აბარებს. ამის შემდეგ უკვე ყოველ წელს 13 ქვეყანაში თავის წყვილებთან ერთად ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

„ჩვენ სფეროში ბევრს ნიშნავს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯობა. ეს მინდოდა და ბედნიერი ვარ. ასევე მინდა „თელას“ ხუთი ფილიალის სკოლებიდან კერძო დარბაზებში გადაყვანა და გაფართოება. მინდა ყველაფერი მოვასწრო. ამ ყველაფერთან ერთად გართობასაც ვახერხებ. მიყვარს ისეთი ადგილების აღმოჩენა, ნანახი რომ არ მაქვს. თავგადასავლები მიზიდავს. ახლახან მეგობრებთან ერთად შვიდდღიანი ტურით საქართველო შემოვიარე“.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„პროფილისა“ და „ცეკვავენ ვა

my View

თამარ გონგაძე

„პროფილის“ ახალი სეზონი ცვლილებებით დაიწყო. გარდა იმისა, რომ გადაცემა მყვირალა და სკანდალური გახდა, მის პროდიუსინგში ცვლილებებია. აგვისტოს შუა რიცხვებში თურქეთიდან დაბრუნებულ მაია ასათიანს გადაცემის რეჟისორმა და ერთ-ერთმა პროდიუსერმა წასვლის შესახებ შეატყობინეს. თემურ გოგოლაძე (მეტსახელად „ობობა“) და გვანცა კილასონია ტელეკომპანია „GDS“-ზე გადავიდნენ და ახალ პროექტზე მუშაობენ. სამი წელია გვანცა „პროფილის“ პროდიუსერია, „ობობა“ კი თითქმის „რუსთავი 2“-ის დაარსებიდან რამდენიმე გადაცემის რეჟისორი გახლდათ. თემური თორნიკე დაბრუნდაშვილმა (მისი მარჯვენა ხელი) ჩაანაცვლა, გვანცა - ნიკა ხაჩიძემ. ცოლ-ქმრის გადაწყვეტილება მაიასთვის მოულოდნელი არ ყოფილა. „მიხარია, რომ „პროფილი“ კარგი კადრების ერთგვარი სამჭედლო გახდა. თუ აქედან წასვლა რომელიმე თანამშრომლისთვის წინსვლაა, რა თქმა უნდა, ამას მივესალმები. თუ აქედან უკეთეს პირობებში მიდის, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც როლი ჩვენც შეგვისრულებია. თემურის და გვანცას წასვლაზე უარყოფითი რეაქცია არ მქონია. არც მოულოდნელი იყო. მას შემდეგ, რაც გოგოლაძემ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ერთმანეთთან გარკვეული გვქონდა ყველაფერი. ჩვენ მჭიდრო მეგობრობა გვაკავშირებს. შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს გვანცასთან, ჩვენ, უბრალოდ, ერთად აღარ ვმუშაობთ. გვანცას ვგულშემატკივრობ „GDS“-ზე და ზუსტად ვიცი, ისიც გვგულშემატკივრობს. ამას ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ვამბობ. რეჟისორი თორნიკე დაბრუნდაშვილი „პროფილის“ შიდა სამზარეულოს ძალიან კარგად იცნობს. უმუშავია ჩვენთან. არ არის ახალი, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.

ნიკა ხაჩიძეს, რომელმაც გვანცა ჩაანაცვლა, წლებია კარგად ვიცნობ. „პროფილის“ ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა - ქეთი ლომსაძე, თავის დროზე ჟურნალ „თბილისელებიდან“ წამოვიყვანე. ახლაც ამ ტიპის ბეჭდური მედიიდან წამოყვანილი კადრის ნაცად გზას დავადექი. ნიკას პრესის გარდა სატელევიზიო გამოცდილებაც აქვს და რადიოში წარმატებული კარიერაც, კარგად იცნობს ამ სფეროს. სიამოვნებით დაგვთანხმდა. გვაქვს განსხვავებული და საინტერესო იდეები. ასეთი სტაჟის გადაცემას ახალი სისხლი სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ეს მაყურებელმა იგრძნო კიდეც. „რუსთავი 2“ შეკრული გუნდი და კარგად გამართული ქარხანაა. ამდენად ძველი კადრების წასვლა, ადამიანური კუთხით, არის დანაკლისი, ისე კი დანაკლისი

„მე მეშინია სიყვარულის“

მაია ასათიანი: „არის ძველი ტკივილი, რომელიც მთრგუნავს, მაკომპლექსებს და იმედი მაქვს, მისგან საბოლოოდ გავთავისუფლდები და მამაკაცების ნდობას დავიბრუნებ. ამ თემაზე არაფერი მკითხოთ, მისი დავიწყება მინდა. შეიძლება ეს ყველაფერი ამის ბრალიც არის. ძალიან დამღალა კითხვამ რატომ ვარ მარტო?“

მაია ასათიანი: „პროფილი“ საათ-ნახევრიანი გადაცემაა, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ორ საათ-ნახევრიანი. ჩვენს საეთერო ზოლში თბილისის რეგიონში რეიტინგი მოგებული გვაქვს. მათ რეიტინგი თბილისში მას შემდეგ მოემატათ, რაც „პროფილი“ დასრულდა“

ნიკა ხაჩიძე „პროფილისთვის“ ნამდვილად კარგი შენაძენია. შოუბიზნესს დიდი ხანია იცნობს და ახალი და კულტურული ამბების კარგი მაძიებელია. ამდენად გადაცეს

მას ახალი სისხლი ნამდვილად დაეტყობა.

ნიკა ხაჩიძე: „ეს შემოთავაზება იმით იყო კარგი, რომ ყველაზე რეიტინგულ გადაცემაში მოვდიოდი. ჩემთვის ტელეგადაცემის პროდიუსერობა სიახლეა. ამიტომ გადავწყვიტე თავი გამომეცადა. შეკრული გუნდია და ერთი მიზანი აქვთ - რეიტინგული შოუ გააკეთონ. „პროფილის“ ყველა წევრს ვიცნობდი, ახლა უკვე ახალი მეგობრებიც შევიძინე და მიხარია. მოკლედ, ეს ამპლუა ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა.

მეექვსე სეზონს სხვანაირი შემართება ეტყობა. ახალი სისხლი და მაჯისცემა უკვე თვალშისაცემია. „მეექვსე წელია ეთერში ვართ და საკუთარ თავს უნდა ვაჯობოთ. მგონია, „პროფილს“ სხვანაირი სიხალისე შეემატა და განსხვავებული გახდა. სტუდია მრავალფეროვანია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ინტიმურიც არის. მაყურებელი არ იგრძნობა. ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ყველაზე ძლიერ პროფესიონალსაც ჩაანაცვლებს“, - აცხადებს მაია ასათიანი.

სტუმართან ახლოს მოდის, მის ყოველ ამონასუნთქს გრძნობს. ეს ეხმარება სტუმარსაც და მეც, რომ გადაცემა ბევრად უფრო დინამიკურად წარიმართოს“, - ამბობს წამყვანი.

„ცუდი მკითხველი ვარ“

უკვე ზედიზედ რამდენიმე წელია მაია შვებულებას, შვილთან ერთად, თურქეთში ატარებს. ვიცით, რომ არ უყვარს ხმაურიანად დასვენება და შესაბამისად, ამ დროს არც თავგადასავლების მაძიებელია. ცურავს, სძინავს, კითხულობს...

„ვიცი, რომ ამ მხრივ მოსაწყენი რესპონდენტი ვარ, ვერ გიყვებით ხმაურიან თავგადასავლებს. ნაღებული მქონდა ბორის აკუნინის „ერასტ ფანდორინის თავგადასავლები“და ვკითხულობდი. უფრო სერიოზული საკითხავისთვის ძალიან დაღლილი ვიყავი. ცოდვა გამხელილი სჯობს, ცუდი მკითხველი ვარ, უგერგილოდ ვკითხულობ. ვაზიანებ წიგნებს. ბოლო პერიოდში ნაყიდი ჩემი წიგნების ფურცლები ზღვისგან დასველებული და გაყვითლებულია. ზღვის და გასარუჯი საშუალებების სუნი აქვს.

ჩემი ჩემოდანი წიგნების გამო ისეთი მძიმე იყო, რომ საბაჟოზე თანხის დამატება დამჭირდა. ვერაფრით ვერ ვეგუები ქინდლის, წინა საუკუნის ადამიანი ვარ. ამიერიდან ჭკუას ვისწავლი. როცა მძიმე ჩემოდნის დამტარებელი არ გყავს, ჯობია ზედმეტი 8 კილო არ ნაიღო“.

დუელი

- „პროფილმა“ კონკურენტ არხზე ხუთშაბათს ათ საათზე ბევრი გადაცემა გამოიცვალა, მათ შორის „ვოისი“, „ინტუიცია“, „ექსტრასენსთა ბრძოლა“, „სტუმრად იუმორინასთან“... და ახლა „ცეკვავენ ვარსკვლავები“. როგორი აღმოჩნდა პირველი დუელი?

- „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. მას მილიონობით მაყურებელი უყურებს. შესაბამისად თუ ასეთი მეგა პროექტი თვლის, რომ „რუსთავი 2“-ის ერთ პატარა ოთახში მოფიქრებული საავტორო გადაცემის კონკურენტია, კეთილი იყოს მათი მობრძანება ხუთშაბათს საღამოს ათ საათზე. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ამ კონკურენციით აჟიტირებული ვარ. რატომ უნდა მეშინოდეს? ჩემ უკან ექვსი წელია. რაც შეეხება პირველ დუელს, ჩვენ მოვიგეთ. „პროფილი“ საათ-ნახევრიანი გადაცემაა, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ორ საათ-ნახევრიანი. ჩვენს საეთერო ზოლში თბილისის რეგიონში რეიტინგი მოგებული გვაქვს. მათ რეიტინგი თბილისში მას შემდეგ მოემატათ, რაც „პროფილი“ დასრულდა, რეგიონში კი არც „პროფილის“ დასრულების შემდეგ ანევიათ. ანუ საათ-ნახევრიანმა „პროფილმა“ უფრო მეტი რიცხვები დაწერა, ვიდრე ორსაათნახევრიანმა „ცეკვავენ ვარსკვლავებმა“, რაც მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევაა. მადლობა საქართველოს ყველა რეგიონის მაყურებელს. ვისაც შედეგები აინტერესებს, „ფეისბუქის“ ჩვენს გვერდზე ნახოს, რეიტინგის დეტალური შკალა გვიდევს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერმა რეიტინგი და ეგზიტპოლის შედეგი (ერთმანეთს დაემთხვაო) „ფეისბუქის“ თავის გვერდზე დადო. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ - 16.37, „პროფილი“ - 11.45

ნოე სულაბერიძე (პროდიუსერი): „პატივს ვცემ „პროფილს“, მის აუდიტორიას. ხალხს უყვარს და მოცულობითია. „პროფილთან“ ჭიდაობა არც თუ იოლია. ბევრი შეჭიდებია და დამარცხებულა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მასშტაბის პროექტს კი, ბუნებრივია, რეიტინგი ექნება და ამ ორ გადაცემას შორის დიდი კონკურენცია არც ექნება, მე ასე მგონია. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რეიტინგით რომ უგებს, ეს არც არავის უკვირს. რასაც ველოდი, ის მოხდა. თუმცა რიცხვებს შორის ასეთ სხვაობასაც არ ველოდი. „პროფილი“ ეთერში 15 წუთით ადრე შევიდა, რაც არასდროს მომხდარა“.

მაია ასათიანი: - არ მახსენდება არც ერთი წელი, როდესაც ჩვენს კონკურენტ არხზე რომელიმე გადაცემა დამკვიდრებას არ ცდილობდეს. თუმცა დღემდე, როგორც წესი, ესა თუ ის ძალიან პოპულარული და რეიტინგული გადაცემა შემდეგ საეთერო ბადეში დღეს იცვლიდა ხოლმე. ვთვლი, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავებისგან“ „პროფილის“ დროს ჩასმული გადაცემა თამამი ნაბიჯია და კოლეგებს ამ არჩევანს ვუნონებ. ეს ძალიან დიდი აზარტია. ბოლომდე მგონია, რომ „პროფილის“ ამდენწლიანი წარმატება განაპირობეს კონკურენტებმა. ცარიელ ზოლზე არც ერთხელ არ გვიასპარეზია. ამიტომ ჩვენთვის ამ ხელთათმანის გადმოგდება დამატებითი სტიმულია. ამ კონკურენციიდან ყველაზე მოგებული, ვთვლი, რომ „პროფილის“ მაყურებელი დარჩება. დიდი შემართებით ბევრი საინტერესო პროექტი გვაქვს მოფიქრებული. გადაცემა ძალიან მასშტაბური და დინამიკური იქნება, გასცდება საქართველოს საზღვრებს. ბევრი არაქართველი, ძალიან სასურველი და ცნობილი სტუმარი გვეყოლება, რომელსაც მაყურებელი არ ელოდება. ეთერში ვართ ათი თვე და ათი თვე უნდა დავუმტკიცოთ მაყურებელს, რომ მისი სიყვარულის ღირსი ვართ. და ის თორმეტი ხუთშაბათი (როცა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უნდა გავიდეს) ძალიან ცოტაა იმ ათ თვესთან შედარებით. ხარისხს ავწევთ, ეს გარკვეული ადრენალინია.

ძალიან გული მწყდება იმაზე, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონკურსანტებს ჩემთან მოსვლა ეკრძალებათ. თუმცა მესმის მათი. თვითონ არ ვერიდები კონკურენტ არხზე მისვლას.

- მაია, ახალი სეზონის დაწყებამდე ჭორები გავრცელდა - ასათიანი „იმედზე“ გადადისო... „იმედი“-დან გქონდათ შემოთავაზება?

- ზოგადად მე შიდა კულტურული ინფორმაციის გარეთ გამოტანა არაეთიკურად მიმაჩნია. თუ ნებას მომცემთ, ამ კითხვას არ ვუპასუხებ. არ იქნება ლამაზი შიდა კულტურული ამბავი ყველას გასაგონად გარეთ გამოვიტანო. როგორც ხედავთ, „რუსთავი 2“-ზე ვარ და ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქნები. მიყვარს ეს არხი.

ახალი სეზონი

„ვთვლი, რომ ერთ-ერთი ყველაზე გულახდილი და საინტერესო იყო ნანუკა ჟორჟოლიანის ინტერვიუ. მინიმალისტური ფორმებით გადაცემა საგანგებოდ იყო დაგეგმილი. შოუ მხოლოდ ჩემი და რესპონდენტის საუბრისგან უნდა გაკეთებულიყო. ეს გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გვიახლოვდება, ყვითელ პრესასა თუ სოციალურ ქსელებში ძირითადი ფრაზები ჩვენი ინტერვიუდან იყო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რსკვლავეზის“ დუელი დაიწყო

EXCLUSIVE

ნოე სულაბერიძე: „პროფილთან“ ჭიდაობა არც თუ იოლია. ბევრი შეჭიდებია და დამარცხებულა. რასაც მოველოდი, ის მოხდა. თუმცა რიცხვებს შორის ასეთ სხვაობასაც არ ველოდი. „პროფილი“ ეთერში 15 წუთით აღრე შევიდა, რაც არასდროს მომხდარა“

- რატომ თქვით - რა საყვარლები ვართ ერთადო?

- ამ ფრაზაში, ბუნებრივია, ირონია იყო. ეს გადაცემა არ იყო იმის მცდელობა, რომ გვეჩვენებინა თითქოს ჩვენ შორის არ არის დაპირისპირება. ასე არ არის. ჩვენ შორის მძაფრი კონკურენციაა, ეს არ არის მარტივი ურთიერთობა. მე პირადად, ამ ურთიერთობამ გამომბრძმედა. რთულად წასაყვანი და ბეწვის ხიდზე გასავლელი ინტერვიუ იყო. ვთვლი, ამ ხიდზე ორივემ წარმატებულად გავიარეთ. ბევრ საკითხთან დაკავშირებით მოზომილი უნდა ვყოფილიყავით. გამოგვივიდა. არასდროს იმაზე მეტად წინ არ მივდივარ, თუ ეს სტუმრის სურვილი არ არის. ჩემი ინტერესი სტუმრის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება არ არის. 5 მილიონი მაყურებლის წინ სტუმარს როცა რაღაც შეკითხვას არ ვუსვამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის შესახებ რაღაც არ ვიცი. ჩემი მიზანი არ არის, ადამიანი დავაბნიო და მოულოდნელი შეკითხვისგან ენა გადაყლაპოს. არ არის ლამაზი ამდენი ადამიანის თანდასწრებით რესპონდენტის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება. მე და ნანუკას წინასწარი მოთელვა გაკეთებული გვქონდა. ნანუკა ყველა შეკითხვისთვის აბსოლუტურად ღია იყო. ყველა თემა გავიარეთ, რაზე შეგვეძლო საუბარი, რაზე - არა. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენ ერთმანეთის ცხოვრების ყველა დეტალი ვიცით, ლამის 20 წელია ვიცნობთ ერთმანეთს.

- ამ შემთხვევაში კონკურენტი გადაცემის წამყვანმა მოუტანა რეიტინგი „პროფილს“?

- ვერ ვიტყვი. გადაცემა რეიტინგული არის არა იმიტომ, რომ მასში ესა თუ ის რეიტინგული ადამიანია სტუმრად, არამედ ფორმის გამო, თუ როგორ შეფუთულს აწვდი. რეიტინგს წერს კარგად შეფუთული იდეა. ჩვენი დუელი საინტერესო იყო, თუმცა ნინი ბადურაშვილის გამოჩენაც მოულოდნელი და საინტერესო იყო და ია ფარულავას სიყვარულის ისტორიაც, რომელიც გათხოვებით დასრულდა. ამ ისტორიას „პროფილში“, ცხადია, გაგრძელება ექნება.

- გული არ დაგწყდათ იამ „პროფილში“ რომ არ დაასახელა საქმროს ვინაობა, ისევე როგორც ივანა მელაიმ თავისი რჩეულის?

- ია ბევრად საინტერესო ისტორიებს მოგვიყვება. ჩვენ დავაანონსეთ ამბავი, თოფი დავკიდეთ პირველ განყოფილებაში, რომელიც მალე აუცილებლად გაისვრის. ივანას რაც შეეხება, ვიცოდი ვინც უყვარდა, უბრალოდ, ჩავთვალე, რომ ეთიკური არ იქნებოდა ზედმეტი კითხვებით რომ ჩავძიებოდი.

საერთოდ, უნდა გითხრათ, მეორე სეზონმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საშუალო სტატისტიკური ნორმისგან განსხვავებული ადამიანები აგრესიას იწვევენ საზოგადოებაში. ეს ძალიან ცუდია. საზოგადოება ბევრად შეუწყნარებელი გახდა. წლიდან წლამდე რაღაც საკითხების მიმართ უფრო და უფრო ორთოდოქსული ხდება. ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც განსხვავდება მასისგან, მაშინვე ხდება აგრესიის ობიექტი. მე მახსოვს, სამი წლის წინ ჩემ წინააღმდეგ აგორებული აგრესია. ამ დიდი აგრესიის წინაშე ვიყავი აბსოლუტურად მარტო. ამ დროს ორი-სამი კოლეგა მედგა მხოლოდ გვერდში. ერთ-ერთი ინგა გრიგოლია იყო. დღემდე მისი მადლიერი ვარ. დანარჩენები სეირის მაყურებლებად იყვნენ, გავტყდებოდი თუ არა. სოციალური ქსელი ახალი ხილი იყო და ერთგვარ მოდად იქცა, თუ მაია ასათიანზე იტყოდნენ, რომ მდარე და გოიმია, საზოგადოებაში მიღებული ადამიანი ხდებოდა. ხომ შეუძლებელია, რომ ყველა ცნობილი ადამიანი ცუდი იყოს. მკერდზე მჯიღის ცემა და იმაზე საუბარი, როგორი ტოლერანტულები ვართ კი გვჩვევია. სინამდვილეში ოდნავ წარჩინებულ ადამიანს წარმატებას არ ვპატიობთ. მე გაცნობიერებული მაქვს - ისეთი დიდი ბედნიერება, რასაც საყვარელი საქმის კეთება ჰქვია, რაღაცად უნდა დაგიჯდეს.

- რად დაგიჯდათ?

- ძალიან შემოსაზღვრული ცხოვრება მაქვს. ერთია - რა ჩანს ეკრანზე, მეორეა - რა არის ამ ყველაფრის მიღმა. მიღმა კი ჩარჩოში ჩასმული ცხოვრებაა, რომელიც მრავალფეროვანი არ არის. ის წამებში და წუთებშია გაწერილი. რომელიც ხშირად უწევს ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს. ეს ძალიან მძიმეა. ამ ყველაფრის მიღმა დღემდე დგას ქალი, რომელსაც არ აქვს პირადი ცხოვრება და ეს ჩემი არჩევანია. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კომპლექსი მაქვს. მიუხედავად ამისა, მე მაინც თვითკმარი ვარ. მაქვს ის, რაც ყოველთვის მინდოდა რომ მქონოდა. ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ და მზად ვარ, რომ ამისთვის დიდი ხარკი გავიღო. ის, რაც ჩამოგითვალეთ, არაფერია იმ დიდ სიამოვნებასთან ხუთშაბათის გათენებას რომ ველოდები და კიდევ უფრო დიდი აზარტით პარასკევის გათენებას.

„მეტყობოდა შეყვარებული რომ ვიყავი“

- წელს კომპლექსების დაძლევას აპირებდით...

- წინ მივიწევ, არ ვიცი რა გამომივა. თითქოს საზოგადოების წინაშე თავის მართლება მიწევს - რატომ ვარ მარტო. ეს მომბეზრდა. ხშირად მეკითხებიან, რანაირად უნდა ვიყო მარტო, როცა ჩემ გარშემო მარტო არავინაა. მე არ შემიძლია შემთხვევითი ურთიერთობა, არ ვარ ამ ტიპაჟის ქალი (ეს შესაძლოა აღზრდის ბრალია, შესაძლოა პროფესიის ან ბევრი სიყვარულის ისტორიის მოსმენის). დიდად ახლოს არც არავის ვუშვებ, რომ შემთხვევითი ურთიერთობა სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. ჩემს ცხოვრებაში არის ძველი ტკივილი, რომელიც მთრგუნავს, მაკომპლექსებს და იმედი მაქვს, მისგან საბოლოოდ გავთავისუფლდები და მამაკაცების ნდობას დავიბრუნებ. ამ თემაზე არაფერი მკითხოთ, მისი დავიწყება მინდა. შეიძლება ეს ყველაფერი ამის ბრალიც არის. ძალიან დამღალა კითხვამ რატომ ვარ მარტო?

- როგორ გგონიათ, ისეთივე რეიტინგულ გადაცემას გააკეთებთ თუ არა, როცა მარტო აღარ იქნებით?

- ჩემი ცხოვრების მთავარი ვნება ჯერჯერობით ჩემი საქმეა. მთავარი სიყვარული - ჩემი შვილი. ინტერვიუსაც ეტყობა, უფრო დიდი გზნებით ვსაუბრობ კონკურენციასა და რეიტინგზე, ვიდრე მამაკაცებზე. ამ თემებზე საუბრისას უფრო მეტი ცეცხლი მაქვს თვალებში. სანამ ამ ბალანსს არ შევცვლი, ისევ მარტო ვიქნები... მე ხომ ვამბობ, პრობლემა ჩემშია. ძალიან რთულია ასეთი ქალის სიყვარული. ყველა იმ მამაკაცის წინაშე ვიხრი ქედს, ვინც უძლებს და ეხმარება ჩემს კოლეგებს, რომ ისინი თავიანთ პროფესიებში რეალიზებულები იყვნენ.

- როგორია „პროფილი“, როცა ის ყურებამდე შეყვარებულ მაიას მიჰყავს?

- „პროფილი“ იმდენი წლის გადაცემაა, რომ მისი კეთებისას მე ყურებამდე შეყვარებული ვყოფილვარ. ის „პროფილი“, ოთხი წლის წინ, კარგად საყურებელი და ლაღი იყო. მეც მეტყობოდა შეყვარებული რომ ვიყავი. ეს ამბავი დღემდე მტკივა და მომყვება. მე, როგორც ქალი, იმ ტკივილმა ძალიან დამაკომპლექსა. იმედია, მამაკაცების მიმართ დაკარგულ ნდობას დავიბრუნებ. მე ვთვლი, რომ ბევრად პროდუქტიული მაშინ გახდა გადაცემა, როცა მარტო დავრჩი. მთელი ჩემი სასიცოცხლო ენერგია გადაცემაში ჩავდე. ახლა გრძნობა რომ მოვიდეს, ჯერ ამისთვის მზად არც ვარ. ძველი იარები უნდა მოვიშუშო. ნელ-ნელა გაივლის. ბევრად უფრო ლაღი ადამიანი ვიყავი. ბედნიერია ის ქალი, ვისაც არ ტკენია... რომ მეტკინა, ეს ჩემი ბრალია. წარსულზე ადვილია საუბარი. ის წიგნი დახურული და თაროზე შემოდებულია. ახლა მეშინია, რომ კიდევ არ მეტკინოს. აი, ამიტომ ვარ მარტო. მე მეშინია სიყვარულის. საკუთარ თავს სხვანაირად ვუყურებ. 36 წლის ვარ და მაქვს შეგრძნება, რომ ცხოვრებას ახლა ვიწყებ. ბალზაკის ასაკი მომწონს. ბევრ რამეში ერკვევი, თავს კარგად იცნობ, ფლობ, აღარ ხარ მიუსაფარი გოგო, რომელმაც არ იცის რა არის ცხოვრება. აღარ ხარ ისეთი მიამიტი და გულუბრყვილო. თუმცა ჩემი მოტყუება დღესაც იოლია. მიმტევებელი გავხდი, არავის ვიცხავ.

„ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ყველაზე ძლიერ პროფესიონალსაც ჩაანაცვლებს“

„პროფილიდან“ რეჟისორი და პროდიუსერი ნავიდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N40 (238) ორშაბათი 7 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ნინი ნიკლაური

„ნინიმდე სხვა გოგონებიც გამოჩნდნენ, მაგრამ არ გაგრძელებულა ჩვენი ურთიერთობა. ალბათ, მაშინ ჯერ ისევ სალომეზე ვიყავი ჩაციკლული. ყველა გოგოში მას ვეძებდი“

EXCLUSIVE

გიგი გაჩეჩილაძე ნინი ნიკლაურზეა შეყვარებული

ნანი ბრეგვაძე ცხოვრებისეული სინანულითა და ახალი დისკით

EXCLUSIVE

„პროფილისა“ და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დუელი დაიწყო

„პროფილიდან“ რეჟისორი და პროდიუსერი წავიდა

„ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ყველაზე ძლიერ პროფესიონალსაც ჩაანაცვლებს“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება